

# საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება სამოქალაქო საქმეებზე

## პრაქტიკული სახელმძღვანელო



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის  
მხარდაჭერა



საქართველოს  
იუსტიციის  
სამინისტრო



გერმანიის  
თანამშრომლობა  
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

supported by  
**giz**  
German Development  
Cooperation (GIZ) GmbH

**საერთაშორისო  
სამართლებრივი  
უნიტეარტლასმარება  
სამოქალაქო საქმეებზე  
პრაქტიკული სახელმძღვანელო**

თბილისი  
2018



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის  
მხარდაჭერა



გერმანიის  
თანამშრომლობა  
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

**giz** Deutsche Gesellschaft  
für Internationale  
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია ევროკავშირის პროექტის – „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ – მხარდაჭერით, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა – „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ – ახორციელებს. ტექსტში მოცემული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს GIZ-ისა და ევროკომისიის შეხედულებებს.

ISBN 978-9941-9566-0-7

© საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2018.

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018.

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე:  
[www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge) და [lawlibrary.info](http://lawlibrary.info)

## წინასიტყვაობა

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრებისა და ურთიერთობების ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია ხელს უწყობს საქართველოში ისეთი სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, რომლებიც, საქართველოს გარდა, ასევე უცხო ქვეყნების იურისდიქციებთან არის დაკავშირებული, რაც მეტწილად განპირობებულია საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის სამსახურებრივი მიზნით დასაქმებულთა ხშირი გადაადგილებების, მიგრაციისა და კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების აქტიური გამოყენებით.

საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების განხორციელების მატებასთან ერთად იზრდება ამ პროცესებში საქართველოს შესაბამისი უწყებების ჩართულობის საჭიროება. ამ მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები ადგენს კონკრეტულ სამართლებრივ რეჟიმს, რომლის ფარგლებშიც ხდება სამართლებრივი ურთიერთდახმარების განევა სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმეებზე.

მიუხედავად ამ საკითხის აქტუალურობისა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკუთრივ სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე შექმნილი სახელმძღვანელო არ მოიპოვება.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანი სწორედ ამ სფეროში აღნიშნული დანაკლისის ერთგვარი შევსება და საქართველოში სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების მარეგულირებელი ნორმებისა და არსებული პრაქტიკის შეფერებული სახით წარმოდგენაა.

სახელმძღვანელოს I თავში განხილულია სამართლებრივი ურთიერთდახმარების ზოგადი პრინციპები და თავისებურებები, როგორც საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების

ბების ფარგლებში, ასევე მათ ფარგლებს გარეთ; მომდევნო თავები შეეხება სამართლებრივი ურთიერთდახმარების ყველაზე გავრცელებულ სახეებს, როგორებიცაა: დოკუმენტების ჩაბარება (II თავი) და მტკიცებულებათა მოპოვება (III თავი); IV თავი ეთმობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებების ცნობა-აღსრულებას; ხოლო V თავში განხილულია საქართველოს ნოტარიატის როლი საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში, განსაკუთრებით საერთაშორისო სამემკვიდრეოსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით. შესაბამის თავებში აქტუალურ საკითხთა საილუსტრაციოდ მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები და საქართველოსთვის ძალაში მყოფი შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზისას, შედარების მიზნით, მოხმობილია უცხოური პრაქტიკა და სამართლებრივ საკითხთა ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის ფარგლებში შექმნილი ჰააგის კონვენციებით განსაზღვრული გადანყვეტის გზები.

პრაქტიკული სახელმძღვანელო შემუშავდა ევროკავშირის პროექტის – „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ – მხარდაჭერით, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა – „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ – ახორციელებს. პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტთან თანამშრომლობდნენ GIZ-ის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები: გიორგი სვანაძე და მარტა პერტეგასი და ადგილობრივი ექსპერტის თანაშემწე – ოლეგი ნანაძე.

# სარჩევი

<b>I. ზოგადი დებულებები</b> . . . . .	9
<b>A. სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების არსი</b> . . . . .	9
1. სამართლებრივი ურთიერთდახმარების სახეები . . . . .	13
2. იუსტიციის დაწესებულებები (კომპეტენტური ორგანოები) და ცენტრალური ორგანო . . . . .	14
3. ურთიერთობის ენა და თხოვნის/ თანდართული დოკუმენტაციის ენა . . . . .	19
3.1. ურთიერთობის ენა . . . . .	20
3.2. თხოვნისა და მასზე დართული დოკუმენტაციის შედგენის ენა . . . . .	22
4. ხარჯები . . . . .	24
<b>B. სამართლებრივი ურთიერთდახმარება და სუვერენიტეტი</b> . . . . .	25
<b>C. სამართლებრივი საფუძვლები და გამოსაყენებელი სამართალი</b> . . . . .	28
1. კონვენციები და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	28
1.1. მინსკის კონვენცია . . . . .	29
1.2. სტრასბურგის საერთაშორისო ხელშეკრულება . . . . .	32
1.3. ლონდონის კონვენცია . . . . .	32
2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	32
3. ჰააგის რეჟიმის კონვენციები . . . . .	33
4. შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადაც არ არსებობს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება . . . . .	35
5. გამოსაყენებელი სამართალი . . . . .	36
6. ორმხრივობის/ნაცვალებების პრინციპი . . . . .	38
<b>D. გამოყენების სფერო</b> . . . . .	40
<b>E. კოლიზია საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის</b> . . . . .	46
<b>II. დოკუმენტაციის ჩაბარება/მიწოდება</b> . . . . .	51
<b>A. დოკუმენტის ჩაბარების/მიწოდების არსი</b> . . . . .	51
<b>B. ჰააგის რეჟიმის ფარგლებში სასამართლო ან არასასამართლო დოკუმენტის ჩაბარების კონვენცია</b> . . . . .	52

<b>C. დოკუმენტები, რომლებიც უნდა ჩაბარდეს სამართლებრივი ურთიერთდახმარების საშუალებით . . . . .</b>	<b>53</b>
<b>D. ცენტრალური ორგანო . . . . .</b>	<b>56</b>
1. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	56
2. შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადაც არ არსებობს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება . . . . .	58
<b>E. დოკუმენტების ჩაბარების/გადაცემის კომპეტენტური ორგანოები . . . . .</b>	<b>59</b>
1. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	59
2. დოკუმენტების ჩაბარების/გადაცემის სხვა არხები . . . . .	61
<b>F. დოკუმენტის ჩაბარების/გადაცემის თხოვნის წინაპირობები . . . . .</b>	<b>64</b>
1. შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადაც არ არსებობს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება . . . . .	64
2. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	64
2.1. ფორმა . . . . .	64
2.2. თხოვნის შესრულება და ენა . . . . .	67
2.3. მისამართის დადგენა . . . . .	69
2.4. მიმღების სამართლებრივი დაცვა . . . . .	72
2.5. დოკუმენტის გადაცემაზე/ჩაბარებაზე უარის საფუძვლები . . . . .	73
3. შემთხვევები, რომლებიც არ ექცევა ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების რეგულირების სფეროში . . . . .	74
<b>G. განსაკუთრებული შემთხვევები . . . . .</b>	<b>75</b>
1. უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის დოკუმენტის ჩაბარება/გადაცემა . . . . .	75
2. საქმისწარმოების დაწყების ან უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობის წარმოების დაწყების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის ჩაბარება/გადაცემა . . . . .	76
3. ჩაბარების/მიწოდების ადგილი . . . . .	77
4. ჩაბარების/მიწოდების ვადები . . . . .	77
<b>III. მტკიცებაშუღბათა მოპოვება . . . . .</b>	<b>79</b>
<b>A. წინასიტყვაობა . . . . .</b>	<b>79</b>

1. მიმოხილვა . . . . .	79
2. შემთხვევები, როდესაც სამართლებრივი ურთიერთდახმარების პროცედურების დაცვა არ არის აუცილებელი . . . . .	81
<b>B. ჰააგის მტკიცებულებათა კონვენცია . . . . .</b>	<b>82</b>
<b>C. უფლებამოსილი ორგანოები და გადაცემის პროცედურები . . . .</b>	<b>84</b>
1. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	84
2. შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადაც არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება . . . . .	86
3. მტკიცებულებათა გადაცემის სხვა არხები . . . . .	86
<b>D. განცხადების წარდგენის წინაპირობები . . . . .</b>	<b>86</b>
1. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	86
1.1. ფორმა . . . . .	87
1.2. შინაარსი . . . . .	87
1.3. ენა და თარგმანი . . . . .	88
1.4. დავალების შესრულება . . . . .	88
2. მტკიცებულებათა მოპოვების ისეთი შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადაც არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება . . . . .	92
<b>E. განსაკუთრებული შემთხვევები . . . . .</b>	<b>93</b>
1. წარმოება ვიდეოკონფერენციის მეშვეობით . . . . .	93
2. წარმოება ტელეფონის მეშვეობით . . . . .	94
<b>IV. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება . . . . .</b>	<b>95</b>
<b>A. მიმოხილვა . . . . .</b>	<b>95</b>
<b>B. გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე განცხადებით მიმართვის წინაპირობები . . . . .</b>	<b>96</b>
1. მოქმედების სფერო . . . . .	96
1.1. მინსკის კონვენცია . . . . .	96
1.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	98
2. ცნობა-აღსრულების საერთაშორისო და შიდასაკანონმდებლო ნორმების ურთიერთმიმართება . . . . .	100
2.1. მინსკის კონვენცია . . . . .	100



2.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	102
3. ფორმა . . . . .	102
3.1. მინსკის კონვენცია . . . . .	102
3.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	105
4. შესრულება და ენა . . . . .	107
4.1. მინსკის კონვენცია . . . . .	107
4.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	111
4.2.1. სასამართლო გადანყვეტილებები . . . . .	111
4.2.2. საარბიტრაჟო გადანყვეტილებები . . . . .	113
4.3. პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები . . . . .	114
5. ხარჯები . . . . .	117
5.1. მინსკის კონვენცია . . . . .	117
5.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	117
5.3. პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები . . . . .	118
<b>V. საქართველოს ნოტარიუსის როლი საერთაშორისო</b>	
<b>სამართლებრივ ურთიერთდახმარებაში . . . . .</b>	<b>119</b>
<b>A. მიმოხილვა . . . . .</b>	<b>119</b>
<b>B. საერთაშორისო მემკვიდრეობითი ურთიერთობები . . . . .</b>	<b>119</b>
<b>VI. დანართები . . . . .</b>	<b>131</b>
დანართი 1. დოკუმენტების მიწოდების თხოვნის ფორმა . . . . .	131
დანართი 2. მტკიცებულებების თხოვნის ფორმა . . . . .	134
დანართი 3. შეტყობინება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ მასალების ჩაბარების შემთხვევაში (Подтверждение о вручении документов) . . . . .	142
დანართი 4. შეტყობინება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ მასალების ვერ ჩაბარების შემთხვევაში (Подтверждение о вручении документов) . . . . .	144
დანართი 5. შეტყობინება დოკუმენტების გადაცემის შესახებ (Confirmation of serving documents) (მასალების ჩაბარების შემთხვევაში) . . . . .	146
დანართი 6. შეტყობინება დოკუმენტების გადაცემის შესახებ (Confirmation of serving documents) (მასალების ვერჩაბარების შემთხვევაში) . . . . .	148
<b>VII. გამოყენებული ლიტერატურა . . . . .</b>	<b>150</b>

## I. ზოგადი დეკლარაცია

### A. სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების არსი

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა/ურთიერთდახმარება/დახმარება<sup>1</sup> სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმეებზე<sup>2</sup> საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის შესაბამისი ნორმებით რეგულირებული სფეროა.<sup>3</sup> ის მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, თუ განსახილველ საქმეში სახეზეა ე.წ. „უცხოური ელემენტი“<sup>4</sup> ან ცალკეული საპროცესო მოქმედებების

<sup>1</sup> წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისათვის ტერმინები და შესიტყვებები: „სამართლებრივი ურთიერთდახმარება“, „სამართლებრივი დახმარება“ და „სამართლებრივი თანამშრომლობა“ გამოიყენება ერთი და იმავე მნიშვნელობით.

<sup>2</sup> ნიშანდობლივია, რომ მინსკის კონვენციასა და შესაბამის ორმხრივ ხელშეკრულებებში გამოყენებულია შესიტყვება „სამოქალაქო და საოჯახო საქმეები“, ხოლო საკუთრივ „სამენარმეო საქმეები“, როგორც ცალკე მდგომარეობა კატეგორია, არ არის დაკონკრეტებული. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისთვის შესიტყვებები: „სამოქალაქო და საოჯახო საქმეები“ და „სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმეები“ გამოიყენება ერთი და იმავე მნიშვნელობით, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კატეგორიის საქმეები, ფართო გაგებით, მოიცავს როგორც საოჯახო, ასევე სამენარმეო კატეგორიის საქმეებსაც.

<sup>3</sup> იხ. 1998 წლის 29 აპრილის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – „კანონი“ ან „სკს“) (გამოყენებული რედაქცია: 2016 წლის 1 დეკემბერი, <https://matsne.gov.ge/sa/document/view/93712>) 62-ე–64-ე მუხლები, რომლებიც არის სასამართლო ურთიერთდახმარების ნორმატიული საფუძველი და რომლებიც თავმოყრილია კანონის მე-9 თავში – „საპროცესო ნორმებში“.

<sup>4</sup> კონკრეტული სამართალურთიერთობის მიხედვით, უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოება შეიძლება იყოს სახეზე და შეფასდეს როგორც ის „უცხოური ელემენტი“ (სუბიექტი, ობიექტი ან ფაქტი), რომლის არსებობაც განაპირობებს შესაბამისი სამართალურთიერთობის საერთაშორისო ხასიათსა და მის საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობად კვალიფიცირებას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს: შესაბამისი ურთიერთობის მონაწილე პირის მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი; იურიდიული პირის ან ფილიალის შემთხვევაში, მისი

განხორციელება საჭიროა უცხო ქვეყანაში. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების სათანადო წესით აღმოჩენა გავლენას ახდენს სასამართლოს მიერ იმ პირებისათვის უფლებების უზრუნველყოფის შესაძლებლობაზე, რომლებიც მონაწილეობენ სამოქალაქო, საოჯახო ან სამეწარმეო საქმეებში.<sup>5</sup>

საქართველოში არსებული რეალობის მიხედვით, სახეზეა მთელი რიგი შემთხვევებისა, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების კონტექსტში საჭიროებს სხვადასხვა უწყების ჩართულობას. ეს უწყებებია: საქართველოს საერთო სასამართლოები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული არქივი, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ – საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესრულებისას ამ უწყებების მონაწილეობით სამართლებრივი დახმარების სპეციფიკა და ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთობებისას წარმოშობილი პრობლემატური საკითხების შესაძლო გადაწყვეტის ფორმები განხილულია წინამდებარე სახელმძღვანელოს შესაბამის თავებში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – „სკ“) ნორმათა მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთდახმარება გულისხმობს უცხო ქვეყნის სასამართლოს

---

ადმინისტრაციის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რეგისტრაციის/დაფუძნების ადგილი; ქონების ადგილსამყოფელი; აქტის შესრულების ადგილი; ხელშეკრულების/გარიგების დადების ადგილი; ვალდებულების შესრულების ადგილი; სამუშაოს შესრულების ადგილი; მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ადგილი ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგის ადგილი და სხვ., შესაბამისი სამართალურთიერთობის მიხედვით.

<sup>5</sup> Schack, IZVR, 6. Aufl. Rn. 196; Sengtschmid, Handbuch Internationale Rechtshilfe in Zivilverfahren, 26; Kren Kostkiewicz / Rodriguez, Internationale Rechtshilfe in Zivilsachen, 6.

მიერ მოქმედებათა განხორციელებას საქმის გარემოებების გამო-საკვლევადა, ფაქტების დასადგენად, დოკუმენტების გადაცემის ან/და სხვა მიზნით.<sup>6</sup>

სკ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებს შორის შუამდგომლობის საფუძველზე სამართლებრივი დახმარების განეით, თუმცა სამართლებრივი ურთიერთდახმარება უფრო ფართოა და სასამართლო თანამშრომლობის გარდა მოიცავს სხვადასხვა იუსტიციის დაწესებულების მიერ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული მოქმედებების შესრულებასაც.<sup>7</sup> ეს მოქმედებები შეიძლება იყოს: ოფიციალური დოკუმენტების გაცემა, ინფორმაციის მინოდება, დაინტერესებულ პირთა მიერ შესაბამისი პირის მოძიება ან/და მათთვის დოკუმენტების ჩაბარება. გარდა ამისა, სამართლებრივი ურთიერთდახმარების შემადგენელი ნაწილია ასევე კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესაბამის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ცნობადლსრულება.<sup>8</sup>

საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება ხორციელდება (I) შიდა კანონმდებლობის, (II) ორმხრივი და (III) მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

(I) შიდა კანონმდებლობაში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულირებები.

რაც შეეხება მრავალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებს:

---

<sup>6</sup> „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 62-ე მუხლი.

<sup>7</sup> მაგალითად, იხ. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია, 1-ლი (2) მუხლი, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/336>.

<sup>8</sup> Christenson, A. Gordon, *International Judicial Assistance and Utah Practice* (1960-1961), 2, ([www.heinonline.org](http://www.heinonline.org), 7 Utah L. Rev. 478, 1960-1961).

(II) ერთი მხრივ, საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულებები 11<sup>9</sup> სახელმწიფოსთან, რომელთაგან 2 ხელშეკრულების მიმართ აღიარებული აქვს სამართალმემკვიდრეობა<sup>10</sup> (უფრო დეტალურად იხ. I.C თავი);

(III) ხოლო მეორე მხრივ, საქართველო არის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის (შემდგომში – „მინსკის კონვენცია“) ხელშემკვერელი მხარე.

ზემოაღნიშნული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები ითვალისწინებს როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების აღმოჩენასაც.<sup>11</sup> თუმცა წინამდებარე სახელმძღვანელოს განხილვის საგანია მხოლოდ სამოქალაქო (რომელშიც ასევე მოიაზრება საოჯახო საქმეები) და სამეწარმეო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების საკითხები.

---

<sup>9</sup> აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ბულგარეთის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, თურქმენეთი, კვიპროსის რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, უკრაინა, უზბეკეთის რესპუბლიკა, ყაზახეთის რესპუბლიკა, ჩეხეთი (<http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/336>).

<sup>10</sup> კვიპროსის რესპუბლიკისა და ჩეხეთის შემთხვევაში სამართალმემკვიდრეობა აღიარებულია შემდეგ შეთანხმებებთან მიმართებით: „საბჭოთა კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკებსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1982 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება და „კვიპროსის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ“ 1984 წლის 19 იანვრის შეთანხმება.

<sup>11</sup> გამონაკლისია საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას და საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

## 1. სამართლებრივი ურთიერთდახმარების სახეები

სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, სამართლებრივი ურთიერთდახმარების სახეებია:<sup>12</sup>

- დოკუმენტების (მათ შორის სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების, მონმობების, ცნობებისა და სხვა დოკუმენტების ჩათვლით) შედგენა, გადაგზავნა, გამოთხოვა და ჩაბარება;
- მტკიცებულებების მოპოვება;
- მისამართებისა და სხვა მონაცემთა დადგენა;
- სამართლებრივი საკითხების თაობაზე ინფორმაციის გადაცემა/ მიწოდება;
- სასამართლოს გადაწყვეტილების,<sup>13</sup> სააღსრულებო წარწერების ცნობა და აღსრულება; ასევე, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენების ცნობა და აღსრულება მათთან დაკავშირებული სამოქალაქო სარჩელების ნაწილში;
- შესაბამისი ზომების მიღება სარჩელის უზრუნველსაყოფად და მოვალეთა მოსაძებნად;
- ექსპერტიზის ჩატარება;
- მხარეთა მონმეების, ბრალდებულთა და ექსპერტების დაკითხვა;
- საგნებისა და ადგილის დათვალიერება;
- ჩხრეკის ჩატარება, ამოღება, ნივთმტკიცებულების გადაგზავნა და გაცემა;

---

<sup>12</sup> ეს ჩამონათვალი აერთიანებს სამართლებრივი დახმარების იმ სახეებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მიერ გაფორმებულ მრავალმხრივ და ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე. იგი ასევე შეეხება სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების სახეებს, რომლებიც არ არის წინამდებარე სახელმძღვანელოს განხილვის საგანი. შესაბამისად, ჩამონათვალი ამ მიმართულებით არ არის ამომწურავი ხასიათისა.

<sup>13</sup> საბერძნეთის რესპუბლიკასა (28-ე მუხლი) და თურქეთის რესპუბლიკასთან (21-ე მუხლი) გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება, ნიუ-იორკის 1958 წლის შესაბამის კონვენციაზე მითითებით.

- სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა;
- დანაშაულის ჩამდენი პირების ძებნა და გადაცემა.

ჩამოთვლილი ურთიერთდახმარების სახეებიდან უკანასკნელი ოთხი შეეხება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს.

როგორც წესი, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი სახელმწიფო/მხარე თხოვნასთან დაკავშირებული საპროცესო და სხვა მოქმედებების შესრულებისას ხელმძღვანელობს თავისი შიდა კანონმდებლობით. იმ შემთხვევაში, თუ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებით შეთანხმებულია/ შეთანხმდება ამ მოქმედებების შესრულების რაიმე პროცედურა, მაშინ ადგილობრივ კანონმდებლობასთან მიმართებით სწორედ მას მიენიჭება უპირატესობა.

## **2. იუსტიციის დანესებულებები (კომპეტენტური ორგანოები) და ცენტრალური ორგანო**

მინსკის კონვენცია და შესაბამისი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები არეგულირებენ (I) იუსტიციის დანესებულებებისა (კომპეტენტური ორგანოების) და (II) ცენტრალური ორგანოს საქმიანობას. ამ ორი ტერმინის შინაარსობრივი გამიჯვნა არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების კონტექსტში. კერძოდ:

(I) იუსტიციის დანესებულებას წარმოადგენს ყველა ის კომპეტენტური სახელმწიფო დანესებულება თუ ორგანო, რომლებიც საჯარო ხელისუფლებას ახორციელებენ სამოქალაქო ან/და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. იუსტიციის დანესებულებათა სიაში შემავალი ასეთი ორგანოები შეიძლება იყოს: შესაბამისი ქვეყნის, საქართველოს, საერთო სასამართლოები, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული არქივი, სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ – საქართველოს ნოტარიუსთა

პალატა, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო და სხვ. ესენი ის უწყებებია, რომელთა ჩართულობაც არის აუცილებელი, რათა შესაბამისი სამართლებრივი დახმარება განხორციელდეს და აღსრულდეს.

(II) ცენტრალური ორგანო კი არის შესაბამისი სახელმწიფოს ის კონკრეტული საჯარო უწყება, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებით განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორც მთავარი ორგანო, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს იუსტიციის დაწესებულებათა ურთიერთდაკავშირება სამართლებრივი ურთიერთდახმარების განხორციელების მიზნებისათვის. მაგალითად, მინსკის კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად: „[...] კონვენციის აღსრულებისას ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური იუსტიციის დაწესებულებები ერთმანეთს უკავშირდებიან თავიანთი ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, თუკი წინამდებარე კონვენცია ურთიერთობის სხვაგვარ წესს არ ადგენს“. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მინსკის კონვენციის შემუშავებისას იდეა იუსტიციის დაწესებულებათა უშუალო და პირდაპირი ურთიერთობის თაობაზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიზნებისათვის არ იყო მხარდაჭერილი და მოწონებული.<sup>14</sup> შესაბამისად, კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ მათი კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთთან კომუნიკაციას სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიზნებისათვის განახორციელებენ ცენტრალური, ტერიტორიული ან სხვა ორგანოების მეშვეობით, თუ კონვენციით ურთიერთობის სხვაგვარი წესი არ არის განსაზღვრული. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებებიდან გამომდინარე, ხელშემკვრელი მხარე თავად განსაზღვრავს, სახელმ-

<sup>14</sup> Norros, *Judicial Cooperation in Civil Matters with Russia and Methods of Evaluation*, 2010, 214; *Евдокимовым-Михайленко*, *Международная правовая помощь по гражданским и уголовным делам: на примере стран СНГ*, 2004, 77.



ნიფოს შიგნით თუ რომელი ორგანო იქნება ცენტრალურ ორგანოდ განსაზღვრული. შესაბამისი ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოები ასეთ ორგანოთა სიას გადასცემენ დეპოზიტარს.

ზემოაღნიშნულის თანახმად, სამართლებრივ ურთიერთდახმარებას უშუალოდ ახორციელებენ იუსტიციის დაწესებულებები, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობას აწარმოებენ ცენტრალური ორგანოების გავლით, ამ ორგანოების თხოვნის საფუძველზე.

აქვე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რამდენად შეუძლია ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეს:

1. გამოტოვოს იუსტიციის დაწესებულება და უშუალოდ მიმართოს საკუთარ ქვეყანაში მოქმედ ცენტრალურ ორგანოს;
2. გამოტოვოს იუსტიციის დაწესებულება და საკუთარ ქვეყანაში მოქმედი ცენტრალური ორგანო და უშუალოდ მიმართოს მეორე სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს.

პირველ საკითხთან მიმართებით საქართველოში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომ, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ისე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეს, შეუძლია, უშუალოდ მიმართოს საქართველოს ცენტრალურ ორგანოს. გამონაკლისია სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომელსაც თავისი კომპეტენციის საკითხებზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №59 ბრძანების შესაბამისად, დელეგირებული აქვს ცენტრალური ორგანოს ფუნქციები.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ამ შემთხვევაში მოქალაქეს მოუწევს, ფოსტით გააგზავნოს საკუთარი განცხადება სხვა სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოში. დამკვიდრებული პრაქტიკით, საქართველოს ცენტრალური ორგანო უარს იტყვის ასეთი განცხადების შესრულებაზე, რადგან შეუძლებელი იქნება განმცხადებლის პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირება. ამასთან, საქართველოში დამკვიდრდა მიდგომა, რომ პროცესი წარმართოს ორივე

სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს ჩართულობით, რათა მოქალაქეთა განცხადებები და თხოვნები შეძლებისდაგვარად მათი წარმომავლობის ადგილზევე დაკორექტირდეს, შემცირდეს ხარვეზისა და პერსონალურ მონაცემთა ხელყოფის ალბათობა და ისე გადაიგზავნოს მეორე სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოში.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, ცენტრალური ორგანო იუსტიციის სამინისტრო.<sup>15</sup> გამონაკლისია შემდეგ სახელმწიფოებში არსებული ვითარება:

- თურქეთის რესპუბლიკის შემთხვევაში – ცენტრალურ ორგანოებად განსაზღვრულია დიპლომატიური არხები;
- კვიპროსის რესპუბლიკის შემთხვევაში – ცენტრალურ ორგანოებად განსაზღვრულია დიპლომატიური არხები;
- საბერძნეთის რესპუბლიკის შემთხვევაში – ცენტრალურ ორგანოებად განსაზღვრულია იუსტიციის სამინისტროები. ამასთან, დიპლომატიური არხებიც არ გამოირიცხება. ასევე, შესაძლებელია, კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს უშუალოდ დაუკავშირდნენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და ამის შესახებ ატყობინებენ იუსტიციის სამინისტროებს;
- ყაზახეთის რესპუბლიკის შემთხვევაში – განსაზღვრულია ყაზახეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მხოლოდ სასამართლო დავალებებზე, ხოლო დანარჩენ საკითხებთან მიმართებით ცენტრალური ორგანოს ფუნქციას ასრულებს ყაზახეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

---

<sup>15</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ფუნქციით აღჭურვილია ამავე სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი, დეპარტამენტის დებულების თანახმად; იხ.: საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №35 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, 2010 წლის 17 თებერვალი, ქ. თბილისი.

ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთდახმარება შეიძლება განხორციელდეს დიპლომატიური არხების მეშვეობით (დეტალურად იხ. I.B).

საბოლოოდ, ცენტრალური ორგანოების სია გამოიყურება შემდეგნაირად:

- საქართველო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სამოქალაქო აქტებისა და რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოთხოვის საჭიროების შემთხვევაში – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სამინისტრო;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკა – აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო;
- ბულგარეთის რესპუბლიკა – ბულგარეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო;
- სომხეთის რესპუბლიკა – სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო;
- თურქმენეთი – თურქმენეთის იუსტიციის სამინისტრო;
- თურქეთის რესპუბლიკა – დიპლომატიური არხები (საგარეო საქმეთა სამინისტრო);
- უკრაინა – უკრაინის იუსტიციის სამინისტრო;
- ყაზახეთის რესპუბლიკა – ყაზახეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, სასამართლო დოკუმენტების შემთხვევაში – უზენაესი სასამართლო;
- საბერძნეთის რესპუბლიკა – საბერძნეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო;
- უზბეკეთის რესპუბლიკა – უზბეკეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო;
- კვიპროსის რესპუბლიკა – დიპლომატიური არხები (საგარეო საქმეთა სამინისტრო);
- ჩეხეთის რესპუბლიკა – ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

დამკვიდრებული პრაქტიკით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ისეთ შემთხვევებშიც მოქმედებს როგორც ცენტრალური ორგანო, როდესაც ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით ცენტრალურ ორგანოდ სხვა უწყებაა განსაზღვრული. ეს ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს კეთილი ნების საფუძველზე.

### **3. ურთიერთობის ენა და თხოვნის/ თანდართული დოკუმენტაციის ენა**

მინსკის კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში გამოსაყენებელ ენასთან დაკავშირებით შეიძლება შეგვხვდეს ნორმები, რომლებიც არეგულირებს:

1. რომელ ენაზე მიმდინარეობს კომუნიკაცია იუსტიციის დაწესებულებებს შორის;
2. რომელ ენაზე უნდა იყოს შედგენილი თხოვნა და თხოვნასთან ერთად გადაგზავნილი დოკუმენტები;
3. რომელ ენაზე უნდა იყოს შედგენილი დოკუმენტები, რათა დოკუმენტების ჩაბარების შესახებ თხოვნა შესრულდეს და ადრესატზე გავრცელდეს დოკუმენტების სავალდებულოდ ჩაბარების წესები (ესე იგი, გამგზავნი არ იყოს დამოკიდებული ადრესატის კეთილ ნებაზე – ჩაბარებს თუ არა დოკუმენტებს);
4. რომელ ენაზე უნდა იყოს შედგენილი ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

მინსკის კონვენცია ითვალისწინებს მხოლოდ პირველ, მესამე და მეოთხე ტიპის რეგულირებებს. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დროსაც ყველა არ ითვალისწინებს ოთხივე ტიპის ენის რეგულირებას. ამგვარად, პრაქტიკაში შეიძლება შევხვდეთ შემთხვევას, როდესაც ენასთან დაკავშირებული ნორმები გამოიყენება ერთობლიობაში, კერძოდ, შესაძლოა, ზემოთ მითითებული ოთხი ტიპის ნორმებიდან რომელიმე ერთის რეგულირება გავრცელდეს დანარჩენ საკითხებზეც. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი განიხი-

**ლება არა მხოლოდ ხელშეკრულებების ტექსტის, არამედ პრაქტიკის გათვალისწინებითაც.**

წინამდებარე თავში განიხილება იუსტიციის დაწესებულებებს შორის ურთიერთობის ენისა (პირველი საკითხი) და თხოვნის და მასზე დართული დოკუმენტაციის შედგენის ენის (მეორე საკითხი) საკითხები. დანარჩენი ორი სამართლებრივი დახმარების კონკრეტულ სფეროებს (დოკუმენტების ჩაბარება და ცნობა-აღსრულება) შეეხება და განხილულია შესაბამის თავებში.

### **3.1. ურთიერთობის ენა**

**ურთიერთობის ენაში (პირველი საკითხი)** იგულისხმება ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნასთან დაკავშირებული კომუნიკაცია და ამ თხოვნის შესრულების ენა (ცენტრალურ ორგანოებს შორის ე.წ. „სამუშაო“ ენა).

ასე მაგალითად:

- მინსკის კონვენციით ცენტრალურ ორგანოებს შორის ურთიერთობის ენა განსაზღვრული არ არის, თუმცა პრაქტიკაში გამოიყენება რუსული ენა;
- საბერძნეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ენა და თარგმანი მიმღების სახელმწიფოს ან ინგლისური ენა;<sup>16</sup>
- ბულგარეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – რუსული ან შემკითხველი (იგულისხმება თხოვნის გამგზავნი) მხარის ოფიციალური ენა;<sup>17</sup>
- თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ენა და თარგმანი მიმღები სახელმწიფოს ან ინგლისურ ენაზე. ამასთან, სა-

---

<sup>16</sup> მე-4 და მე-9 მუხლები.

<sup>17</sup> მე-6 მუხლი.

მართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნა სრულდება შემსრულებელი მხარის ენაზე;<sup>18</sup>

- კვიპროსის რესპუბლიკასთან აღიარებული ხელშეკრულების თანახმად – არ არის განსაზღვრული;
- ჩეხეთის რესპუბლიკასთან აღიარებული ხელშეკრულების თანახმად – რუსული ან მხარეთა საკუთარი ენები.<sup>19</sup> ჩეხეთის რესპუბლიკასთან დამატებით არსებობს შეთანხმება ინგლისური ენის გამოყენებაზე;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – გამოიყენება ქართული და აზერბაიჯანული, აგრეთვე ინგლისური და რუსული ენები;<sup>20</sup>
- სომხეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – მხარეთა საკუთარი ენები ან რუსული ენა;<sup>21</sup>
- თურქმენეთთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – შემსრულებელი სახელმწიფოს ენა;<sup>22</sup>
- უკრაინასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ენა, რომელსაც ერთვის მიმღები მხარის ან რუსულ ენაზე დამონმებული თარგმანი;<sup>23</sup>
- ყაზახეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – მხარეთა საკუთარი ენა ან რუსული ენა;<sup>24</sup>
- უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ენა, რომელ-

---

<sup>18</sup> მე-11 მუხლი.

<sup>19</sup> მე-16 (1) მუხლი.

<sup>20</sup> მე-7(1) მუხლი.

<sup>21</sup> მე-7 მუხლი.

<sup>22</sup> მე-11 მუხლი, ბოლო აბზაცი.

<sup>23</sup> მე-5 მუხლი.

<sup>24</sup> იქვე.

საც ერთვის მიმღები მხარის ან რუსულ ენაზე დამონმებული თარგმანი.<sup>25</sup>

### **3.2. თხოვნისა და მასზე დართული დოკუმენტაციის შედგენის ენა**

მინსკის კონვენციის ფარგლებში თხოვნისა და მასზე დართული დოკუმენტაციის შესადგენად გამოიყენება მე-10 და მე-17 მუხლები. მე-17 მუხლი გამოიყენება კონკრეტულად ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც დოკუმენტების გადაგზავნა ხორციელდება იუსტიციის დანესებულებებს შორის; რაც შეეხება მე-10 მუხლს, ის განსაზღვრავს, თუ რომელ ენაზე უნდა იყოს შედგენილი დოკუმენტები, როდესაც ისინი უნდა ჩაბარდეს ადრესატ ფიზიკურ/იურიდიულ პირს.

მე-17 მუხლის მიხედვით, იუსტიციის დანესებულებები ერთმანეთთან ურთიერთობისას გამოიყენებენ საკუთარ სახელმწიფო ენებს ან რუსულ ენას, ხოლო, მე-10 მუხლის მიხედვით, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს იუსტიციის დანესებულება მაშინ ახორციელებს საკუთარი კანონმდებლობის საფუძველზე დოკუმენტების ჩაბარებას, როდესაც ის შედგენილია ადრესატის ენაზე ან რუსულ ენაზე, ან თან ერთვის ამ ენებზე დამონმებული თარგმანები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაბარებას დაემუქრება საფრთხე, ვინაიდან ადრესატს უფლება ექნება, უარი განაცხადოს დოკუმენტების მიღებაზე.

მე-10 მუხლთან დაკავშირებული საკითხები ასევე განხილულია უშუალოდ დოკუმენტების ჩაბარების თავში (იხ. II.F.2.2 თავი).

ეს საკითხი, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, შემდგენილია რეგულირდება:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – გამოიყენება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ენაზე დამონმებული თარგმანი;<sup>26</sup>

---

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> მე-7 (2) მუხლი.

- თურქმენეთთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – რუსულ ან თხოვნის მიმღების სახელმწიფოს ენაზე დამონმებული თარგმანი;<sup>27</sup>
- თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – ინგლისურ ან თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ენაზე დამონმებული თარგმანი;<sup>28</sup>
- კვიპროსის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ენა, თუმცა თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ენაზე დამონმებული თარგმანით;<sup>29</sup>
- ჩეხეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – თუკი თხოვნა და დოკუმენტები მიემართება ჩეხეთის რესპუბლიკას, მაშინ რუსული ან ინგლისური ენა, ხოლო, თუკი თხოვნა და დოკუმენტები მიემართება საქართველოს, ჩეხური ან ინგლისური ენა;<sup>30</sup>
- ყაზახეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – რუსული ენა;<sup>31</sup>
- უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში – თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ენა, თუმცა რუსულ ენაზე ან თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ენაზე დამონმებული თარგმანით.<sup>32</sup>

---

<sup>27</sup> მე-11 მუხლი.

<sup>28</sup> მე-11 (1) მუხლი.

<sup>29</sup> მე-13 (1) მუხლი.

<sup>30</sup> მე-16 (2) მუხლი (ასევე გასათვალისწინებელია დამატებითი შეთანხმება ჩეხეთთან ინგლისური ენის გამოყენების თაობაზე).

<sup>31</sup> მე-6 (1) მუხლი.

<sup>32</sup> მე-5 მუხლი, მეორე აბზაცი.



#### 4. ხარჯები

მინსკის კონვენცია და საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულებები არეგულირებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული ხარჯების საკითხს.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს **(I) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული ხარჯები** და **(II) ცალკეულ მოსაკრებელთა, ბაჟისა და გადასახდელთან მიმართებით არსებული შეღავათების** მარეგულირებელი ნორმები, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები.<sup>33</sup>

მინსკის კონვენციის მაგალითზე საყურადღებოა მე-2 და მე-18 მუხლები. კერძოდ:

(I) მე-18 მუხლი ცალსახად შეეხება უშუალოდ იმ ხარჯებს, რომლებიც ობიექტურად წარმოიშობა სამართლებრივი თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ გაწეული მოქმედებების შედეგად. ამ დებულების თანახმად კი, ყველა სახელმწიფო თავად ფარავს თავის ტერიტორიაზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით წარმოშობილ ხარჯებს. აქედან გამომდინარე, შესაბამისი პირისთვის ამ ხარჯებისაგან გათავისუფლების გამო საკმაოდ ხელსაყრელია სამართლებრივი ურთიერთდახმარების რეჟიმით სარგებლობა;

(II) მე-2 მუხლი კი ეფუძნება ზემოთ აღნიშნულ ძირითად თანასწორობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, ერთი ქვეყნის მოქალაქეები ცალკეულ მოსაკრებელთა, ბაჟისა და სხვა სახის გადასახდელთან მიმართებით სარგებლობენ იმავე შეღავათე-

---

<sup>33</sup> აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-2, მე-15 მუხლები; ბულგარეთის რესპუბლიკა – მე-3, მე-8 მუხლები; სომხეთის რესპუბლიკა – მე-3, მე-9 მუხლები; თურქეთის რესპუბლიკა – მე-9, მე-15, მე-16 მუხლები; უკრაინა – მე-14, მე-19 მუხლები; საბერძნეთის რესპუბლიკა – მე-13 მუხლი, მე-3 თავი; ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-14, მე-20, 21-ე მუხლები; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-14, მე-16 მუხლები; კვიპროსის რესპუბლიკა – მე-11 მუხლი, მე-3 თავი; ჩეხეთი – მე-14 მუხლი.

ბით, რომლებითაც კონკრეტული მეორე ქვეყნის მოქალაქეები და პირები. იმისათვის, რომ ამ შეღავათებით სარგებლობის წინაპირობები იქნეს დაცული, საჭიროა, პირმა იმოქმედოს კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი დებულებების შესაბამისად. ყოველივე ზემოთ განხილულის თანახმად, ერთ შემთხვევაში შესაბამისი პირი თავისუფლდება სამართლებრივი დახმარების განწევასთან დაკავშირებით წარმოშობილი ხარჯებისაგან, ხოლო მეორე შემთხვევაში მას საშუალება აქვს, იმავე შეღავათებით ისარგებლოს, რომლებიც არსებობს მეორე სახელმწიფოს მოქალაქეებისა და პირებისათვის სასამართლოს ბაჟზე, სანოტარო ხარჯსა და უფასო იურიდიულ მომსახურებაზე.

## **B. სამართლებრივი ურთიერთდახმარება და სუვერენიტეტი**

საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში ერთ სახელმწიფოს წარმოეშობა ვალდებულება, მეორე სახელმწიფოს თხოვნით საკუთარ იურისდიქციაში განახორციელოს სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ქმედება. ეს არის უცხო სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოს ორგანოების მხრიდან საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ერთი შეხედვით, შეიძლება ჩაითვალოს უცხო სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეზღუდვად.

მეორე მხრივ, სამართლებრივი ურთიერთდახმარება ხორციელდება ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, რაც, არსებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოთა თვითშეზღუდვისა და, შესაბამისად, სუვერენიტეტის გამოხატულებაა.<sup>34</sup>

---

<sup>34</sup> Loewenstein, Karl, *Sovereignty and International Cooperation* (1954), 225, [www.heinonline.org](http://www.heinonline.org), 48 Am. J. Int'l L. 222, 1954.

სწორედ სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის მიზნით, სამართლებრივი ურთიერთდახმარება მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში და ხორციელდება საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელთა ჩამონათვალიც წარმოდგენილია წინამდებარე სახელმძღვანელოს I.C თავში. ამ ჩარჩოების მიღმა განხორციელებული ისეთი ქმედებები, როგორებიცაა, მაგალითად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ან მტკიცებულებების მოპოვება, ჩაითვლებოდა მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეზღუდვად, თუ შესაბამისი ავტონომიური/ადგილობრივი კანონმდებლობით ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულება გათვალისწინებული არ არის.

მაგალითად, სკ-ის 62-ე–72-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობები, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც, ისეთ სახელმწიფოსთან მიმართებით, რომელთანაც საქართველოს არ აქვს გაფორმებული მრავალმხრივი ან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, დასაშვებია როგორც სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა, ასევე ასეთი ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ითვალისწინებს შესაძლებლობას, სამართლებრივი ურთიერთდახმარება განხორციელდეს არა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ შეთანხმებული პროცედურის, არამედ ე.წ. „დიპლომატიური არხების“ გამოყენებითაც.<sup>35</sup>

---

<sup>35</sup> მაგალითად, იხილეთ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის მე-12 მუხლი; ასევე შესაბამის სახელმწიფოებთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების მუხლები: აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-14, 38-ე მუხლები; ბულგარეთის რესპუბლიკა – მე-12, 25-ე(2) მუხლები; სომხეთის რესპუბლიკა – მე-13, მე-15(5), 23-ე(2) მუხლები; თურქმენეთი – მე-12, მე-17, 38-ე მუხლები; თურქეთის რესპუბლიკა – მე-17(2) მუხლი; უკრაინა – მე-11, მე-20(2), 38-ე(5) მუხლები; საბერძნეთის რესპუბლიკა – მე-16 მუხლი; ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-10, 21-ე(2), 39-ე მუხლები; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-11,

სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის აუცილებლობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, საერთაშორისო ხელშეკრულებების არსებობა არ გამორიცხავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს შესაძლებლობას, უარი განაცხადოს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების განწევაზე. უარის საფუძველი შეიძლება გახდეს მდგომარეობა, როდესაც ურთიერთდახმარების განწევაზე ხელშემკვრელი სახელმწიფოს თხოვნამ შესაძლოა, შელახოს მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტი<sup>36</sup>, უშიშროება ან, თუ ასეთი თხოვნის შესრულება ეწინააღმდეგება მეორე სახელმწიფოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს/საჯარო წესრიგს. ანალოგიური საფუძვლით სამართლებრივ დახმარებაზე უარის თქმა სკის 64-ე მუხლით იმ შემთხვევებისთვის არის გათვალისწინებული, როდესაც სახეზე არ არის შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი მოქმედი საერთაშორისო ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულება.<sup>37</sup>

---

47-ე მუხლები; კვიპროსის რესპუბლიკა – მე-4 მუხლი; ჩეხეთი – მე-10, მე-13(2) მუხლები.

<sup>36</sup> უარის თქმის საფუძველი შეიძლება ასევე გახდეს: მოთხოვნის შემსრულებელი სახელმწიფოს უსაფრთხოების დარღვევა, საჯარო წესრიგის დარღვევა, კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების დარღვევა და სხვ. მაგალითად, იხილეთ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის მე-19 მუხლი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების შემდეგი მუხლები: სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის, მე-9 მუხლი; საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, მე-17 მუხლი; ავტონომიურ/ადგილობრივ სამართალთან მიმართებით იხილეთ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 64-ე (ა) მუხლი.

<sup>37</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება – სუს, № ა-415-შ-28-07, 30 აპრილი, 2007, – რომელშიც სასამართლომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 64-ე მუხლით იხელმძღვანელა მაშინ, როდესაც სახეზე იყო როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება.

## C. სამართლებრივი საფუძვლები და გამოსაყენებელი სამართალი

### 1. კონვენციები და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო, ერთი მხრივ, არის მინსკის კონვენციის წევრი ქვეყანა, ხოლო მეორე მხრივ, გაფორმებული აქვს I.C.2 თავში ჩამოთვლილი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა უმეტესობაც პრინციპების დონეზე მინსკის კონვენციის მსგავსია. ამასთან, საქართველო არის საერთაშორისო ურთიერთდახმარების შესახებ განაცხადის გადაგზავნასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ხელშემკვრელი სახელმწიფო. სამართლებრივი ურთიერთდახმარების კუთხით საქართველოში მოქმედებს შემდეგი მრავალმხრივი საერთაშორისო ინსტრუმენტები:

- „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია („მინსკის კონვენცია“);<sup>38</sup>
- „სამართლებრივი ურთიერთდახმარების განევის შესახებ აპლიკაციის გადაგზავნის თაობაზე“ 1977 წლის 27 იანვრის სტრასბურგის ევროპული ხელშეკრულება („სტრასბურგის საერთაშორისო ხელშეკრულება“);<sup>39</sup>
- „ევროპული კონვენცია უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ“, 1968 წლის 7 ივნისი („ლონდონის კონვენცია/ევროპული კონვენცია“);<sup>40</sup>

---

<sup>38</sup> <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/336>.

<sup>39</sup> <http://www.coe.int/en/web/conventions/search-on-treaties/-/conventions/treaty/092>.

<sup>40</sup> <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/336>.

## 1.1. მინსკის კონვენცია

ზემოაღნიშნულ კონვენციებს შორის მინსკის კონვენცია შეიძლება გამოირჩეს შემდეგი მახასიათებლებით:

- ჯერ ერთი, იგი სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში პირველი მრავალმხრივი კონვენციაა, რომლის ხელშემკვრელიც საქართველო გახდა;
- მეორე, ეს კონვენცია, უპირატესად, ვრცელდება ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებზე,<sup>41</sup> რაც ამარტივებს ამ სახელმწიფოებთან დაკავშირებით სამართალურთიერთობას;
- მესამე, იგი არის ერთგვარად მოდელური კონვენცია, რომლის მსგავსიცაა ზემოთ აღნიშნული ის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს გაფორმებული აქვს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან.

მინსკის კონვენცია თავისი შინაარსით, ვიწრო გაგებით, მხოლოდ **სამართლებრივ დახმარებას** არ შეეხება – მისი გამოყენების სფერო ასევე მოქალაქეთა **სამართლებრივი დაცვის** საკითხებსაც მოიცავს.<sup>42</sup> შესაბამისად, კონვენცია როგორც სამართლებრივი დახმარების, ასევე სამართლებრივი დაცვის ნაწილში ეფუძნება ერთ ძირითად – **თანასწორობის** – პრინციპს. კერძოდ,

---

<sup>41</sup> საქართველოსთან ერთად მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებია: აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, ბელორუსის რესპუბლიკა, ყაზახეთის რესპუბლიკა, ყირგიზეთის რესპუბლიკა, მოლდოვის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთის რესპუბლიკა, თურქმენეთი, უკრაინა.

<sup>42</sup> იხ. ამონარიდი მინსკის კონვენციის პრეამბულიდან: „[...] კონვენციის მონაწილენი [...] გამომდინარე მისწრაფებიდან, უზრუნველყონ ხელშემკვრელ მხარეთა მოქალაქეებისათვის და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის ყველა ხელშემკვრელ მხარეში პირად და ქონებრივ უფლებებთან მიმართებით ისეთივე **სამართლებრივი დაცვის** მინიჭება, როგორც ენიჭება საკუთარ მოქალაქეებს, ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას თანამშრომლობის განვითარებას იუსტიციის დანესებულებათა მიერ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში **სამართლებრივი დახმარების** აღმოჩენის დარგში [...], შეთანხმდნენ შემდეგზე [...]“.

### კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად:

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები, ასევე მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორცაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები.
2. თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავის უფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები (შემდგომში – იუსტიციის დაწესებულებები); შეუძლიათ, გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, როგორი პირობებითაც სარგებლობენ მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები.

მინსკის კონვენციას აქვს საკუთარი რეგულირების სფერო და სტრუქტურა<sup>43</sup> და განსხვავდება ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის ფარგლებში<sup>44</sup> („ჰააგის რეჟიმი“) მიღებული კონვენციებისაგან. კერძოდ, კონვენცია შედგება სამი ტიპის ნორმათა ჯგუფისგან<sup>45</sup>:

- (1) მატერიალურსამართლებრივი ნორმები;
- (2) პროცესუალურსამართლებრივი ნორმები;

---

<sup>43</sup> Norros, Judicial Cooperation in Civil Matters with Russia and Methods of Evaluation, 2010, 214.

<sup>44</sup> <https://www.hcch.net/en/home>.

<sup>45</sup> Евдокимовым-Михайленко, Международная правовая помощь по гражданским и уголовным делам: на примере стран СНГ, 2004, 43-49.

(3) კოლიზიურსამართლებრივი ნორმები.<sup>46</sup>

ზემოაღნიშნულის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთდახმარების მატერიალურ და პროცესუალურსამართლებრივ ნორმათა გარდა, მინსკის კონვენცია საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ნორმებსაც შეიცავს, მაგალითად, საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებული მითითებითი ხასიათის ნორმებს.<sup>47</sup>

გარდა ამისა, ის თავისებურებები, რომლებიც მინსკის კონვენციას განასხვავებს ჰააგის რეჟიმის ფარგლებში მიღებული კონვენციებისაგან, არის შემდეგი:<sup>48</sup>

- კორესპონდენციის მთავარი ენაა რუსული (კონვენციის მე-17 მუხლი);
- მოქალაქეთა სამოქალაქო აქტებისა და სხვა ტიპის დოკუმენტების, როგორებიცაა: განათლების, შრომითი სტაჟისა და სხვა სახის დოკუმენტების – მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების თაობაზე – გადაცემა ხდება ერთგვაროვანი წესით (კონვენციის მე-14 მუხლი);
- კონვენცია ასევე შეიცავს შესაბამის ქვეყანაში მოქმედი სამართლისა და მისი გამოყენების პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გადაცემის თაობაზე მუხლებს (კონვენციის მე-15 მუხლი);
- სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე თხოვნის მიმღები და გამცემი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე წარმოშობილ ხარჯებს გაიღებენ თავად (კონვენციის მე-18 მუხლი).

---

<sup>46</sup> „კოლიზიურსამართლებრივ ნორმებში“ იგულისხმება მითითებითი ხასიათის საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ნორმები, რომელთა მეშვეობითაც დგინდება კონკრეტული სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი.

<sup>47</sup> იხ. მინსკის კონვენციის 37-ე მუხლი; *Norros, Judicial Cooperation in Civil Matters with Russia and Methods of Evaluation*, 2010, 214.

<sup>48</sup> *Norros, Judicial Cooperation in Civil Matters with Russia and Methods of Evaluation*, 2010, 216.



## **1.2. სტრასბურგის საერთაშორისო ხელშეკრულება**

ამ კონვენციის (რომელიც შექმნილია ევროპის საბჭოს ეგიდით) მიზანია, მასში განსაზღვრული რეგულირებების ფარგლებში გამარტივდეს სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ შესაბამისი მიმართვების ადრესატამდე მიწოდება. კერძოდ, კონვენციის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს, რომელსაც სურს სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე განცხადების გაკეთება მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, შეუძლია, ეს განცხადება შეიტანოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სპეციალურად განსაზღვრულ ორგანოში. განცხადებას შესაბამისი ორგანო გადაუგზავნის იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სპეციალურ ორგანოს, რომელშიც დაინტერესებულ პირს სურდა ურთიერთდახმარების თაობაზე განცხადების შეტანა.<sup>49</sup>

## **1.3. ლონდონის კონვენცია**

ლონდონის კონვენციის (რომელიც ევროპის საბჭოს კიდეც ერთი ინსტრუმენტია) დებულებების თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, ერთმანეთს მიანოლონ ინფორმაცია სამოქალაქო და კომერციულ სფეროში არსებულ კანონმდებლობასა და პროცედურებზე, ასევე მართლმსაჯულების ორგანოების თაობაზე.

ამ კონვენციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სკ-ის მე-3 მუხლთან მიმართებით და, ზოგადად, საქართველოში შესაბამისი იუსტიციის დანესებულებების (მაგალითად, სასამართლო ან ნოტარიუსი) მიერ უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენების გასამარტივებლად.

## **2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში საქართველოს გაფორმებული აქვს რიგი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, რომელთა დიდი ნაწილი გაფორმებულია მინსკის კონვენ-

---

<sup>49</sup> სტრასბურგის საერთაშორისო ხელშეკრულება, 1-ლი მუხლი.

ციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან, თუმცა რამდენიმე მათგანი გაფორმებულია მინსკის რეჟიმის მიღმა მყოფ სახელმწიფოებთან (ჩეხეთი, ბულგარეთის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, კვიპროსის რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა.). მინსკის რეჟიმის წევრ სახელმწიფოებთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებათა უმრავლესობა თავისი შინაარსითა და სტრუქტურით მინსკის კონვენციის მსგავსია.

ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ სახელმწიფოებთან:<sup>50</sup>

- აზერბაიჯანის რესპუბლიკა (1996 წლის 8 მარტი);
- ბულგარეთის რესპუბლიკა (1995 წლის 19 იანვარი);
- თურქეთის რესპუბლიკა (1996 წლის 4 აპრილი);
- თურქმენეთი (1996 წლის 20 მარტი);
- კვიპროსის რესპუბლიკა (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2000 წლის 6 ივლისის ნოტა №171 ხელშეკრულების ძალაში დატოვების თაობაზე);
- საბერძნეთის რესპუბლიკა (1999 წლის 10 მაისი);
- სომხეთის რესპუბლიკა (1996 წლის 4 ივნისი);
- უკრაინა (1995 წლის 9 იანვარი);
- უზბეკეთის რესპუბლიკა (1996 წლის 28 მაისი);
- ყაზახეთის რესპუბლიკა (1996 წლის 17 სექტემბერი);
- ჩეხეთი (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 04 თებერვლის № 01/4556 ნოტა ხელშეკრულების ძალაში დატოვების თაობაზე).

### **3. ჰააგის რეჟიმის კონვენციები**

საქართველო ამჟამად არ არის სამართლებრივი დახმარების სფეროში არსებული ჰააგის ყველა კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო, თუმცა წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნები-

---

<sup>50</sup> ხელშეკრულებები იხ. <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/336>.

სათვის, ასევე „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ (შემდეგში – „ასოცირების შესახებ შეთანხმება“), საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014–2016 წლების ასოცირების დღის წესრიგისა და მისი განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის № 382 განკარგულების (სამოქმედო გეგმა) კონტექსტში, ასევე საქართველო-ევროკავშირს შორის 2017–2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის<sup>51</sup> გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათზე მითითება. სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში საყურადღებო კონვენციებია:

- სამოქალაქო პროცესთან დაკავშირებით 1954 წლის 1-ლი მარტის ჰააგის კონვენცია (შემდეგში – „1954 წლის ჰააგის კონვენცია“),<sup>52</sup> **(საქართველო არ არის წევრი)**;
- უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენცია (შემდეგში – „აპოსტილის კონვენცია“),<sup>53</sup> **(საქართველო არის წევრი)**;
- სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სასამართლო და სასამართლოსგარეშე დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ 1965 წლის 15 ნოემბრის ჰააგის კონვენცია (შემდეგში – „დოკუმენტების ჩაბარების კონვენცია“),<sup>54</sup> **(საქართველო არ არის წევრი)**;
- სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე საზღვარგარეთ მტკიცებულებების მოპოვების შესახებ 1970 წლის 18 მარტის ჰააგის

<sup>51</sup> [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex\\_ii\\_-\\_eu-georgia\\_association\\_agenda\\_text.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf).

<sup>52</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=33>.

<sup>53</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=41>.

<sup>54</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=17>.

კონვენცია (შემდეგში – „მტკიცებულებათა კონვენცია“),<sup>55</sup> (საქართველო არ არის წევრი);

- სასამართლოზე შეთანხმების არჩევის 2005 წლის 30 ივნისის კონვენცია<sup>56</sup> (შემდეგში – „სასამართლოს არჩევის კონვენცია“) (საქართველო არ არის წევრი).

ასოცირების დღის წესრიგისა და სამოქმედო გეგმის თანახმად, დაწყებულია 1965 წლის 15 ნოემბრის დოკუმენტების ჩაბარების კონვენციისა და 1970 წლის 18 მარტის მტკიცებულებათა კონვენციასთან მიერთებისთვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

#### **4. შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადაც არ არსებობს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება**

ისეთ დროს, როდესაც საქართველოსა და მეორე სახელმწიფოს შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, ურთიერთდახმარება შეიძლება განხორციელდეს დიპლომატიური არხების მეშვეობით ან, სკ-ის 62-ე–67-ე მუხლების თანახმად, უშუალოდ შესაბამისი სახელმწიფოსა და საქართველოს სასამართლოების მეშვეობით, ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე ან უშუალოდ იუსტიციის სამინისტროებისა<sup>57</sup> თუ საგარეო საქმეთა სამინისტროების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქტიურად ერთვება კეთილი ნების საფუძველზე უცხო ქვეყანაში გასაგზავნი დოკუმენტების პაკეტის სათანადო ფორმით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაფორმების მიზნით, შედგენის პრო-

<sup>55</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=82>.

<sup>56</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=98>.

<sup>57</sup> მაგალითად: ლატვია-საქართველო. დიპლომატიური არხების გვერდის ავლით უშუალოდ შესაბამისი ქვეყნების იუსტიციის სამინისტროების მეშვეობით ხდება სამართლებრივი ურთიერთდახმარება, კეთილი ნების საფუძველზე.

## მაგალითი

A სახელმწიფომ უნდა შეასრულოს B სახელმწიფოს თხოვნა მოწმეების დაკითხვის შესახებ. ამისათვის A სახელმწიფო გამოიყენებდა საკუთარ პროცედურას, რომლის მიხედვითაც მოწმე აუცილებლად უნდა იქნეს გაფრთხილებული სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე; B სახელმწიფომ A სახელმწიფოს სთხოვა, გამოეყენებინა მისი პროცედურა, რომლის მიხედვითაც მოწმის გაფრთხილება აუცილებელი არ არის და ხდება მხოლოდ მხარის შუამდგომლობით; მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე, A სახელმწიფომ უარი განაცხადა B სახელმწიფოს პროცედურის გამოყენებაზე, რადგან ის არსებითად ეწინააღმდეგებოდა A სახელმწიფოს კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს, რომლებიც შეეხება მოწმის უფლებებს.

ცესში, რათა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს გაუმარტივედეს საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილება. ასეთ შემთხვევაში, ნაცვალგება-ორმხრივობის პრინციპის გამოყენება არ გულისხმობს რომელიმე სახელმწიფოს ვალდებულებას, განუხრელად დაიცვას ეს პრინციპი<sup>58</sup> და შესაბამის პირთა ინტერესები. ეს შეიძლება მოხდეს სამართლებრივი ურთიერთდახმარების კონტექსტში, სახელმწიფოთა კეთილი ნების საფუძველზე.

## 5. გამოსაყენებელი სამართალი

მინსკის კონვენციისა<sup>59</sup> და ორმხრივი ხელშეკრულებების დებულებების მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთ-

დახმარების განვიხილავთ უცხო ქვეყნის თხოვნის შემსრულებელი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანო (მათ შორის სასამართლო) ხელმძღვანელობს ადგილობრივი კანონმდებლობით. როგორც მინსკის კონვენცია, ისე ორმხრივ ხელშეკრულებათა უმეტესობა უშვებს, რომ შესრულების პროცედურაზე (მეთოდებსა და ხერხებზე) შესაძ-

<sup>58</sup> Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 6. Auflage, Rn. 198.

<sup>59</sup> იხ. მე-8(1) მუხლი.

ლოა გავრცელდეს უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს, სუვერენიტეტს ან საჯარო წესრიგს.<sup>60</sup>

ამასთან, სპეციფიკური შემთხვევაა ისეთი სამართლებრივი დახმარების განწევა, რომლის შესრულებაც სასამართლოს კომპეტენციაა (მაგალითად, მტკიცებულებების სასამართლო წესით გამოთხოვა ან უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება) და არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში თხოვნის შემსრულებელი საქართველოს სასამართლო გამოიყენებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონს *lex fori*<sup>61</sup>-ს პრინციპზე დაყრდნობით.<sup>62</sup> აქედან გამომდინარე, ასეთი ტიპის ურთიერთდახმარების განწევისას გამოსაყენებელი ნორმა უნდა იყოს სკ-ის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „*უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად*“. ამდენად, ქართული სასამართლოსათვის გამოსაყენებელი უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმები.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ადგილობრივი კანონმდებლობა სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით საკმაოდ მოქნილ რეგულირებას

---

<sup>60</sup> მაგალითად, იხილეთ საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის, მე-10(1) მუხლი.

<sup>61</sup> „*lex fori*“-ს პრინციპის („*forum regit processum*“) თანახმად, საქართველოს სასამართლო იყენებს თავის საპროცესო და საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს. შეად.: *Schack, Internationales Zivilverfahrensrecht*, 6. Auflage, Rn. 45.

<sup>62</sup> სვანაძე, *საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკება და მათი შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე*, ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, თბილისი, V გამოცემა, 2015, გვ 53.

ადგენს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევებისთვის. კერძოდ, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილით საგამონაკლისო წესით დადგენილია, რომ სამართლებრივი დახმარების თაობაზე „[...] შუამდგომლობის აღმძვრელი სასამართლოს თხოვნით, საპროცესო მოქმედების შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები, თუ ისინი საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.“ ეს ნორმა ერთგვარი წინსწრებით გაცხადებული კეთილი ნებაა ნაცვალგების თაობაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსა და ისეთ სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების სრულყოფილად განხორციელებას, რომლებთანაც საქართველოს არ აქვს გაფორმებული საერთაშორისო ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულება. თუმცა ამ ნორმის გამოყენება საგამონაკლისო წესით შეიძლება მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებებისა და სამართლებრივი ასპექტების საქართველოს სამართლის ძირითადი პრინციპების კონტექსტში განხილვის საფუძველზე.

## **6. ორმხრივობის/ნაცვალგების პრინციპი**

საქართველო არის „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ 1969 წლის 23 მაისის ვენის კონვენციის<sup>63</sup> ხელშემკრელი მხარე. ამ კონვენციის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დათქმა, რომელიც გაკეთებულია სხვა მხარის მიმართ:

(a) დათქმის გამკეთებელი სახელმწიფოსათვის ცვლის ამ მეორე მხარესთან ურთიერთობაში ხელშეკრულების იმ დებულებებს, რომლებსაც ეხება დათქმა, მხოლოდ დათქმის მოქმედების ფარგლებში; და

---

<sup>63</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2608263>.

(b) იმავე ფარგლებში ცვლის აღნიშნულ დებულებებს ამ მეორე მხარისათვის დათქმის გამკეთებელ სახელმწიფოსთან მისი ურთიერთობისას.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ კონვენციის ამ მუხლიდან გამომდინარეობს ნაცვალგების პრინციპი<sup>64</sup>, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების განევისას, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შინაარსის ორმხრივი/მრავალმხრივი ხელშეკრულებაა გაფორმებული იმ სახელმწიფოებს შორის.

ნაცვალგების პრინციპი მოქმედებს მაშინაც, როდესაც, მიუხედავად ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებისა, ერთი სახელმწიფო უარს აცხადებს სამართლებრივ დახმარებაზე. ასეთ შემთხვევაში მეორე სახელმწიფო უფლებამოსილი უნდა იყოს, თავადაც უარი განაცხადოს მსგავსი ტიპის დახმარების განევაზე.<sup>65</sup>

ეს უკანასკნელი გამომდინარეობს კონვენციის მე-60 მუხლიდანაც, რომლის მიხედვით, თუკი ერთ-ერთი სახელმწიფო დაარღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, მეორე მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს, ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება. ასეთი ზომის მიღებამდე საჭიროა, დაკმაყოფილდეს გარკვეული წინაპირობები (მაგალითად, დარღვევის არსებობა).

იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის კონკრეტულ ქვეყანასთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება, ნაცვალგების/ორმხრივობის პრინციპი მოქმედებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის

---

<sup>64</sup> Greig, D.W, *Reciprocity, Proportionality, and the Law of Treaties* (1993-1994), 332.

<sup>65</sup> აქ არ მოიაზრება ის შემთხვევები, როდესაც ურთიერთდახმარებაზე უარის თქმა განხორციელდა ლეგიტიმური მიზეზით, მაგალითად, თუკი მოთხოვნა საფრთხეს უქმნიდა მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას ან/და საჯარო წესრიგს.



„ე“ ქვეპუნქტით დადგენილი პირობებით,<sup>66</sup> უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოში ცნობის კონტექსტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში იუსტიციის სამინისტრო კეთილი ნების საფუძველზე ასევე ახორციელებს დოკუმენტების (მათ შორის, სასამართლო დოკუმენტების) მიწოდებას/ჩაბარებას (დეტალურად იხ. II.D.2 თავი).

## D. გამოყენების სფერო

სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმეების<sup>67</sup> დეფინიცია არ არის მოცემული არც ჰააგის კონვენციებში და არც მინსკის კონვენციაში,<sup>68</sup> თუმცა შესაბამისი განმარტებებია ზოგიერთ ორმხრივ ხელშეკრულებაში. მაგალითად:

- ბულგარეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, ტერმინი „სამოქალაქო საქმეები“ გულისხმობს: (ა) საქართველოს რესპუბლიკა-

---

<sup>66</sup> „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ [აღნიშნული] უცხო ქვეყნის სასამართლო არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

<sup>67</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, მინსკის კონვენციასა და შესაბამის ორმხრივ ხელშეკრულებებში გამოყენებულია შესიტყვება „სამოქალაქო და საოჯახო საქმეები“, ხოლო საკუთრივ „სამენარმეო საქმეები“, როგორც ცალკე მდგომი საქმეთა კატეგორია არ არის დაკონკრეტებული. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისთვის შესიტყვებები: „სამოქალაქო და საოჯახო საქმეები“ და „სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმეები“ გამოიყენება ერთი და იმავე მნიშვნელობით, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კატეგორიის საქმეები, ფართო გაგებით, მოიცავს როგორც საოჯახო, ასევე სამენარმეო კატეგორიის საქმეებსაც.

<sup>68</sup> ჰააგის კონვენციების გამოყენების სფეროსთან დაკავშირებით უახლესი მსჯელობების სანახავად, იხ. <https://assets.hcch.net/docs/9be83162-a32b-457c-8232-16748c841789.pdf>.

ში – სამოქალაქო, საქორწინო-საოჯახო, სამეურნეო საქმეებს; (ბ) ბულგარეთის რესპუბლიკაში – სამოქალაქო, საოჯახო და სავაჭრო საქმეებს.<sup>69</sup>

- სომხეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, ტერმინი „სამოქალაქო საქმეები“ განისაზღვრება თითოეული მხარის ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>70</sup>
- თურქმენეთთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, ტერმინი „სამოქალაქო საქმეები მოიცავს სამოქალაქო სამართალს, საოჯახო სამართალსა და სავაჭრო სამართალს“.<sup>71</sup>
- უკრაინასთან გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში ფიგურირებს მითითება, რომ „სამოქალაქო საქმეები“ ასევე მოიცავენ საოჯახო საქმეებსაც.<sup>72</sup>
- კვიპროსის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება უკრაინის მსგავსად მიუთითებს, რომ „სამოქალაქო საქმეები“ მოიცავს საოჯახო საქმეებსაც.<sup>73</sup>
- ყაზახეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, ტერმინი „სამოქალაქო საქმეები“ მოიცავს საოჯახო, შრომით, სამემკვიდრეო, სამეურნეო საქმეებს.<sup>74</sup>
- საბერძნეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, ტერმინი „სამოქალაქო საქმეები“ მოიცავს სავაჭრო და საოჯახო საქმეებს და აგ-

---

<sup>69</sup> 1-ლი(4) მუხლი.

<sup>70</sup> 1-ლი(3) მუხლი.

<sup>71</sup> მე-5 მუხლი, მეორე აბზაცი.

<sup>72</sup> 1-ლი(3) მუხლი.

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> იქვე.

რეთვე საქმეებს, რომლებიც უკავშირდება პირთა პიროვნულ სტატუსს.<sup>75</sup>

- უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში არსებობს ჩანაწერი, რომ „სამოქალაქო და საოჯახო საქმეები“ ასევე მოიცავს შრომით საქმეებსაც.<sup>76</sup>
- ჩეხეთთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით ასევე მხოლოდ ისაა განსაზღვრული, რომ ხელშეკრულების მოქმედების სფერო მოიცავს შრომით საქმეებსაც.<sup>77</sup>

ზემოთ მოცემული ჩამონათვალის გათვალისწინებით, საქართველოსათვის ურთიერთდახმარების ფარგლებში შეიძლება მოექცეს *სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეურნეო, სავაჭრო* და *პირთა პიროვნულ სტატუსთან დაკავშირებული საქმეები*, აგრეთვე *სხვა ნებისმიერი საქმე, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო კატეგორიის საქმედ.*

არცერთ ხელშეკრულებაში განმარტებული არ არის, თუ კონკრეტულად რა ტიპის საქმეები იგულისხმება ე.წ. „სავაჭრო“ ან „სამეურნეო“ საქმეებში.

### *ევროკავშირი*

უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ რეგულაციის (*Brussels I Regulation*<sup>78</sup> / რეგულაცია) მიზნებისათვის, სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმე-

<sup>75</sup> 48-ე(1)(A) მუხლი.

<sup>76</sup> მე-2 (3) მუხლი.

<sup>77</sup> მე-2 (1) მუხლი.

<sup>78</sup> REGULATION (EU) No 1215/2012 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters (recast) (ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:351:0001:0032:en:PDF>)

ები არ მოიცავს საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციულ საქმეებს. ასევე, რეგულაცია არ ფარავს ზოგიერთ სამოქალაქო საქმესაც, მათ შორის, საოჯახო, ქმედუნარიანობის, გადახდისუნარიანობის, სოციალური დაცვის საკითხებს, არბიტრაჟს, მემკვიდრეობასა და უფლებამონაცვლეობას.

აქვე აღსანიშნავია, რომ დოკუმენტების ჩაბარების შესახებ რეგულაციის<sup>79</sup> მიზნებისათვის სამოქალაქო და სამენარმეო საქმეები არ მოიცავს საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციულ საქმეებს, ასევე საქმეებს, რომლებიც შეეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელება/არ განხორციელების გამო.<sup>80</sup>

რაც შეეხება მტკიცებულებების მოპოვების შესახებ რეგულაციას<sup>81</sup>, მისი მიზნებისათვის სამოქალაქო და სამენარმეო საქმეები მოიცავს ნებისმიერ საქმეს, რომელიც მიმდინარეობს სამოქალაქო ან სამენარმეო სამართლის, სამომხმარებლო სამართლის, შრომის სამართლის და კონკურენციის სამართლის (კერძო ურთიერთობების თვალსაზრისით) საფუძველზეც კი. აღნიშნული რეგულაცია ასევე მოიცავს საქმეებს, რომლებსაც არ ფარავს *Brussels I Regulation*-ი, მათ შორის, საოჯახო, ქმედუნარიანობის, გადახდისუნარიანობის, მემკვიდრეობის, უფლებამონაცვლეობისა და სხვა საქმეებს<sup>82</sup>.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯელობს თუ რამდენად მიეკუთვნება ესა თუ ის საქმე „სამოქალაქო და სამენარმეო“ საქმეთა რიგს, თუმცა სასამარ-

---

<sup>79</sup> Council Regulation (EC) No 1348/2000 of 29 May 2000 on the service in the Member States of judicial and extrajudicial documents in civil or commercial matters.

<sup>80</sup> ევროკავშირის კომისია, *A guide for legal practitioners — Judicial cooperation in civil matters in the European Union*, §.9.2.1.

<sup>81</sup> Regulation (EC) No 1206/2001 on the cooperation between the courts of the Member States in the taking of evidence in civil or commercial matters.

<sup>82</sup> Practice guide for the application of the regulation on the taking of evidence, § 7.

თლოს ჩამოყალიბებული აქვს ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც, „ტერმინი სამოქალაქო და სამენარმეო საქმეები დამოუკიდებელი კონცეფციაა, რომელიც უნდა შეფასდეს დამოუკიდებლად, პირველ რიგში კონვენციის [იგულისხმება *Brussels Convention*, რომელიც წარმოადგენს ზემოხსენებული *Brussels I Regulation*-ის ერთ-ერთ პირველად წყაროს] მიზნებისა და სტრუქტურის და შემდეგ ადგილობრივი [ეროვნული] კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით“.<sup>83</sup>

### ჰააგის კონვენციები

ტერმინი სამოქალაქო და სამენარმეო საქმეები არ არის განმარტებული ჰააგის კონვენციებში. თუმცა, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის სპეციალური კონფერენციის ერთ-ერთი კომისიის განმარტებით, ხსენებული ტერმინი უნდა განიმარტოს ავტონომიურად, რომელიმე სახელმწიფოს, მათ შორის, სამართლებრივი ურთიერთდახმარების თხოვნის გამცემი ან შემსრულებელი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის დამოუკიდებლად; ამავე კომისიის განმარტებით, „სამოქალაქო და კომერციული საქმეები“ მოიცავს გადახდისუნარიანობის, სადაზღვევო და შრომის სამართლიდან გამომდინარე საქმეებსაც.<sup>84</sup> ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტერმინს შეიძლება მიეცეს ნეგატიური განმარტება, რომლის თანახმადაც სამოქალაქო და კომერციული საქმეები არ მოიცავს სისხლისა და საგადასახადო საქმეებს, ასევე საქმეებს, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილებების განხორციელებიდან. თუმცა ჰააგის კონვენციების მოქმედების არეალში მოხვდება საქმეები, სადაც ერთ-ერთ მხარეს წარ-

<sup>83</sup> საქმეები 29/76 *LTU* 71/[1976] ECR 1541; *Bavaria-Germanair* [1977] ECR 1517; 133/78 *Gourdain* [1978] ECR 733.

<sup>84</sup> Federal Office of Justice (FOJ), *International Judicial Assistance in Civil Matters – Guidelines*, გვ 10; განმარტებები იხ. <https://assets.hcch.net/docs/Oedbc4f7-675b-4b7b-8e1c-2c1998655a3e.pdf>, პ.69.

მოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გამოდის კერძო სამართლის სუბიექტის როლში.<sup>85</sup>

ჰააგის კონვენციების მოქმედების სფეროში ასევე ექცევა საოჯახო, მემკვიდრეობითი, სამენარმეო, სახელშეკრულებო, ინტელექტუალური საკუთრებისა და სხვა საქმეები.<sup>86</sup>

*მინსკის კონვენცია და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები*

ზემოაღნიშნულ კონტექსტში შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ავტონომიური განმარტების მეთოდი, თუმცა ასევე შესაძლებელია, სამართლებრივი ურთიერთდახმარების თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ, საკუთარ იურისდიქციაში დამკვიდრებული პრინციპების შესაბამისად, სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმეებად დააკვალიფიციროს კონკრეტული კატეგორიის ურთიერთობები. საქართველოს შიდა კანონმდებლობის მაგალითზე სამოქალაქო, საოჯახო და სამენარმეო საქმეებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ კატეგორიის საქმეები, რომლებიც ჩამოთვლილია საქართველოს სა-

**მაგალითი**

A სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ მიიღო დავალება B სახელმწიფოში მიმდინარე დავის ფარგლებში A სახელმწიფოს ეკონომიკის სამინისტროსთვის (მოპასუხე) სარჩელის ჩაბარების თაობაზე. მოსარჩელეს წარმოადგენს B სახელმწიფოს იურიდიული პირი.

იურიდიულმა პირმა ეკონომიკის სამინისტროს მიანოდა სამი ავტომობილი, ხოლო სამინისტრომ დააგვიანა თანხის გადახდა. თხოვნის შემსრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ნასყიდობის ხელშეკრულება ჩაითვალა ჩვეულებრივ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობად. შესაბამისად, მასთან დაკავშირებული სარჩელიც დაექვემდებარა სამოქალაქო და სამენარმეო საქმეებში სამართლებრივი ურთიერთდახმარების ნორმებს.

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> იქვე.

მოქალაქო საპროცესო კოდექსის („სსსკ“) მე-11 მუხლში<sup>87</sup> და ასევე სხვა კატეგორიის საქმეები, რომლებიც თავიანთი სამართლებრივი ბუნებით სამოქალაქო კვალიფიკაციისთვის საჭირო კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

## **E. კოლიზია საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის**

შეიძლება არსებობდეს შემთხვევა, როდესაც ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება ერთმანეთს ან მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მაგალითად, მინსკის კონვენციას. ასეთი შემთხვევისას სახელმძღვანელო პრინციპად შეიძლება მოშველიებულ იქნეს „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ 1969 წლის 23 მაისის ვენის კონვენციით და მისი 30-ე მუხლით დადგენილი პრინციპები.

ამ ნორმის მიხედვით, უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან გაფორმებულ ხელშეკრულებას და წინა ხელშეკრულება მხოლოდ იმ ფარგლებში ინარჩუნებს ძალას, რომელ ფარგლებშიც არ ეწინააღმდეგება გვიანდელ ხელშეკრულებას.<sup>88</sup>

თუმცა იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულებით დადგენილია, რომ მისი გაფორმება განპირობებულია რომელიმე სხვა ხელშეკრულებით, ან რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რომელიმე სხვა ხელშეკრულებას, უპირატესი ძალა ენიჭება ამ სხვა ხელშეკრულების დებულებებს.<sup>89</sup> ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ხელშეკრულებათა გაფორმების ქრონოლოგიას.

აქვე უნდა ითქვას, რომ, თუკი გვიანდელი ხელშეკრულების რო-

---

<sup>87</sup> იხ. სსსკ-ის მე-11 მუხლი. შეად.: *Svanadze, Grundlagen des Deutsch-Georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse*, 2014, 45.

<sup>88</sup> „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ 1963 წლის 23 მაისის ვენის კონვენცია, 30-ე (3) მუხლი.

<sup>89</sup> იქვე, 30-ე (2) მუხლი.

მელიმე მხარე, ამავე დროს, არ არის ადრინდელი ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარე, გვიანდელი ხელშეკრულების მხარეებს შორის შესაბამისი ურთიერთობა დარეგულირდება ამავე – გვიანდელი – ხელშეკრულებით.<sup>90</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიერ გაფორმებული ზემოაღნიშნული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარეები ასევე მინსკის კონვენციის მხარეებიც არიან და, ამავდროულად, ისინი თავიანთი სტრუქტურითა და შინაარსით, არსებითად, მინსკის კონვენციის მსგავსია, წინამდებარე თავში განხილული კოლიზიის საკითხი მანაც არ კარგავს აქტუალურობას. საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ისეთ ქვეყნებთანაც, რომლებიც არ არიან მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები (საბერძნეთის რესპუბლიკა, ბულგარეთის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, ჩეხეთი, კვიპროსის რესპუბლიკა). შესაბამისად, ამ ქვეყნებთან მიმართებით განსახილველი საკითხი აუცილებლად შეიძენს აქტუალურობას, როდესაც საქართველო რომელიმე ისეთ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას შეუერთდება, რომლის წევრებიც ჩამოთვლილი სახელმწიფოებიც არიან. მაგალითად, ასეთ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს 1965 წლის 15 ნოემბრის ჰააგის დოკუმენტების ჩაბარების კონვენცია<sup>91</sup> და 1970 წლის 18 მარტის ჰააგის მტკიცებულებათა კონვენცია.<sup>92</sup>

---

<sup>90</sup> იქვე, 30-ე (4(b)) მუხლი.

<sup>91</sup> სახელმწიფოები, რომლებთანაც საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, მაგრამ არ არიან მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები, წარმოადგენენ 1965 წლის 15 ნოემბრის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს. იხ. <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/status-table/?cid=17>.

<sup>92</sup> კვიპროსის გარდა, ამ შემთხვევაშიც ის სახელმწიფოები, რომელთანაც საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, მაგრამ არ არიან მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები, წარმოადგენენ 1970 წლის 18 მარტის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს. იხ. <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/status-table/?cid=82>.



ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების უმრავლესობა უფრო გვიანდელია და, ამასთან, არცერთ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, რომ მისი გაფორმება განპირობებულია მინსკის კონვენციით ან რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მინსკის კონვენციას. შესაბამისად, მინსკის კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ უმთავრეს როლს ასრულებს მათი ქრონოლოგიის საკითხი. აქედან გამომდინარე, მინსკის კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, ერთი მხრივ, შესაძლებელია, უპირატესობა მიენიჭოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმების გამოყენებას; თუმცა, მეორე მხრივ, ასევე გასათვალისწინებელია ქვემოთ განხილული საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შორის კონფლიქტის გადაჭრის რამდენიმე საერთაშორისო საჯაროსამართლებრივი მეთოდი/პრინციპი, რომელთა თანახმადაც, ცალკეულ შემთხვევებში, ხელშეკრულებათა გაფორმების ქრონოლოგიის მიუხედავად, შესაძლებელია მრავალმხრივი ხელშეკრულების (მინსკის კონვენციის) დებულებების გამოყენება.

ამასთან, საყურადღებოა, რომ მინსკის კონვენციის 82-ე მუხლის მიხედვით, მისი დებულებები არ ეწინააღმდეგება იმ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა წევრებიც არიან ხელშემკვერი მხარეები. საგულისხმოა, რომ მინსკის კონვენციის 82-ე მუხლით არ არის დაკონკრეტებული, შეეხება თუ არა ის მომავალში გასაფორმებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებსაც. იმ შემთხვევაში, თუ 82-ე მუხლი იმგვარად იქნება გაგებული, რომ ის მოიცავს როგორც წარსულში, ისე მომავალში გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მაშინ ეს ქმნის დამატებით საფუძველს, უპირატესობა მიენიჭოს ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

საბერძნეთის რესპუბლიკასთან, ბულგარეთის რესპუბლიკასთან, თურქეთის რესპუბლიკასთან, ჩეხეთსა და კვიპროსის რესპუბ-

ლიკასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ სრულად გამოიყენება ვენის კონვენციის 30-ე მუხლის მე-4 ნაწილის „b“ ქვეპუნქტი და საქართველოსა და ამ ქვეყნებს შორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მხოლოდ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

ზემოაღნიშნული მეთოდის გარდა, განხილული კოლიზიისა და შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შორის კონფლიქტის გადაჭრის რამდენიმე საერთაშორისო საჯაროსამართლებრივი მეთოდი/პრინციპი არის ცნობილი. კერძოდ, ესენია:

**(I) უფრო ხელსაყრელი ნორმის პრინციპი (the principle of the more favourable provision<sup>93</sup>):**

ამ პრინციპის თანახმად, განურჩევლად საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტთა მიღების დროისა, უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც უფრო ხელსაყრელია დასაცავი ინტერესისთვის. ეს პრინციპი, როგორც წესი, გამოიყენება იმ სფეროში, როდესაც შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტით ხდება ადამიანთა უფლებების, გარემოს, კულტურული მემკვიდრეობისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა.

**(II) მაქსიმალური ეფექტიანობის პრინციპი (the principle of maximum effectiveness<sup>94</sup>):**

ეს პრინციპი, ფაქტობრივად, წინამორბედი პრინციპის ანალოგია, თუმცა ის უფრო მეტად ტექნიკური ხასიათის მეთოდად არის განხილული, რომელიც უშუალოდ სამართლებრივი ურთიერთდახმარების კონტექსტში გამოიყენება. ამ პრინციპის თანახმად, რამდენიმე ერთი და იმავე მიზნის მქონე საერთაშორისო შეთანხმების არსებობის პირობებში უპირატესობა ენი-

---

<sup>93</sup> Norros, *Judicial Cooperation in Civil Matters with Russia and Methods of Evaluation*, 2010, 316 with further reference on Sadat-Akhavi 2003, 205.

<sup>94</sup> Norros, *Judicial Cooperation in Civil Matters with Russia and Methods of Evaluation*, 2010, 316 with further reference on Sadat-Akhavi 2003, 168.

ჭეზა იმ სამართლებრივ აქტს, რომლითაც ეს საერთო მიზანი უფრო ეფექტიანად და მარტივად მიიღწევა.

**(III) სპეციალური კანონის აღმატებულობა ზოგად კანონთან მიმართებით (*lex specialis derogate legi generalis*<sup>95</sup>):**

ამ პრინციპის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ერთი და იმავე საკითხის მომწესრიგებელი ცალსახად ზოგადი და სპეციალური ნორმა, მაშინ უპირატესობა ენიჭება სპეციალურს, რამეთუ ის უშუალოდ სპეციფიკური შემთხვევის მოსაწესრიგებლად არის მიღებული. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, სათანადო კრიტერიუმებით გონივრულობის ფარგლებში შეფასდეს, თუ რამდენად არის სახეზე რეალურად ზოგადი და სპეციალური ნორმა.

ეს საკითხი და შესაბამისი პრინციპები საქართველოსთან მიმართებით სასამართლოს პრაქტიკისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მაგალითებზე თემატურად არის განხილული შემდეგ თავებში, განსაკუთრებით, სასამართლოს გადანყვევტილებათა საქართველოში ცნობა-აღსრულების კონტექსტში.

---

<sup>95</sup> Norros, *Judicial Cooperation in Civil Matters with Russia and Methods of Evaluation*, 2010, 316 with further reference on Sadat-Akhavi 2003, 242-244.

## **II. დოკუმენტების ჩაბარება/მიწოდება**

### **A. დოკუმენტის ჩაბარების/მიწოდების არსი**

უმრავლესი სახელმწიფოს ადმინისტრაციული თუ სასამართლო სამართალწარმოება მოითხოვს შესაბამისი მხარისათვის ან/და დანესებულებისათვის ოფიციალური დოკუმენტების ჩაბარებას.

მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუკი მოპასუხე სათანადოდ არ იქნა მონვეული პროცესზე (არ გადაეცემა საპროცესო დოკუმენტაცია). ასეთივე პირობა გათვალისწინებულია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლითაც და ის არის გადაწყვეტილების ცნობის ერთ-ერთი გავრცელებული წინაპირობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დოკუმენტების ჩაბარება არის სამართლებრივი ურთიერთდახმარების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ადმინისტრაციული და სასამართლო სამართალწარმოების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას.

დოკუმენტების ჩაბარების წესი გათვალისწინებულია როგორც მინსკის კონვენციით, ისე ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით. მაგალითად, მინსკის კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები განსაზღვრავს, თუ რომელ პროცედურას უნდა აკმაყოფილებდეს ურთიერთდახმარების ფარგლებში დოკუმენტების გადაცემა, ხოლო მე-11 მუხლი ადგენს წესს, თუ როგორ უნდა იქნეს შედგენილი პირისათვის დოკუმენტების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი (შეტყობინების ფურცელი).

## **B. ჰააგის რეჟიმის ფარგლებში სასამართლო ან არასასამართლო დოკუმენტის ჩაბარების კონვენცია<sup>96</sup>**

ჰააგის რეჟიმის ფარგლებში დოკუმენტების ჩაბარებას შეეხება 1965 წლის 15 ნოემბრის დოკუმენტების ჩაბარების კონვენცია.

ამ კონვენციის ფარგლებში დოკუმენტის მიწოდება დასაშვებია, თუ:

- დოკუმენტი იგზავნება კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის;
- ცნობილია ადრესატის მისამართი;
- დოკუმენტი არის „სასამართლოს ან სასამართლოსგარეშე დოკუმენტი“;
- დოკუმენტი უკავშირდება სამოქალაქო ან სამეწარმეო საკითხს.

კონვენციით გათვალისწინებულია დოკუმენტების მიწოდების მთავარი და ალტერნატიული არხები. მიწოდების მთავარი არხის გამოყენებისას ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო დოკუმენტს უგზავნის ადრესატი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს, რომელიც ახორციელებს დოკუმენტის მიწოდებას რომელიმე შემდეგი მეთოდით:

- (I) არაფორმალური მიწოდება უშუალოდ ადრესატისათვის, თუკი ეს უკანასკნელი თანახმაა, ნებაყოფლობით ჩაიბაროს დოკუმენტი;
- (II) მიწოდება შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად;
- (III) თხოვნის ავტორის მიერ მოთხოვნილი სპეციალური მეთოდი, თუკი ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება შემსრულებელი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას.

---

<sup>96</sup> იხ. *Outline on Hague Convention of 15 November 1965 on the Service Abroad of Judicial and Extrajudicial Documents in Civil or Commercial Matters; Practical Handbook on the Operation of the Service Convention, IX-X.*

დოკუმენტების მიწოდების ალტერნატიულ გზებს განეკუთვნება:

- დიპლომატიური არხები (მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი და მე-19 მუხლი);
- საფოსტო არხები (მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი);
- თხოვნის გამგზავნი და მიმღები სახელმწიფოების ოფიციალურ/ აღმასრულებელ პირებს ან სხვა კომპეტენტურ პირებს შორის პირდაპირი კომუნიკაცია (მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი);
- დაინტერესებულ პირსა და თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ოფიციალურ/აღმასრულებელ პირებს ან სხვა კომპეტენტურ პირებს შორის პირდაპირი კომუნიკაცია (მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

ჰააგის დოკუმენტების ჩაბარების კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ცენტრალური ორგანოები. მათი სრული სიის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: [www.hcch.net](http://www.hcch.net), უფრო კონკრეტულად: <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/authorities1/print1/?cid=17>

### **C. დოკუმენტები, რომლებიც უნდა ჩაბარდეს სამართლებრივი ურთიერთდახმარების საშუალებით**

მინსკის კონვენცია განსაზღვრავს, რომ სამართლებრივი ურთიერთდახმარება გამოიხატება წევრი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს თხოვნით შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა საპროცესო ან სხვა ტიპის მოქმედების განხორციელებაში, მათ შორის „დოკუმენტების გადაცემაში“.<sup>97</sup> ასეთივე ზოგადი ჩანაწერი გვხვდება ორმხრივ ხელშეკრულებებშიც<sup>98</sup>, თუმცა

<sup>97</sup> სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია, მე-6 მუხლი.

<sup>98</sup> აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მუხლი მე-5(1); ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-3 მუხლი; საბერძნეთის რესპუბლიკა – მე-6 მუხლი; სომხეთის რესპუბლიკა – მე-4

საგამონაკლისო მაგალითია ბულგარეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც აკონკრეტებს, რომ ხელშეკრულება ვრცელდება „სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტებზე“.<sup>99</sup> მსგავსი მიდგომა არჩეულია ჰააგის დოკუმენტების ჩაბარების კონვენციაშიც.<sup>100</sup>

მიუხედავად კონკრეტული ჩანაწერის არარსებობისა, მინსკის კონვენციის მოქმედების სფეროს განმსაზღვრელი მე-6 მუხლი და ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისი მუხლები იმდენად ფართოა, რომ მის ფარგლებში ხორციელდება როგორც სასამართლოს, ისე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების გადაგზავნა/ჩაბარება.

როგორც მინსკის კონვენცია,<sup>101</sup> ისე ორმხრივი ხელშეკრულებები მოითხოვს, რომ სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში გადაცემული დოკუმენტები იყოს „ოფიციალური“. მინსკის კონვენციის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ოფიციალურია დოკუმენტი, რომელიც გამოცემულია კომპეტენტური ორგანოს ან ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ, დამკვიდრებული წესის შესაბამისად, და დადასტურებულია ოფიციალური ბეჭდით. ასეთ დოკუმენტებს თანაბარი მტკიცებულებითი ძალა ენიჭებათ თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში.<sup>102</sup> არსებობს მოსაზრება,

---

მუხლი; თურქმენეთი – მე-4 მუხლი; თურქეთის რესპუბლიკა – მე-4 მუხლი; უკრაინა – მე-3 მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-3 მუხლი; კვიპროსის რესპუბლიკა – მე-3 მუხლი; ჩეხეთი – მე-4 მუხლი.

<sup>99</sup> სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის, მე-4 მუხლი.

<sup>100</sup> იხ. ჰააგის 1965 წლის 15 ნოემბრის კონვენციის მიმოხილვა, „*When does the Service Convention apply?*“, <https://assets.hcch.net/docs/f4ccc07b-55ed-4ea7-8fb9-8a2b28549e1d.pdf>.

<sup>101</sup> იხ. მე-13 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების ურთიერთმიმართება.

<sup>102</sup> იხ., მაგალითად, სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია, მე-13(2) მუხლი.

რომ მხოლოდ მინსკის კონვენციისა და ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე განეული სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში გადაცემული დოკუმენტები არ საჭიროებს აპოსტილს/ლეგალიზაციას.<sup>103</sup>

თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილით დაწესებული შეღავათი არის არა დოკუმენტების ჩაბარების შემადგენელი ნაწილი, არამედ დამოუკიდებელი შეღავათი, რომელიც გათვალისწინებულია მინსკის კონვენციით. ასეთ შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც შედგენილი იქნება ერთ სახელმწიფოში ოფიციალური წესით, ოფიციალურად მიიჩნევა მეორე სახელმწიფოში, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე. ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს: სამოქალაქო აქტები, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ცნობა შრომითი სტაჟის შესახებ, ნასამართლეობის შესახებ ცნობა და ა.შ.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ერთ სახელმწიფოში შედგენილი ოფიციალური დოკუმენტები მეორე სახელმწიფოში მაშინაც სარგებლობენ ოფიციალური სტატუსით, როდესაც ისინი არ არის გადაგზავნილი სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში.

ნოტარიუსის მიერ დამონმებული დოკუმენტი ასევე შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურ დოკუმენტად, თუმცა აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც:

- დოკუმენტი დაამონმა ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ნოტარიუსმა და ეს დოკუმენტი დამონმებული სახით ჩამოვიდა საქართველოში;

---

<sup>103</sup> იხილეთ შესაბამისი მუხლები ორმხრივი ხელშეკრულებებიდან საქართველოსა და შემდეგ სახელმწიფოებს შორის: აზერბაიჯანის რესპუბლიკა – 77-ე მუხლი; ბულგარეთის რესპუბლიკა – 24-ე მუხლი; ყაზახეთის რესპუბლიკა – 38-ე მუხლი; სომხეთის რესპუბლიკა – მე-5 თავი; თურქმენეთი – მე-15 მუხლი; თურქეთის რესპუბლიკა – მე-14 მუხლი; უკრაინა – მე-13 მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-13 მუხლი; კვიპროსის რესპუბლიკა – მე-15 მუხლი; ჩეხეთი – მე-11 მუხლი.



- დოკუმენტი შეადგინა, შეამოწმა სამართლებრივი კუთხით და დაამოწმა ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის ნოტარიუსმა, რომელიც პასუხისმგებელია მის შინაარსობრივ, სამართლებრივ მხარეებზე.

მინსკის კონვენციის მე-13 მუხლი და ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისი მუხლები, მათთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების გათვალისწინებით, განხილულია სახელმძღვანელო შესაბამის ნაწილებში.

## D. ცენტრალური ორგანო

### 1. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო

#### ხელშეკრულებები

სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში დოკუმენტების გადაცემის თაობაზე სამართლებრივი თხოვნა ხორციელდება მინსკის კონვენციისა და ორმხრივი ხელშეკრულებების ხელმომწერი სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების მეშვეობით<sup>104</sup> ან დიპლომატიური არხებით.<sup>105</sup> კერძოდ, მინსკის კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, *„წინამდებარე [მინსკის] კონვენციის ნორმების შესრულების მიზნით, კომპეტენტური იუსტიციის დაწესებულებები ერთმანეთს უკავშირდებიან ხელშემკვერელი სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, თუკი კომუნიკაციის სხვა საშუალებები არ არის გათვალისწინებული წინამდებარე კონვენციით“*.

ცენტრალური ორგანოს როლი მნიშვნელოვანია სამართლებრივი ურთიერთდახმარების განხორციელებისას და თუკი იუსტიციის

<sup>104</sup> სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია, მე-5 მუხლი.

<sup>105</sup> სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია, მე-12 მუხლი.

დანესებულება მისი გვერდის ავლით ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, მისი შესრულება დამოკიდებული ხდება ადრესატის კეთილ ნებაზე – მას კი შეუძლია, უარი განაცხადოს შესრულებაზე.

ცენტრალური ორგანოს ფუნქციას სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით ასრულებს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით – მთავარი პროკურატურა. თურქეთის რესპუბლიკასა და კვიპროსის რესპუბლიკასთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ კომუნიკაცია ხორციელდება დიპლომატიური არხებით. თუმცა აქაც პრაქტიკული გამოცდილებისა და რესურსის გათვალისწინებით, ამ ორი ხელშეკრულების იმპლემენტაციის კოორდინაციას *de facto* ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო.

თუ თხოვნის შესრულება საჭიროებს კონკრეტული იუსტიციის დანესებულების ჩართულობას, ცენტრალური ორგანოები თხოვნას გადასცემენ კომპეტენტურ იუსტიციის დანესებულებებს. თუკი იუსტიციის დანესებულება, რომელსაც მიუვიდა თხოვნა, არ არის კომპეტენტური, გამოიყენება მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ან შესაბამისი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების შესატყვისი ნორმები<sup>106</sup>, ან/და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლი, რომელთა საფუძველზეც მან თხოვნა უნდა გადაუგზავნოს კომპეტენტურ ორგანოს.

ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, სამოქალაქო და საოჯახო საქმეებში სამართლებრივი ურთიერთდახმარების განხორციელებისას მხარეთა ცენტრალურ ორგანოებს წარმოადგენენ ორგანოები, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე სახელმძღვანელოს I.A.2 თავში.

<sup>106</sup> კვიპროსის რესპუბლიკა – მე-6(2) მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-10(2) მუხლი; ბულგარეთის რესპუბლიკა – მე-16(3) მუხლი; ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-8(2) მუხლი; საბერძნეთის რესპუბლიკა – მე-10(2) მუხლი; სომხეთის რესპუბლიკა – მე-15(3) მუხლი; თურქმენეთი – მე-6 მუხლი (მეორე აბზაცი); თურქეთის რესპუბლიკა – მე-6(2) მუხლი; უკრაინა – მე-8(2) მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-8(2) მუხლი; ჩეხეთი – მე-6(2) მუხლი.

## **2. შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადც არ არსებობს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება**

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ან სასამართლოსგარეშე დოკუმენტის გადაგზავნა ხდება ისეთ სახელმწიფოში, რომელიც არ არის მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი მხარე ან რომელთანაც საქართველოს არ აქვს გაფორმებული საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულება, ცენტრალურ ორგანოს არ გააჩნია დახმარების ვალდებულება. თუმცა საკუთარ მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და სამართლებრივი დახმარების თხოვნების უფრო სწრაფად და ეფექტურად განსახორციელებლად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იუსტიციის დაწესებულებას ეხმარება დოკუმენტების შესაბამისი დიპლომატიური დაწესებულებისთვის – საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის – გადაგზავნაში (იხ. I.A.2 თავი).

გარდა ამისა, პრაქტიკაში, იუსტიციის სამინისტრო საერთაშორისო სამართლისა და სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მაშინაც ასრულებს ცენტრალური ორგანოს ფუნქციებს, როდესაც ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით ცენტრალურ ორგანოდ განსაზღვრულია დიპლომატიური არხები (საგარეო საქმეთა სამინისტრო). ასეთ შემთხვევაში, ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის გასაგზავნი თხოვნა და თანდართული დოკუმენტები იგზავნება იუსტიციის სამინისტროში, რომელიც ამონებს თხოვნის/დოკუმენტების გამართულობას. ამის შემდეგ იუსტიციის დაწესებულება თხოვნას/დოკუმენტებს გადაუმისამართებს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც ტექნიკურად უზრუნველყოფს მასალების გადაგზავნას უცხო ქვეყანაში. იუსტიციის სამინისტროს ეს როლი მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

თუკი საქმე ეხება სასამართლო დოკუმენტს, მაშინ საქართველოს სასამართლოს შეუძლია, ისარგებლოს სკ-ის 62-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიმართოს უცხო ქვეყნის სასამართლოს ან უცხო

ქვეყნის დიპლომატიურ არხებს (საგარეო საქმეთა სამინისტრო) დოკუმენტების ჩაბარების თხოვნით. თუმცა ამ შემთხვევაშიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩართვა მიზანშეწონილი იქნება ისევე და ისევე უცხო ქვეყანაში გასაგზავნად მომზადებული პაკეტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად.

## **E. დოკუმენტების ჩაბარების/გადაცემის კომპეტენტური ორგანოები**

### **1. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

როგორც წინა თავში აღინიშნა, დოკუმენტების ჩაბარების/გადაცემის თაობაზე თხოვნის გადაგზავნის უმთავრესი რგოლი თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოა.

ცენტრალური ორგანოს დახმარების შემთხვევაში, თხოვნის უშუალო ადრესატი არის მეორე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო/იუსტიციის დანესებულება<sup>107</sup> (დანესებულება, რომელმაც უნდა შეასრულოს თხოვნა), თუმცა თხოვნა თხოვნის გამგზავნი ქვეყნის ცენტრალური ორგანოდან იგზავნება თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოში, რომელიც თხოვნას გადაამისამართებს თხოვნის შესრულებაზე კომპეტენტურ იუსტიციის დანესებულებაში. თუკი თხოვნის შესრულებაში საჭირო არ არის იუსტიციის დანესებულების მონაწილეობა, ცენტრალური ორგანო თავად ასრულებს თხოვნას და დოკუმენტებს უგზავნის უშუალო ადრესატს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცენტრალური ორგანო მეორე სახელმწიფოს აწვდის განმარტებებს კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

---

<sup>107</sup> მინსკის კონვენციაში მოხსენიებულია როგორც „იუსტიციის დანესებულება“, 1-ლი მუხლი.

ამასთან, აკრძალული არ არის, რომ ერთი სახელმწიფოს მოქალაქემ ან ამ სახელმწიფოში რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა დოკუმენტები თავად ჩააბაროს მეორე სახელმწიფოში მყოფ ფიზიკურ ან რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ფოსტის ან სხვა მსგავსი საშუალებით,<sup>108</sup> თუმცა ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი:

- (1) გავრცელება თუ არა მინსკის კონვენციით/საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეღავათები დოკუმენტების ოფიციალურ სტატუსთან დაკავშირებით (ლევალიზაციის საჭიროების არარსებობა);
- (2) თუკი საქმე შეეხება სასამართლო სარჩელს, ჩაითვლება თუ არა დოკუმენტები სათანადო წესით ჩაბარებულად, ან ჩაითვლება თუ არა მეორე მხარე სათანადო წესით პროცესზე მონევეულად, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უცხო ქვეყანაში ცნობა-აღსრულებისათვის.

მაგალითად, შედარებისთვის, ჰააგის დოკუმენტების ჩაბარების კონვენციის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი პირდაპირ ადგენს, რომ კონვენციის წესები არ გამოორიცხავს და არ ზღუდავს დაინტერესებული პირების უფლებას, თავად ჩააბარონ სასამართლო დოკუმენტები მეორე მხარეს ფოსტის მეშვეობით.

როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოს II.C. თავში იქნა განხილული, (1) ფაქტორზე პასუხი დადებითი უნდა იყოს.

რაც შეეხება სარჩელის ჩაბარების მართებულობას, ეს საკითხი დამოკიდებულია იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემასა და

---

<sup>108</sup> მაგალითად, სომხეთის რესპუბლიკასთან არსებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „დოკუმენტების გადაცემა შეიძლება წარმოებდეს აგრეთვე: ა) დოკუმენტების უშუალოდ ადრესატისათვის ფოსტით გაგზავნის გზით; ბ) განსაზღვრული დოკუმენტების ან მათზე შეტყობინებების გადაცემა საკუთარი ხარჯებით იმ სერხების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე რომელიც ახორციელებს გადაცემას“. ანალოგიური წესი გვხვდება ბულგარეთის რესპუბლიკასთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებაშიც, იხ. მე-14 მუხლი.

სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელშიც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

## **2. დოკუმენტების ჩაბარების/გადაცემის სხვა არხები**


მიუხედავად იმისა, რომ მინსკის კონვენცია ითვალისწინებს დოკუმენტების გადაცემის გამარტივებულ მექანიზმებს, ის არ კრძალავს, რომ ორმხრივი ხელშეკრულებებით უფრო გამარტივებული ნესები იქნეს გათვალისწინებული.

მაგალითად, უკრაინასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მე-17 მუხლის მიხედვით, მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლა ხდება პირდაპირ ინფორმაციის შემნახველ ორგანოებს (სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურები, არქივი) შორის. გამომდინარე იქიდან, რომ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის დელეგირებული აქვს ზოგიერთი ფუნქცია, სგსს თავად ამყარებს პირდაპირ კომუნიკაციას უკრაინის შესაბამის იუსტიციის დაწესებულებასთან. ამავე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეთა შუამდგომლობა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ მონაწილის გაგზავნის შესახებ შეიძლება უშუალოდ გადაეგზავნოს მეორე მხარის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ შესაბამის ორგანოს. 2011 წლის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №59 ბრძანება კი საქართველოს მხრიდან იძლევა შესაძლებლობას, თავად სსგს-მ დაამყაროს კომუნიკაცია უცხო ქვეყნის ცენტრალურ ორგანოებთან, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს მიკუთვნებული დოკუმენტაციის უცხო ქვეყნიდან გამოთხოვის საკითხთან მიმართებით.


## მაგალითი (სასამართლო დოკუმენტებისთვის)

დოკუმენტების გადაცემის პროცედურა:


### I სცენარი



### II სცენარი



### III სცენარი



**შენიშვნა 1.** სახელმწიფოებში იგულისხმება მინსკის კონვენციის ან ორმხრივი ხელშეკრულებების ხელშემკვრელი სახელმწიფოები.

**შენიშვნა 2.** II სცენარის შემთხვევაში გასათვალისწინებელია II.E.1 თავში განხილული გარემოებები.

**შენიშვნა 3.** I სცენარის შემთხვევაში იგულისხმება, რომ მოქალაქემ/მიდმივად მცხოვრებმა პირმა თავდაპირველად მიმართა A სახელმწიფოს იუსტიციის დანესებულებას.

## მაგალითი (არასასამართლო დოკუმენტებისთვის)

დოკუმენტების გადაცემის პროცედურა:

### I სცენარი

A სახელმწიფოს  
იუსტ.  
დანესებულება

A სახელმწიფოს  
ცენტრალური  
ორგანო

B სახელმწიფოს  
ცენტრალური  
ორგანო

B სახელმწიფოს  
იუსტ.  
დანესებულება

ადრესატი

### II სცენარი

A სახელმწიფოს  
მოქ./მუდმივად  
მცხ.

ადრესატი

### III სცენარი

A სახელმწიფოს  
მოქ./მუდმივად  
მცხ.

A სახელმწიფოს  
ცენტრალური  
ორგანო

B სახელმწიფოს  
ცენტრალური  
ორგანო

B სახელმწიფოს  
იუსტ.  
დანესებულება

ადრესატი

**შენიშვნა 1.** სახელმწიფოებში იგულისხმება მინსკის კონვენციის ან ორმხრივი ხელშეკრულებების ხელშემკვრელი სახელმწიფოები.

**შენიშვნა 2.** II სცენარის შემთხვევაში გასათვალისწინებელია II.E.1 თავში განხილული გარემოებები.

**შენიშვნა 3.** I სცენარის შემთხვევაში იგულისხმება, რომ მოქალაქემ/მიდმივად მცხოვრებმა პირმა თავდაპირველად მიმართა A სახელმწიფოს იუსტიციის დანესებულებას.



## **F. დოკუმენტის ჩაბარების/გადაცემის თხოვნის წინაპირობები**

### **1. შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადაც არ არსებობს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება**

მინსკის კონვენციის ან ორმხრივი ხელშეკრულებების არარსებობის პირობებში ყოველთვის შეიძლება დიპლომატიური და საკონსულო არხების გამოყენება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩართულობით.

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავს დოკუმენტების უშუალოდ ჩაბარებას კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, თუმცა ასეთ დროს გასათვალისწინებელია მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნები, ხოლო სარჩელის ჩაბარების შემთხვევაში – II.E თავში მოყვანილი ფაქტორები.

### **2. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

#### **2.1. ფორმა**

მინსკის კონვენცია არ ადგენს დოკუმენტების ჩაბარების/გადაცემის თხოვნის რაიმე სპეციალურ ფორმას, რომელიც უნდა შეივსოს თხოვნის გადაგზავნისას. თუმცა კონვენციის მე-7 მუხლი ჩამოთვლის იმ ინფორმაციას, რომელსაც, ზოგადად, უნდა შეიცავდეს კონვენციის ფარგლებში გაკეთებული თხოვნა. კერძოდ, თხოვნაში მითითებული უნდა იყოს:

- თხოვნის მიმღები დანესებულების დასახელება (ეს შესაძლებელია იყოს ზოგადი სახით, მაგ.: „X ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს“);
- თხოვნის გამგზავნი დანესებულების დასახელება;
- საქმის დასათაურება (არ არის აუცილებელი);
- მხარეთა [...] და მოწმეთა სახელები და გვარები, მათი საცხოვრებელი ადგილი და ადგილსამყოფელი, მოქალაქეობა, საქმიან-

ობა, ხოლო იურიდიულ პირთათვის – მათი დასახელება და ადგილსამყოფელი;

- მხარეთა წარმომადგენლების არსებობისას – მათი სახელები, გვარები და მისამართები;
- დაკითხვის შემთხვევაში – კონკრეტული კითხვები, რაზეც უნდა უპასუხოს ადრესატმა;
- დავალების შინაარსი, ასევე სხვა ცნობები, აუცილებელი თხოვნის შესასრულებლად (არ არის აუცილებელი).

პრაქტიკაში თხოვნის მიმღები დაწესებულების დასახელება იშვიათად იწერება, ვინაიდან ხშირად უცნობია იმ იუსტიციის დაწესებულების დასახელება, რომელიც უცხო ქვეყანაში კომპეტენტურია შესაბამისი თხოვნის შესრულებაზე. ამიტომ ადრესატად იწერება: „უცხო ქვეყნის (მაგ., უკრაინის) კომპეტენტური ორგანო“, ან „უკრაინის კომპეტენტურ სასამართლოს“.<sup>109</sup>

კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, რომ დოკუმენტების გადაცემის შესახებ თხოვნაში ასევე მითითებული უნდა იყოს მიმღების ზუსტი მისამართი და გადასაცემი დოკუმენტის დასახელება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ერთადერთი ფორმალური მხარე, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციაში, არის ის, რომ თხოვნას უნდა ერთვოდეს გამგზავნი იუსტიციის დაწესებულების გერბიანი ბეჭედი და შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც, ძირითადად, მეორდება ზემოთ მოყვანილი მოთხოვნები, თუმცა არსებობს ქვევით მითითებული ზოგიერთი განსხვავებაც.

მიუხედავად იმისა, რომ მინსკის კონვენცია არ ადგენს დოკუმენტების გადაცემის შესახებ თხოვნის შედგენის რაიმე ფორმას, წინამდებარე სახელმძღვანელოს დანართი 1-ის სახით ერთვის განაცხადის ფორმა, რომელიც შემუშავებულია საუკეთესო პრაქტიკის

<sup>109</sup> მაგალითად, რუსულ ენაზე: „Компетентный орган Республики Азербайджан“.

გათვალისწინებით და რომლის გამოყენებაც შეიძლება, გონივრული იყოს ტექნიკური ხასიათის ხარვეზების თავიდან ასაცილებლად.

### ***ბულგარეთის რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა***

საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას და საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის არსებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები მოითხოვს, რომ დავალებაში (თხოვნაში) მიეთითოს დავალებასთან დაკავშირებული საქმის არა მარტო დასახელება, არამედ მისი არსიც, თუმცა ეს პრაქტიკაში არსებითი დეტალი არ არის.

ამასთან, ბულგარეთის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის შემთხვევისას თხოვნაში უნდა მიეთითოს არა მხოლოდ საქმეში ჩართული მხარეებისა და მოწმეების, არამედ საქმესთან კავშირში მყოფი ყველა პირის მონაცემები.

დამატებით, იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლება საჭირო გახდეს დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ თხოვნისთვის, ხელშეკრულებები ითვალისწინებს, რომ თხოვნაში მიეთითოს შემკითხველი მხარის კანონმდებლობიდან სათანადო მუხლების ასლები, რომლებიც შეეხება საქმესთან დაკავშირებულ პირთა პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს.<sup>110</sup>

### ***თურქმენეთი***

საქართველოსა და თურქმენეთს შორის არსებული ორმხრივი ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს, რომ თხოვნაში მიეთითოს იმ საქმის შინაარსი, რომელსაც უკავშირდება თხოვნა.<sup>111</sup>

---

<sup>110</sup> სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის, მე-15 მუხლი; ხელშეკრულება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ, მე-14 მუხლი.

<sup>111</sup> საქართველოსა და თურქმენეთს შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ, მე-5 მუხლი.

## **თურქეთის რესპუბლიკა**

განსხვავებით მინსკის კონვენციისა, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული ორმხრივი ხელშეკრულება საერთოდ არ ითვალისწინებს თხოვნასთან დაკავშირებული საქმის დასახელების ან მისი შინაარსის მითითების ვალდებულებას.<sup>112</sup>

## **2.2. თხოვნის შესრულება და ენა**

წინამდებარე თავში განიხილება დოკუმენტების გადაცემის თაობაზე თხოვნის სავალდებულოდ შესრულების მიზნით დოკუმენტების შედგენის ენის საკითხი.

მინსკის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, თხოვნის მიმღები იუსტიციის დაწესებულება ახორციელებს დოკუმენტების გადაცემას მის სახელმწიფოში მოქმედი წესის შესაბამისად, თუ გადასაცემი დოკუმენტები დაწერილია მის ენაზე ან რუსულ ენაზე, ან/და აღჭურვილია დამონმებული თარგმანით ამ ენებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გადასცემს დოკუმენტებს ადრესატს, თუ იგი თანახმაა მათ ნებაყოფლობით მიღებაზე. ამ მუხლიდან გამომდინარე, მინსკის კონვენციის ფარგლებში ჩაბარების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელშიც იმყოფება ადრესატი.<sup>113</sup>

სამართლებრივი ურთიერთდახმარების განმახორციელებელი საქართველოს იუსტიციის დაწესებულება (მაგ., ადმინისტრაციული ორგანო) თხოვნის შესრულებისას, მათ შორის დოკუმენტის გადაცემისას, ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით

---

<sup>112</sup> საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ, მე-5 მუხლი.

<sup>113</sup> მაგალითად, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინება №ა-2007-შ-50-2016. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში ჩაბარება მოხდა ფოსტის საშუალებით და სასამართლოს მითითება არ გაუკეთებია მინსკის კონვენციაზე ან ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, ჩაბარების კანონიერება სასამართლომ შეამოწმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად.

გათვალისწინებული პროცედურებით. თუმცა ქართულ და უცხოურ მხარეს შორის შეთანხმების შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს უცხოური კანონმდებლობით, თუკი ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

როგორც უკვე აღინიშნა, დოკუმენტების გადაცემისას მნიშვნელოვანია, რომ ჩაბარების ადრესატმა მხარემ გაიგოს მისი შინაარსი. მინსკის კონვენციის მიზნებისათვის იგულისხმება, რომ ადრესატი გაიგებს დოკუმენტის შინაარსს, თუკი დოკუმენტი შედგენილია მის მშობლიურ ან რუსულ ენაზე, ან თან ერთვის ამ ენებზე დამონმებული თარგმანი. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი არ არის რომელიმე ამ ენაზე შედგენილი და მას არ ახლავს თარგმანი, ადრესატს შეუძლია, უარი განაცხადოს დოკუმენტის ჩაბარებაზე. ივარაუდება, რომ ასეთ დროს არ გამოიყენება<sup>114</sup> კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც დოკუმენტს ჩაბარებულად მიიჩნევს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ადრესატმა არ ჩაიბარა დოკუმენტი.<sup>115</sup>

ზემოაღნიშნული ნორმა ცოტა განსხვავებულია ზოგიერთ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში. კერძოდ, თურქმენეთთან<sup>116</sup>, უზბეკეთის რესპუბლიკასთან<sup>117</sup>, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან<sup>118</sup>, კვიპროსის რესპუბლიკასა<sup>119</sup> და თურქეთის რესპუბლიკასთან<sup>120</sup> გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების მიხედვით,

---

<sup>114</sup> ამ ვარაუდის საშუალებას ასევე იძლევა აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-3 ნაწილიც, რომლის თანახმადაც: „ასეთი [არასათანადო ენაზე შედგენილი] დოკუმენტის მიუღებლობის შემთხვევაში, გადაცემა არ ჩაითვლება განხორციელებულად“.

<sup>115</sup> საქართველოს შემთხვევაში იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები.

<sup>116</sup> მე-7 მუხლი.

<sup>117</sup> მე-9 მუხლი.

<sup>118</sup> მე-12(3) მუხლი.

<sup>119</sup> მე-7 მუხლი.

<sup>120</sup> 29-ე მუხლი.

გადასაცემი დოკუმენტები შედგენილი უნდა იყოს მხოლოდ შემსრულებელი სახელმწიფოს ენაზე ან უნდა ერთოდეს დამონმებული თარგმანი შემსრულებელი სახელმწიფოს ენაზე. განსხვავება კი ისაა, რომ ამ ქვეყნებში ჩასაბარებელი დოკუმენტებისათვის დასაშვები ენა არ არის რუსული.

საბერძნეთის რესპუბლიკასთან არსებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების<sup>121</sup> თანახმად, დოკუმენტები შეიძლება შედგენილი იყოს შემსრულებელი სახელმწიფოს ენაზე, ან ერთოდეს დამონმებული თარგმანი შემსრულებელი სახელმწიფოს ან ინგლისურ ენაზე.

იმ შემთხვევაში, თუ პირები იყენებენ დოკუმენტების ჩაბარების ალტერნატიულ გზებს (თავად გადაწყვეტენ დოკუმენტების ჩაბარებას ცენტრალური ორგანოს გვერდის ავლით), მნიშვნელოვანია, რომ მათ მიერ ჩაბარებული დოკუმენტების შინაარსი გასაგები იყოს მეორე მხარისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპროცესო დოკუმენტაციის ჩაბარების დროს, რადგან, თუკი მეორე მხარე ვერ გაეცნობა მათ შინაარსს, ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.

### **2.3. მისამართის დადგენა**

არსებობს შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე ვერ უთითებს უცხო ხელშემკვრელ სახელმწიფოში მცხოვრები მოპასუხის მისამართს, რადგან მან არ იცის ეს მისამართი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს მოპასუხის მისამართი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს ხარვეზი, ხოლო მისი აღმოუფხვრელობის შემთხვევაში – სარჩელი დატოვოს განუხილველად.

---

<sup>121</sup> მე-4 და მე-9 მუხლები.

მინსკის კონვენცია და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების უმეტესობა ავალდებულებს თხოვნის მიმღებ კომპეტენტურ ორგანოს, იუსტიციის დანესებულებას (მაგალითად, სასამართლოს), მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დოკუმენტების ადრესატის მისამართის დასადგენად.

კერძოდ, მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს დანესებულება მიიღებს ყველა ზომას თხოვნაში აღნიშნული პირის (ადრესატის) მისამართის დასადგენად. მსგავსი შინაარსის მუხლები გათვალისწინებულია ორმხრივ ხელშეკრულებათა უმრავლესობაში:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-12 (1) მუხლი;
2. თურქმენეთი – მე-7 მუხლი, მესამე აბზაცი;
3. თურქეთის რესპუბლიკა – მე-7 (3) მუხლი;
4. უკრაინა – მე-9 (2) მუხლი;
5. ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-8 (3) მუხლი;
6. უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-9 (2) მუხლი;
7. კვიპროსის რესპუბლიკა – მე-7(2) მუხლი;
8. ჩეხეთი – მე-8(2) მუხლი.

ბულგარეთის რესპუბლიკასთან, სომხეთის რესპუბლიკასა და საბერძნეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებები პირდაპირ არ მოიცავს მისამართის დადგენის ვალდებულებას და ეს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ბულგარეთის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის ხელშეკრულებათა მე-4 მუხლები და საბერძნეთის რესპუბლიკის ხელშეკრულების მე-6 მუხლი ითვალისწინებს ზოგად წესს, რომ ურთიერთდახმარება ასევე ხორციელდება „მოვალეთა დაძებნის“ სახით. შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს, რომ მისამართების დადგენა განხორციელდება ამ ზოგადი დებულების საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული

## მაბალაითი

A სახელმწიფოს მოქალაქე დაინტერესებულმა პირმა შეავსო დოკუმენტების მიწოდების თხოვნის ფორმა და დაურთო მისანოდებელი დოკუმენტაცია. დაინტერესებულმა პირმა ვერ მიუთითა ადრესატის მისამართი, რადგან ის დაუდგენელი იყო.

მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე თხოვნის მიმღები იუსტიციის დაწესებულება ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა მისამართის დასადგენად. შესაბამისად, ადრესატის მისამართის მითითების გარეშეც შესაძლებელია, საქართველოდან უცხო ქვეყანაში გაიგზავნოს სასამართლო მასალების ჩაბარების შესახებ თხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია არასრულყოფილი სამისამართო მონაცემები, მიზანშეწონილია ამ ინფორმაციის მიწოდება. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც – მისამართის არცოდნის შემთხვევაში, თხოვნის შესრულების გადავილების მიზნით, უმჯობესია დამატებითი საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითება, როგორებიცაა: დაბადების თარიღი, მამის სახელი ან სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

ხელშეკრულების მე-10 მუხლის მიხედვით, მისამართების დადგენის პირდაპირი ვალდებულება გათვალისწინებულია მონმეების შემთხვევაში.

როგორც მინსკის კონვენცია, ისე ორმხრივი ხელშეკრულებები ადგენს, რომ, თუკი ჩაბარება ვერ მოხერხდა მითითებულ მისამართზე, ან, თუკი ადრესატი უარს ამბობს ჩაბარებაზე, დოკუმენტების ჩაბარების/გადაცემის სტატუსი უნდა განისაზღვროს შემსრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთივე წესი იმოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ პირის მისამართის დადგენა ობიექტურად ვერ ხერხდება. იუსტიციის დაწესებულება, რომელიც ასრულებს დოკუმენტების ჩაბარებას და დოკუმენტების ჩაბარება ვერ მოხერხდა, ის ვალდებულია, მკაფიოდ მიუთითოს ჩაუბარებლობის მიზეზები სასამართლო მასალების გადაცემის შეტყობინების

სპეციალურ ფორმაში, ან სხდომის ოქმში. დოკუმენტის ვერჩაბარე-



ბის შემთხვევაშიც ივსება სპეციალური ფორმა (ე.წ. შეტყობინება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ), სადაც ეთითება სასამართლო მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და შეუსრულებლობის მიზეზი, და უცხო ქვეყნიდან გადმოგზავნილი სასამართლო მასალების ორიგინალთან ერთად ეს შევსებული შეტყობინების ფურცელი უბრუნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

თუ მოქალაქე ვერ უთითებს ხელშემკვრელ სახელმწიფოში მყოფი მოპასუხის ზუსტ მისამართს, სასამართლომ მოქალაქეს არ უნდა უთხრას უარი დოკუმენტების მიღებასა და წარმოების დაწყებაზე. მან უნდა მიიღოს დოკუმენტები და გადაუგზავნოს ცენტრალურ ორგანოს, რომელსაც მინსკის კონვენციის<sup>122</sup> ან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე აქვს საშუალება, ადრესატი სახელმწიფოს შესაბამის იუსტიციის დაწესებულებას მოსთხოვოს მოპასუხის მისამართის დადგენა.

სასამართლო ვალდებულია, თავად უზრუნველყოს მისამართების დადგენა, რადგან ამას ავალდებულებს კონვენცია და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები. ეს არ უნდა ჩაითვალოს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევად.

#### **2.4. მიმღების სამართლებრივი დაცვა**

სამართლებრივი ურთიერთდახმარების ჩარჩოში არსებობს მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო დამატებით ამომწმებს, თუ რამდენად ჩაბარდა მოპასუხეს დოკუმენტები სამართლებრივი ურთიერთდახმარების არხების ან ალტერნატიული არხების გამოყენებით.<sup>123</sup> ეს ემსახურება მოპასუხის (დოკუმენტის მიმღე-

---

<sup>122</sup> მე-8(4) და მე-8(5) მუხლები.

<sup>123</sup> მაგალითად, იხ. 1965 წლის 15 ნოემბრის დოკუმენტების ჩაბარების ჰააგის კონვენცია, მე-15 და მე-16 მუხლები.

ბის) დამატებით სამართლებრივ დაცვას დაუსწრებელი გადანყვეტილებებისგან.

აღსანიშნავია, რომ მინსკის კონვენციითა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ასეთი მექანიზმი პირდაპირ ნორმატიულ დონეზე გაზიარებული და გათვალისწინებული არ არის.

## **2.5. დოკუმენტის გადაცემაზე/ჩაბარებაზე უარის საფუძვლები**

მინსკის კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, თხოვნა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შეიძლება უარყოფილი იქნეს, თუ ასეთი დახმარების აღმოჩენას შეუძლია, ზიანი მიაყენოს თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი სახელმწიფოს უშიშროებას ან სუვერენიტეტს, ან ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას.

ასეთივე პირობა გათვალისწინებულია ყველა ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში, თუმცა მცირეოდენი განსხვავებებით. მაგალითად: ბულგარეთის რესპუბლიკასთან<sup>124</sup>, სომხეთის რესპუბლიკასთან<sup>125</sup>, თურქმენეთსა<sup>126</sup> და თურქეთის რესპუბლიკასთან<sup>127</sup> დამატებულია ე.წ. „საჯარო (საზოგადოებრივი) წესრიგის“ კომპონენტი.

ზემოთ აღნიშნულ „შიდა კანონმდებლობაში“ არ უნდა იგულისხმებოდეს ყველანაირი საკანონმდებლო აქტი ან დებულება, რომლებიც მოქმედებს შემსრულებელ სახელმწიფოში. ამ შეფასების საფუძველს ის იძლევა, რომ, მაგალითად, უკრაინასა<sup>128</sup> და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან<sup>129</sup> გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებებში, რომლებიც, თავის მხრივ, აგებულია მინსკის კონვენციის

---

<sup>124</sup> მე-9 მუხლი.

<sup>125</sup> მე-10 მუხლი.

<sup>126</sup> მე-10 მუხლი.

<sup>127</sup> 32-ე მუხლი.

<sup>128</sup> მე-18 მუხლი.

<sup>129</sup> მე-17 მუხლი.

საფუძველზე, უთითებენ არა ზოგადად „შიდა კანონმდებლობაზე“, არამედ „ძირითად საკანონმდებლო პრინციპებზე“. შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთდახმარების მოქნილობისა და ეფექტურობისათვის დახმარების განწევაზე უარის თქმის საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ ისეთ საკანონმდებლო ნორმებთან წინააღმდეგობა, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის შიდა მართლწესრიგს, სუვერენიტეტს, უშიშროებას ან საჯარო და საზოგადოებრივ წესრიგს. შესაბამისად, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასების საგანია და უნდა გადაწყდეს შესაბამისი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით.

### **3. შემთხვევები, რომლებიც არ ექცევა ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების რეგულირების სფეროში**

იმ შემთხვევაში, თუ ადრესატის ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან არ არის გაფორმებული ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, გამგზავნი იძულებულია, თავად განსაზღვროს, თუ როგორი ფორმითა და რომელ ენაზე უნდა მოხდეს დოკუმენტების გაგზავნა, რათა მეორე სახელმწიფოში დოკუმენტების ჩაბარება ჩაითვალოს კანონიერად.

სასამართლოს საპროცესო დოკუმენტების მიმართ საკმარისი უნდა იყოს სათანადო ფორმით დამონმებული ნათარგმნი დოკუმენტების გადაცემა.

რაც შეეხება ხარჯებს, სახელმწიფოსთან დამატებითი შეთანხმების არარსებობის პირობებში, ზოგადი პრინციპის თანახმად, ისინი შეიძლება დაეკისროს დოკუმენტების გამგზავნ მხარეს.

## **G. განსაკუთრებული შემთხვევები**

### **1. უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის დოკუმენტის ჩაბარება/გადაცემა**

მინსკის კონვენციის პრეამბულა და 1-ლი მუხლი ადგენს, რომ კონვენცია ემსახურება „თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეების, ასევე მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების“ უფლებების დაცვას.

დოკუმენტების გადაცემის/ჩაბარების გამარტივებული წესები ემსახურება როგორც გამგზავნი, ისე მიმღები მხარის ინტერესებს. შესაბამისად, კონვენციის სიტყვასიტყვითი განმარტებით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა ეხება არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ სახელმწიფოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქე პირებსაც.

თუკი აღნიშნული განმარტება იქნება გათვალისწინებული, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქისათვის დოკუმენტების ჩაბარება შეიძლება მოხდეს კონვენციის წესების გამოყენებით.

თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ თითქმის ყველა ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება (გარდა უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულებისა) შეეხება მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეებს და არ მოიცავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს კონფლიქტი ორმხრივი ხელშეკრულებისა და კონვენციის დებულებებს შორის.

ნებისმიერ შემთხვევაში, უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის დოკუმენტების ჩაბარება/გადაცემა შეიძლება მოხდეს II.E.2 თავში განხილული ალტერნატიული არხების გამოყენებით.

## 2. საქმისწარმოების დაწყების ან უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობის წარმოების დაწყების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის ჩაბარება/გადაცემა

მინსკის კონვენციის 53-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ შუამდგომლობა პირმა შეიძლება აღძრას იძულებით აღსრულებაზე ნებართვის გამცემ კომპეტენტურ სასამართლოში ან გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში, რომელიც შუამდგომლობას თავად გადაუგზავნის კომპეტენტურ სასამართლოს.

მინსკის კონვენციის ეს მუხლი შეეხება „გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების“ შესახებ შუამდგომლობას და იგივე წესი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული (1) გადაწყვეტილების ცნობის წარმოების დაწყებისა და (2) საქმისწარმოების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის ჩაბარებისას/გადაცემისას.

განსხვავებით მინსკის კონვენციისა, ზოგიერთი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება<sup>130</sup> ასეთსავე წესს ითვალისწინებს გადაწყვეტილების ცნობის შესახებ შუამდგომლობის მიმართაც.

კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ზემოთ დასახელებული ნორმებით გადაგზავნას ექვემდებარება ცნობა-აღსრულების თაობაზე შუამდგომლობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შუამდგომლობის განმხილველი სასამართლო აუცილებლად შეატყობინებს მოპასუხეს შუამდგომლობის (ან განცხადების) წარმოებაში მიღების თაობაზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, მან მოპასუხეს შეატყობინა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის წარმოების დაწყების შესახებ. ამასთან, მან თავად გადაუგზავნა მოპასუხეს საქმის მასალები და შეატყობი-

---

<sup>130</sup> მაგალითად: ბულგარეთის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, ყაზახეთის რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა.

ნა „მოსაზრების გამოთქმისა და საქმის ზეპირი განხილვით მოსმენის შესაძლებლობის“ შესახებ.<sup>131</sup>

რაც შეეხება საქმისწარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებას, ვინაიდან არსებობს სასამართლოებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის პრაქტიკა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლო თავად გაუგზავნის მოპასუხეს სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინებას, თუკი სარჩელში სათანადოდ არის მითითებული მოპასუხის მისამართი.

### **3. ჩაბარების/მინოდების ადგილი**

დოკუმენტების ჩაბარების/მინოდების ადგილის მიმართ უნდა გავრცელდეს მინსკის კონვენციისა და ორმხრივი ხელშეკრულებების ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც, ჩაბარება ხდება ადრესატი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ან სარეგისტრაციო მისამართზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – რეგისტრაციის ადგილას ან ძირითადი ადგილსამყოფელის ადგილის მიხედვით.

### **4. ჩაბარების/მინოდების ვადები**

დოკუმენტების ჩაბარების ვადების საკითხი მნიშვნელოვანია სასამართლო დოკუმენტების მიმართ.

სპეციალური რეგულირების არარსებობის პირობებში ხანდაზმულობის ვადების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ის ვადები, რომლებიც გათვალისწინებულია მხარეთა მიერ გამოსაყენებელ სამართალში, ხოლო საპროცესო ვადების მიმართ უნდა გავრცელდეს საქმის განხილველი შესაბამისი სასამართლოს ვადები.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ სამართლებრივი დახმარების სფეროში მოქმედი ხელშეკრულებები არ იძლევა მითითებას, თუ რა ვადაში უნდა შესრულდეს ხელშეკრუ-

---

<sup>131</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 6 იანვრის განჩინება №ა-4077-შ-83-2015.

რელი სახელმწიფოებიდან შემოსული თხოვნები. თუმცა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესასრულებლად მიზანშეწონილია ასეთი თხოვნების დროულად შესრულება, რათა უცხო ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო პროცესისათვის არ იყოს ხელისშემშლელი თხოვნის შემსრულებელი სახელმწიფოდან დაყოვნებული პასუხები.

### III. მტკიცე უზღუდათა მოპოვება

#### A. წინასიტყვაობა

##### 1. მიმოხილვა

სამართლებრივი ურთიერთდახმარების ერთ-ერთი სახეა მტკიცებულებათა მოპოვება. მტკიცებულებათა მოპოვებაში იგულისხმება მოწმის ჩვენებების, ადმინისტრაციულ ორგანოებში დაცული დოკუმენტების, ექსპერტიზის დასკვნებისა თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის ან სხვა სახის მტკიცებულების მოპოვება. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთ იურისდიქციაში მიმდინარე დავის დროს საჭიროა მეორე იურისდიქციაში არსებული ქონების უფლებრივი მდგომარეობის გარკვევა და შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტაციის გამოთხოვა.

მინსკის კონვენცია და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ცალკე არ გამოყოფენ მტკიცებულებათა მოპოვების განსაკუთრებულ წესებს. ერთადერთი, რაც ცალკე რეგულირებას ექვემდებარება, არის მინსკის კონვენციაში მოწმეთა და ექსპერტთა გადაყვანის წესები,<sup>132</sup> რომლებიც ასევე გათვალისწინებულია ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც. მინსკის კონვენციის მე-9 მუხლი ითვალისწინებს იმ მოწმეთა გარანტიებს, რომლებიც ერთი სახელმწიფოდან გადავლენ მეორე სახელმწიფოში ჩვენების მისაცემად. გარანტიები, ძირითადად, შეეხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან იმუნიტეტს და გადაყვანის ხარჯებს. მსგავსი დებულებები გათვალისწინებულია უმეტეს ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც.<sup>133</sup>

<sup>132</sup> სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია, მე-9 მუხლი.

<sup>133</sup> აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-11 მუხლი; თურქმენეთი – მე-13 მუხლი; თურქეთის რესპუბლიკა – მე-12 მუხლი; ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-13 მუხლი; საბერძნეთის რესპუბლიკა – მე-7 მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-12 მუხლი.



## მაგალითი

**A** სახელმწიფოში მიმდინარე დავის ფარგლებში **A** სახელმწიფოს სასამართლოს განჩინების საფუძველზე **B** სახელმწიფოში მცხოვრებ პირს დაევალა გარკვეული მტკიცებულების წარმოდგენა. **B** სახელმწიფოში მტკიცებულების გამჟღავნებაზე უარის თქმა იწვევს ადმინისტრაციულსამართლებრივ (ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ) პასუხისმგებლობას. **B** სახელმწიფოში მცხოვრებ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, რადგან მტკიცებულებების გადაცემის თაობაზე თხოვნა არ განხორციელებულა სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში.

არსებული პრაქტიკით, მტკიცებულებათა მოპოვება ექცევა მინსკის კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესატყვისი იმ მუხლების მოქმედებათა სფეროში, რომლებიც ზოგადად განსაზღვრავენ სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებს და რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, საკმაოდ ფართოა (I.A.1 თავი, სამართლებრივი ურთიერთდახმარების სახეები). მტკიცებულებათა მოპოვებად შეიძლება ჩაითვალოს მინსკის კონვენციითა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით

გათვალისწინებული შემდეგი საშუალებები:

- მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვა და დოკუმენტების მოძებნა/მოპოვება;<sup>134</sup>
- დიპლომატიური არხების მეშვეობით დოკუმენტების მოპოვება, მოქალაქეების დაკითხვა ან/და სხვადასხვა სასამართლო დავების შესრულება;<sup>135</sup>

<sup>134</sup> მინსკის კონვენცია – მე-6 მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-5 მუხლი; ბულგარეთის რესპუბლიკა – მე-4 მუხლი; ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-3 მუხლი; საბერძნეთის რესპუბლიკა – მე-6 მუხლი; სომხეთის რესპუბლიკა – მე-4 მუხლი; თურქმენეთი – მე-4 მუხლი; თურქეთის რესპუბლიკა – მე-4 მუხლი; უკრაინა – მე-3 მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-3 მუხლი; ჩეხეთი – მე-4 მუხლი.

<sup>135</sup> მინსკის კონვენცია – მე-12 მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-14 მუხლი; ბულგარეთის რესპუბლიკა – მე-12 მუხლი და მე-17(4) მუხლი; სომხეთის

- მისამართებისა და სხვა მონაცემების დადგენა.<sup>136</sup>

## **2. შემთხვევები, როდესაც სამართლებრივი**

### **ურთიერთდახმარების პროცედურების დაცვა არ არის აუცილებელი**

საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან, პატივი სცენ ერთმანეთის სუვერენიტეტს. ერთი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ უცხო ქვეყანაში მტკიცებულებათა მოპოვება ჩათვლებოდა ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტში ჩარევად. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მტკიცებულებათა მოპოვება ხდება ურთიერთდახმარების მიღმა, პირდაპირ იმ პირისთვის მიმართვის გზით, რომელთანაც შეიძლება ინახებოდეს ესა თუ ის მტკიცებულება.

ეს საკითხი მინსკის კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში არ არის რეგულირებული, თუმცა მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ შვეიცარიაში მოქმედი ურთიერთდახმარების წესები. ერთი ქვეყნის სასამართლოს ან ამაზე უფლებამოსილი პირის (საერთო სამართლის ქვეყნებში მხარეთა წარმომადგენლები) მიერ შვეიცარიაში მცხოვრები პირისგან (რომელიც უნდა წარმოადგენდეს დავის ერთ-ერთ მხარეს) მტკიცებულებების მოთხოვნა დასაშვებია, თუკი მტკიცებულებების მიწოდებაზე („თანამშრომლობაზე“) უარის თქმა ამ პირისათვის გამოიწვევს მხოლოდ პროცედურულ შედეგებს (მაგალითად, მტკიცების ტვირთის დამძიმებასთან დაკავშირებით მტკიცებულების წარმოდგენის უფლების გაქარწყლებას და ა.შ). ასეთ შემთხვევაში,

---

რესპუბლიკა – მე-13 მუხლი და მე-15(5) მუხლი; თურქმენეთი – მე-12 მუხლი; უკრაინა – მე-11 მუხლი; ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-10 მუხლი; საბერძნეთის რესპუბლიკა – მე-7 მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-11 მუხლი; ჩეხეთი – მე-10 მუხლი.

<sup>136</sup> მინსკის კონვენცია – მე-16 მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-5(2) მუხლი; ჩეხეთი – მე-15 მუხლი.

ამ პირის გადასაწყვეტია, ითანამშრომლებს თუ არა უცხო სახელმწიფოს სასამართლოსთან ან მტკიცებულების მომთხოვნ სხვა პირთან.<sup>137</sup>

საპირისპიროდ, თუკი თანამშრომლობაზე უარს შესაძლოა მოჰყვეს სანქციები, რომლებიც არ არის მხოლოდ და მხოლოდ პროცედურული ხასიათის (მაგალითად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა), მაშინ ასეთი პირის მიმართ მტკიცებულების თხოვნა აუცილებლად უნდა განხორციელდეს სამართლებრივი ურთიერთდახმარების ჩარჩოში.<sup>138</sup>

მიჩნეულია, რომ მოწმეების მხრიდან ჩვენების აღება მხოლოდ მაშინ შეიძლება სამართლებრივი ურთიერთდახმარების გვერდის ავლით,<sup>139</sup> როდესაც მოწმე თანახმაა, მისცეს ჩვენება, თუმცა ეს ზოგადი წესი ექვემდებარება გამონაკლისს ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში.<sup>140</sup>

## **B. ჰააგის მტკიცებულებათა კონვენცია**

ჰააგის მტკიცებულებათა კონვენცია ადგენს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებში მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით ხელშემკვერელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის წესებს. კონვენციის ფარგლებში ურთიერთდახმარება ხორციელდება ორი საშუალებით:

---

<sup>137</sup> Federal Office of Justice (FOJ), *International Judicial Assistance in Civil Matters – Guidelines*, 20.

<sup>138</sup> იქვე, 21.

<sup>139</sup> სამართლებრივი ურთიერთდახმარების გვერდის ავლა, ძირითადად, გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც მტკიცებულების მოპოვება ხდება ცენტრალური ორგანოს ჩართულობის გარეშე.

<sup>140</sup> Robert J. Augustine, *Obtaining International Judicial Assistance Under The Federal Rules And The Hague Convention On The Taking Of Evidence Abroad In Civil And Commercial Matters: An Exposition Of The Procedures And A Practical Example: In Re Westinghouse Uranium Contract Litigation*, 1980, 109.

(ა) ცენტრალური ორგანოებით და (ბ) დიპლომატიური არხებით/საკონსულო წარმომადგენელთა მეშვეობით.<sup>141</sup>

კონვენციის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთდახმარების თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს შესაბამისი ცენტრალური ორგანო თხოვნის წერილს აგზავნის ადრესატი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოში, რომელიც, თავის მხრივ, ამ თხოვნას გადაუგზავნის კომპეტენტურ იუსტიციის დაწესებულებას. პროცედურის გამარტივების მიზნით, ჰააგის მტკიცებულებათა კონვენციით გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რომ თხოვნის შესრულებაში ჩაერთოს თხოვნის გამგზავნი იუსტიციის დაწესებულების თანამშრომელი,<sup>142</sup> მხარეები ან მათი წარმომადგენლები.<sup>143</sup> ამასთან, თხოვნის გამგზავნი იუსტიციის დაწესებულებას შეუძლია, მოითხოვოს თხოვნის შესრულების სპეციალური პროცედურა, თუკი ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება შემსრულებელი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას.<sup>144</sup>

მტკიცებულებათა კონვენცია ასევე განსაზღვრავს, რომ, როცა მტკიცებულების მოპოვება უნდა მოხდეს კერძო პირისაგან, მას შეუძლია, უარი განაცხადოს მტკიცებულებების გადაცემაზე თუკი მას აქვს ამის საკანონმდებლო ვალდებულება ან პრივილეგია.<sup>145</sup>

მტკიცებულებათა კონვენცია ცალსახად განსაზღვრავს, რომ თხოვნის შესრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, თუ შემსრულებელ სახელმწიფოს ჰქონდა გამომრიცხავი იურისდიქცია იმ საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც მოთხოვნილია მტკიცებულების წარმოდგენა.<sup>146</sup>

---

<sup>141</sup> ჰააგის მტკიცებულებათა კონვენციის მიმოხილვა, <https://assets.hcch.net/docs/ec1fc148-c2b1-49dc-ba2f-65f45cb2b2d3.pdf>; Practical Handbook on the Operation of the Evidence Convention, IX-X.

<sup>142</sup> ჰააგის მტკიცებულებათა კონვენცია, მე-8 მუხლი.

<sup>143</sup> იქვე, მე-7 მუხლი.

<sup>144</sup> იქვე, მე-9 მუხლი.

<sup>145</sup> იქვე, მე-11 მუხლი.

<sup>146</sup> იქვე, მე-12 მუხლი.

მას შემდეგ, რაც საქართველო მიუერთდება ჰააგის მტკიცებულებათა კონვენციას, ამ კონვენციით გათვალისწინებული ურთიერთდახმარების მექანიზმები გამოყენებადი იქნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

- საქმე მიმდინარეობს საქართველოს სასამართლოებში და მტკიცებულება ჰააგის მტკიცებულებათა კონვენციის რომელიმე სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა;
- საქმე მიმდინარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომელიმე სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუმცა მტკიცებულება საქართველოს ტერიტორიაზეა.

## **C. უფლებამოსილი ორგანოები და გადაცემის პროცედურები**

### **1. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

როგორც III.A.1 თავში (მიმოხილვა) აღინიშნა, მტკიცებულებათა მოპოვება ცალკე არ რეგულირდება მინსკის კონვენციითა და ორმხრივი ხელშეკრულებებით და მტკიცებულებებთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია მინსკის კონვენციის მე-6, მე-12 და მე-16 მუხლებში<sup>147</sup> (ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები იხ. III.A თავში (წინასიტყვაობა)). შესაბამისად, მტკიცებულებათა მოპოვება დაექვემდებარება ურთიერთდახმარების ჩვეულებ-

---

<sup>147</sup> მინსკის კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან, საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად და საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვის მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიძიონ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მისამართები და შესაბამისი ცნობები გადასცენ თხოვნის გამომგზავნ სახელმწიფოს. ამასთან, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან, მოიძიონ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ისეთი პირების სამუშაო ადგილები და შემოსავლები, რომელთა წინააღმდეგაც მომთხოვნის სახელმწიფოს იუსტიციის დაწესებულება წარმოადგენს მოთხოვნას სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

რივ წესებს. ამის გათვალისწინებით, მტკიცებულების მოპოვება ხორციელდება ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, როგორც ეს აღწერილია სახელმძღვანელოს II.D თავში (ცენტრალური ორგანო).

თხოვნის შესრულებაზე ასევე გავრცელდება მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, იუსტიციის დაწესებულება თხოვნას შეასრულებს საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო თუ ის კომპეტენტური არ არის – გადაუგზავნის თხოვნას კომპეტენტურ ოფიციალურ დაწესებულებას.

ჰააგის მტკიცებულებათა კონვენცია შედარებით ზღუდავს მტკიცებულებათა მოპოვების თხოვნის სუბიექტებს. მაშინ, როდესაც დოკუმენტების გადაცემაზე თხოვნა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ კერძო სამართლის სუბიექტების მიერ ცენტრალური ორგანოსთვის მიმართვის გზით, მტკიცებულებათა გამოთხოვაზე/მოპოვებაზე თხოვნა უნდა მომდინარეობდეს იუსტიციის დაწესებულების (ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს) მხრიდან.<sup>148</sup>

მინსკისა და ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში ასეთი ცალსახა გამიჯვნა არ გვხვდება, თუმცა შესაძლოა, ითქვას, რომ ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მტკიცებულებათა გამოთხოვა ასევე შეიძლება მოხდეს სასამართლოს გზით, ხოლო თუკი თავად კერძო პირს სჭირდება რაიმე დოკუმენტი სასამართლოში წარსადგენად, მას შეუძლია, დოკუმენტების გადაცემის პროცედურით ისარგებლოს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მონმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების, საკითხი. კერძოდ, საქართველოში მონმის ჩვენების ჩამორთმევა, ძირითადად, ხდება უშუალოდ მოსამართლის მიერ, მაშინ, როდესაც საერთო სამართლის ქვეყნებში არსებობს პრაქტიკა, როდესაც მხარეები მონმეს დამოუკიდებლად ჩამოართმევენ ჩვენებას. შეფასების სახით შეიძლება ითქვას, რომ

---

<sup>148</sup> Federal Office of Justice (FOJ), *International Judicial Assistance in Civil Matters – Guidelines*, 21.

მონმის ჩვენების (როგორც მტკიცებულების) მოპოვება და გადაცემა ხდება როგორც დიპლომატიური არხებით,<sup>149</sup> ასევე სასამართლოს მეშვეობით.

## **2. შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადც არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება**

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსთან გაფორმებული არ არის ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ თხოვნა შეიძლება გადაცემულ იქნეს დიპლომატიური არხების საშუალებით (II.D.2 თავი (შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადც არ არსებობს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება)).

## **3. მტკიცებულებათა გადაცემის სხვა არხები**

მტკიცებულებათა გადაცემისთვის გამოიყენება ისეთივე არხები, რომლებიც აღწერილია II.D და II.E თავში (ცენტრალური ორგანოები და კომპეტენტური ორგანოები დოკუმენტების ჩაბარების დროს).

## **D. განცხადების წარდგენის წინაპირობები**

### **1. მინსკის კონვენცია/ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცებულებათა მოპოვება ცალკე არ რეგულირდება მინსკის კონვენციითა და ორმხრივი ხელშეკრულებებით, არც ცალკე მოთხოვნები არსებობს თხოვნის ფორმის, შინაარსის, ენის/თარგმნისა და შესრულების მიმართ.

---

<sup>149</sup> მინსკის კონვენცია, მე-12 მუხლი.

## 1.1. ფორმა

მტკიცებულებათა შესახებ თხოვნის მიმართ გამოიყენება ფორმის ისეთი მოთხოვნები, რომლებიც აღწერილია II.F.2.1 თავში (დოკუმენტების გადაცემის თაობაზე თხოვნის ფორმა). ამასთან, საგულისხმოა, რომ ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონვენციის მიერ დადგენილია სარეკომენდაციო ფორმა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სახელმძღვანელო მიზნებისათვის.<sup>150</sup>

## 1.2. შინაარსი

მტკიცებულებათა გადაცემის თაობაზე თხოვნის მიმართ გამოიყენება შინაარსის ისეთი მოთხოვნები, რომლებიც აღწერილია II.F.2.1 თავში (დოკუმენტების გადაცემის თაობაზე თხოვნის ფორმა). ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც მტკიცებულების მოპოვების ფარგლებში საჭიროა პირთა გამოკითხვა, სარეკომენდაციოდ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ჰააგის მტკიცებულებათა კონვენციის დამატებითი მოთხოვნები, კერძოდ, შესაძლოა მიეთითოს:

- გამოსაკითხი პირების სახელები და მისამართები;
- შეკითხვები და საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც პირმა უნდა ისაუბროს;
- შესამოწმებელი ნივთების ან/და დოკუმენტების ჩამონათვალი;
- რაიმე მტკიცებულების თაობაზე დადასტურების მოთხოვნა (საჭიროების შემთხვევაში).

მტკიცებულებათა მოპოვების დროს დოკუმენტების გადაცემის შემთხვევაში საჭირო არ უნდა იყოს ლეგალიზაცია ან რაიმე მსგავსი ფორმალობა.

---

<sup>150</sup> <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/specialised-sections/evidence>, ფორმა იხ. შემდეგ განყოფილებაში: „Recommended model for Letter of Request“.



### 1.3. ენა და თარგმანი

თხოვნის გაგზავნისა და შესრულების ენის მიმართ გავრცელებული იგივე მოთხოვნები, რომლებიც აღწერილია II.F.2.2 თავში (დოკუმენტების გადაცემის თაობაზე თხოვნის შესრულება და ენა).

### 1.4. დავალების შესრულება

მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოთხოვნის შესრულება ხდება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ თუკი მტკიცებულებათა მოპოვების თხოვნას მიიღებს საქართველო, მისი შესრულებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, ხოლო საქართველოს კერძო და საჯარო სამართლის სუბიექტებს ეკისრებათ ისეთივე ვალდებულებები, როგორც მათ წარმოემობათ საქართველოში მიმდინარე დავის დროს ქართული სასამართლოების მხრიდან მტკიცებულებათა შესახებ თხოვნის შემთხვევაში.

მტკიცებულებათა მოპოვება შეიძლება განხორციელდეს თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობით, თუ ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება თხოვნის შემსრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობას.<sup>151</sup>

არც მინსკის კონვენციასა და არც ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში დაკონკრეტებული არ არის, თუ როგორი დონის წინააღმდეგობა უნდა არსებობდეს კანონმდებლობებს შორის, რათა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება დაუშვებელი იყოს. ამ მხრივ უნდა გამოიყოს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და ყაზახეთის რესპუბლიკის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექს-

<sup>151</sup> მინსკის კონვენცია – მე-8 მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – მე-10 მუხლი; ბულგარეთის რესპუბლიკა – მე-13 მუხლი; ყაზახეთის რესპუბლიკა – მე-16 მუხლი; საბერძნეთის რესპუბლიკა – მე-11 მუხლი; სომხეთის რესპუბლიკა – მე-6 მუხლი; თურქმენეთი – მე-6 მუხლი; თურქეთის რესპუბლიკა – 27-ე მუხლი; უკრაინა – მე-8 მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – მე-8 მუხლი; ჩეხეთი – მე-6 მუხლი; კვიპროსის რესპუბლიკა – მე-6 მუხლი.

ტები, რომლებიც პირდაპირ უთითებს, რომ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შესრულების „ფორმასა“ და „ხერხზე“. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში, მატერიალური ნორმებისა და პირთა საპროცესო უფლებების განმსაზღვრელ ნორმათა გამოყენება არ არის დასაშვები და შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ნორმებით სარგებლობა.

*მტკიცებულებების მოპოვება კომპეტენტური ოფიციალური დაწესებულების მიერ დანიშნული პირის მეშვეობით*

როგორც უკვე აღინიშნა, მტკიცებულებების მოპოვების მიმართ გამოიყენება ურთიერთდახმარების ჩვეულებრივი წესები. მინსკის კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში საკვანძო როლი აქვთ თხოვნის შესრულებაზე კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში იქნება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო. ეს ნიშნავს, რომ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა გამოითხოვოს მტკიცებულება შესაბამისი პირისგან ან ორგანოსაგან.

ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის, საერთო სამართლის ქვეყნებში, გარკვეული მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულება ეკისრებათ მხარეებს და სასამართლოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს მტკიცებულებების მოპოვებაში. თუკი მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი რომელიმე სახელმწიფო იქნება (ან გადავა) ასეთი ტიპის საპროცესოსამართლებრივ მონესრიგებაზე, მაშინ სასამართლო აღარ იქნება კომპეტენტური მტკიცებულებების გამოთხოვაზე.

მინსკის კონვენციის იმავე მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ თხოვნის მიმღები ოფიციალური დაწესებულება (ამ შემთხვევაში სასამართლო) კომპეტენტური არ არის თხოვნის გადაცემაზე, ის თხოვნას გადაუგზავნის „კომპეტენტურ დაწესებულებას“. შესაბა-

მისად, მინსკის კონვენცია ითვალისწინებს თხოვნის გადაკისრების საშუალებას, თუმცა მხოლოდ „დანესებულებებს“ შორის. აქედან გამომდინარე, თუკი იარსებებს შემთხვევა, როდესაც მტკიცებულებების მოპოვება არ ჯდება არცერთი „დანესებულების“ კომპეტენციაში, თხოვნა შეუსრულებელი დარჩება.

ჭააგის მტკიცებულებათა კონვენცია ითვალისწინებს მტკიცებულებების მოპოვებას კომპეტენტური ოფიციალური დანესებულების მიერ დანიშნული პირის მეშვეობით. ამ ინსტიტუტის გამოიყენება შეიძლება ისეთი სახელმწიფოების მიმართ, რომლებშიც სასამართლოს არ აქვს მტკიცებულებების მოპოვების საპროცესოსამართლებრივი ბერკეტი. შესაბამისად, შესაძლოა მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის გაფართოება და მასში საპროცესო წარმომადგენლის (საპროცესო კომისიონერის), როგორც თხოვნის შესრულებაზე კომპეტენტური „დანესებულების“, მოაზრებაც.

### *მტკიცებულების გადაცემაზე უარი მტკიცებულების საიდუმლოების საფუძველით*

იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცებულების გადაცემისას სახელმწიფოები გამოიყენებენ საკუთარ კანონმდებლობას, შესაძლოა, გარკვეული სენსიტიური ხასიათის მტკიცებულებები არ დაექვემდებაროს გადაცემას. ასეთი შეიძლება იყოს საბანკო, პირადი, კომერციული ან/და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მტკიცებულებები.

ასეთ შემთხვევაში მტკიცებულების გადაცემის შესახებ გადანყვეტილებას იღებს შესაბამისი კომპეტენტური იუსტიციის დანესებულება, ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ საიდუმლო ინფორმაციის დაცვაზე ერთ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს უფრო მკაცრი მიდგომა, ხოლო მეორეს – შედარებით მსუბუქი. არ არის გამორიცხული, რომ ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოებს შორის ამოქმედდეს ნაცვალ-

გების პრინციპი, თუკი ერთი სახელმწიფოს კომპეტენტური იუსტიციის დაწესებულება სისტემატიურად უარს განაცხადებს გარკვეული ტიპის მტკიცებულებების გადაცემაზე.

### *შესრულებაზე უარის თქმა*

მტკიცებულებების მოპოვების თაობაზე თხოვნის შესრულებაზე უარის თქმის მიმართ გამოიყენება მინსკის კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ის საფუძვლები, რომლებიც აღწერილია წინამდებარე დოკუმენტის II.F.2.5 თავში (დოკუმენტების გადაცემის თაობაზე თხოვნის შესრულებაზე უარის თქმა).

### *ხარჯები*

მტკიცებულებების მოპოვების თაობაზე თხოვნის შესრულების ხარჯებთან დაკავშირებით გავრცელდება მინსკის კონვენციისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ის წესები, რომლებიც აღწერილია წინამდებარე დოკუმენტის I.A.4 თავში (ხარჯები).

განსხვავებული მიდგომა<sup>152</sup> არსებობს მონმეთა და ექსპერტთა დაბარების ხარჯებთან დაკავშირებით, კერძოდ, გამგზავნი სახელმწიფო ანაზღაურებს ხარჯებს, დაკავშირებულს:

- თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოში ყოფნასთან;
- მიუღებელ ხელფასთან სამსახურიდან მოცდენის გამო;
- ექსპერტიზის ჩატარების ანაზღაურებასთან.

ექსპერტთა და მონმეთა გამოძახებისას მითითებული უნდა იყოს, თუ როგორი ანაზღაურება უნდა გაიცეს.

ექსპერტთა და მონმეთა მხრიდან შესაბამისი წინასწარი შუამდგომლობის შემთხვევაში ანაზღაურება შეიძლება გაიცეს იუსტიციის დაწესებულების მიერ ავანსის ფორმით.<sup>153</sup>

<sup>152</sup> სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია, მე-9(3) მუხლი.

<sup>153</sup> მინსკის კონვენცია, მე-9(3) მუხლი.

## **2. მტკიცებულებათა მოპოვების ისეთი შემთხვევები, რომელთა დასარეგულირებლადაც არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება**

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსთან გაფორმებული არ არის ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, მტკიცებულებათა სავალდებულო წესით მოპოვება ვერ მოხერხდება დიპლომატიური ან/და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით.

„საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საკონსულო დაწესებულება „... უზრუნველყოფს დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოთხოვას“. თუმცა ეს უფლებამოსილება არ გულისხმობს მათ უფლებამოსილებას, მოიპოვონ მტკიცებულებები თავიანთ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

აღნიშნულის მიზეზი კი ის არის, რომ მტკიცებულებათა მოპოვება შეიცავს დამავალდებულებელ ელემენტებს, მაგალითად: სასამართლო ავალდებულებს მხარეს, წარმოადგინოს მტკიცებულება. შესაბამისად, იგულისხმება, რომ უცხო ქვეყნის საკონსულოს არ გააჩნია ასეთი ტიპის მავალდებულებელი მექანიზმები საქართველოს მოქალაქეების მიმართ, ან პირიქით.

მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ თხოვნა გადასცეს ადგილსამყოფელი ქვეყნის შესაბამის უწყებას და კეთილი ნების საფუძველზე ითხოვოს მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებული თხოვნის შესრულება.

## **E. განსაკუთრებული შემთხვევები**

### **1. წარმოება ვიდეოკონფერენციის მეშვეობით**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებაა როგორც მხარის ახსნა-განმარტება, ისე მონმის ჩვენება.

შესაბამისად, ვიდეოკონფერენციის საშუალებით საქმისწარმოება განხილულ უნდა იქნეს ორი მიმართულებით: პირველი, როდესაც ხდება მონმის ვიდეოდაკითხვა და, მეორე, როდესაც ვიდეოკონფერენციით ხდება მხარისაგან ახსნა განმარტების მიღება.

მინსკის კონვენცია და საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულებები პირდაპირ არ იცნობს ტექნიკური საშუალებებით მტკიცებულებების მოპოვებას. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ურთიერთდახმარების ფარგლებში საქართველოს სასამართლოებს დაევალებათ მტკიცებულებების მოპოვება, ისინი იხელმძღვანელებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის 127-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ახსნა-განმარტების დისტანციურად, ვიდეოკონფერენციის საშუალებით მოპოვების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ასეთივე შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის მონმეთა ჩვენებების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თხოვნა განხორციელებულია საქართველოს სასამართლოების მიმართ, ახსნა-განმარტების ვიდეოკონფერენციით მიღება დიდი ალბათობით უნდა მოხერხდეს, თუმცა იმავეს თქმა გართულდება მონმეთა ჩვენებებზე.

სხვა სახელმწიფოებში ეს შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება ადგილობრივ კანონმდებლობაზე. ჰააგის მტკიცებულებათა კონვენციის რეჟიმით საზღვარგარეთ არსებულ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად ვიდეოკონფერენციის გამოყენება შესაძლებელია.<sup>154</sup>

---

<sup>154</sup> *Conclusions and Recommendations of the Special Commission on the Practical Operation of the Service, Evidence, Access to Justice and Apostille Conventions*, პ. 55, [https://assets.hcch.net/upload/wop/jac\\_concl\\_e.pdf](https://assets.hcch.net/upload/wop/jac_concl_e.pdf)

ახსნა-განმარტების ვიდეოკონფერენციის საშუალებით მიღებისას შესაძლოა, გამართლებული იყოს ჰააგის მტკიცებულებათა კონვენციის ფარგლებში ჩამოყალიბებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, ვიდეოკონფერენციისა და, ზოგადად, მასთან დაკავშირებული პროცესის წარმართვა მთლიანად უნდა იყოს თხოვნის შემსრულებელი სასამართლოს ხელმძღვანელობის ქვეშ. ხოლო უცხო ქვეყნის ოფიციალური დანესებულების წარმომადგენელს ან მეორე მხარეს (უცხო ქვეყანაში მყოფ) და მის წარმომადგენელს აქვს მხოლოდ პროცესზე დასწრების უფლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰააგის მტკიცებულებათა კონვენციის ფარგლებში ვიდეოკონფერენციის დროს საჭიროა გარკვეული ზომების მიღება და იმის უზრუნველყოფა, რომ კონფერენციაში ჩართული პირი ნამდვილად წარმოადგენდეს სწორ ადრესატ პირს.<sup>155</sup>

## **2. წარმოება ტელეფონის მეშვეობით**

ტელეფონის საშუალებით საქმისწარმოების მიმართ გამოიყენება არსებითად იგივე წესები, რაც ვიდეოკონფერენციის მიმართ. თუმცა ტელეფონის შემთხვევაში უფრო კრიტიკულად დგას პირის იდენტიფიცირებისა და კითხვებზე გაცემული პასუხების სარწმუნოობის საკითხი.<sup>156</sup>

---

<sup>155</sup> Federal Office of Justice (FOJ), *International Judicial Assistance in Civil Matters – Guidelines*, 38-39.

<sup>156</sup> იქვე, 39.

## **IV. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება**

### **A. მიმოხილვა**

წინამდებარე თავში განხილულია უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და სხვა შესაბამისი იუსტიციის დაწესებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებაზე გამოსაყენებელი პირობები. ამ მხრივ საინტერესოა „საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ურთიერთმიმართება და მათი გამოყენების პრაქტიკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. საყურადღებოა ასევე, რომ მოქმედი რეგულირებების თანახმად, ცნობაუნარიანი და, შესაბამისად, აღსრულებადია არა მხოლოდ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებები, არამედ ასევე იუსტიციის სხვა დაწესებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც. მათ რიცხვს მიეკუთვნება ასევე სანოტარო აქტებიც, რომელთა მიმართ საქართველოში არსებული პრაქტიკა არცთუ ისე დიდია ამ კატეგორიის საქმეთა სიმწირის გამო. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება, იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება გამოტანილია სამოქალაქო საქმეზე და სისხლის სამართლის საქმეზე მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ნაწილში. ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას არც მრავალმხრივი მინსკის კონვენცია და არც ორმხრივი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებენ.



## **B. გადანყვეტილების ცნობის თაობაზე განცხადებით მიმართვის წინაპირობები**

### **1. მოქმედების სფერო**

#### **1.1. მინსკის კონვენცია**

მინსკის კონვენციის მე-3 თავი არეგულირებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასამართლო გადანყვეტილებათა ცნობა-აღსრულების წესებს. კონვენციის 51-ე–55-ე მუხლები შეეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- ცნობა-აღსრულებას დაქვემდებარებული გადანყვეტილებების კატეგორიები;
- ისეთი გადანყვეტილებების აღსრულება, რომლებიც არ საჭიროებს ცნობას;
- გადანყვეტილების აღსრულების მოთხოვნის წესი;
- აღსრულების პროცედურა;
- აღსრულებაზე უარის თქმა.

მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ცნობენ და აღასრულებენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ:

- სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების გადანყვეტილებებს, მათ შორის სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მორიგების აქტებს და სანოტარო აქტებს ფულადი ვალდებულებების შესახებ;
- სისხლის სამართლის საქმეებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადანყვეტილებებს.

მინსკის კონვენციაში მითითება კეთდება „იუსტიციის დაწესებულებების“ მიერ მიღებულ გადანყვეტილებებზე. კონვენციაში პირდაპირ არ არის დაკონკრეტებული, რომ მე-3 თავი (ცნობა-აღსრულების თავი) შეეხება მხოლოდ „სასამართლო გადანყვეტილებებს“, ასევე მინსკის კონვენციიდან არ ჩანს, თუ რამდენად მოიცავს ის მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მიღებულ საარბიტრაჟო გადანყვეტილებებს.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა მინსკის კონვენციის ფარგლებში არ ხორციელდება.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის („დსთ“) ნევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებული საარბიტრაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის შესახებ 1992 წლის კიევის კონვენცია (შემდგომში – „კიევის კონვენცია“). ამ კონვენციით დსთ-ის სახელმწიფოებს შორის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება ცნობა-აღსრულების სასამართლო პროცესის გარეშე. ასეთი გამარტივებული პროცედურა არ გვხვდება მინსკის კონვენციაში. საქართველო და მოლდოვის რესპუბლიკა არ არიან კიევის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები.

კიევისა და მინსკის კონვენციის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების კუთხით კიევის კონვენცია არის უფრო სპეციალური და, შესაბამისად, სწორედ ეს კონვენცია უნდა გამოიყენებოდეს, ხოლო მინსკის კონვენცია გამოყენებადია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების მიმართ.<sup>157</sup> სწორედ ამ განმარტებით უნდა განვითარდეს პრაქტიკა.

---

<sup>157</sup> Н.Ю. Ерыплева, Д.М. Максимов, *Признание и приведение в исполнение иностранных судебных решений: национальное и региональное измерение*, 211-212. ამავე მოსაზრების მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არ არის კიევის კონვენციის ხელშემკვრელი, საქართველოს შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების მიმართ უნდა გამოიყენებოდეს მინსკის კონვენციის ნორმები. აღნიშნული ავტორების მოსაზრების გაზიარება კი პრაქტიკაში არ უნდა მოხდეს საქართველოსთან მიმართებით, ვინაიდან მინსკის კონვენციის რეგულირების სფეროში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება არ არის პირდაპირ დარეგულირებული და, ამავდროულად, საქართველო წარმოადგენს ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის – უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს (სტატუსი იხ. [http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/NYConvention\\_status.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/NYConvention_status.html)), რომლის რეგულირების საგანი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებაა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორი გადაწყვეტილება, რომელთა ფარგლებშიც საქართველოს უზენაესი სასამართლო იხილავდა ქ. მოსკოვისა<sup>158</sup> და ომსკის ოლქის<sup>159</sup> საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობის საკითხს. ამ შემთხვევაში სასამართლომ კი გამოიყენა მინსკის კონვენციის დებულებები, თუმცა დასახელებული არბიტრაჟები იყო არა კერძო, არამედ შედიოდა რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოების სისტემაში (რუსეთის ფედერაციის სასამართლოების სპეციფიკიდან გამომდინარე).

## 1.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები

ზოგიერთ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში გამიჯნულია საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების წესები. კერძოდ, თურქმენეთთან<sup>160</sup> და თურქეთის რესპუბლიკასთან<sup>161</sup> გაფორმებული ხელშეკრულებები ცალკე გამოყოფენ, რომ ცნობა-აღსრულებას ექვემდებარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებიც.

ბულგარეთის რესპუბლიკის<sup>162</sup>, ყაზახეთის რესპუბლიკისა<sup>163</sup> და უზბეკეთის რესპუბლიკის<sup>164</sup> ორმხრივი ხელშეკრულებები პირდაპირ არ მიუთითებენ, რომ ცნობა-აღსრულებას ექვემდებარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებიც, თუმცა შეიცავენ დამოუკიდებელ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ საარბიტრაჟო გადაწყ-

---

<sup>158</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, № ა-428-შ-13-2014, 20 ნოემბერი, 2014.

<sup>159</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, № ვ-799-შ-97-2012, 25 ივნისი, 2013.

<sup>160</sup> 42-ე მუხლი.

<sup>161</sup> მე-19 მუხლი.

<sup>162</sup> 23-ე (3) მუხლი.

<sup>163</sup> 26-ე (2) მუხლი.

<sup>164</sup> 57-ე მუხლი.

ვეტილებების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლებს. აქედან გამომდინარე, ამ ხელშეკრულებებიდან ირიბად გამომდინარეობს, რომ ისინი მოიცავენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებასაც.

რაც შეეხება საბერძნეთის რესპუბლიკასთან გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მისი 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე ვრცელდება ხელშეკრულების 22-ე და 23-ე მუხლები, რომლებიც, შესაბამისად, არეგულირებენ გადაწყვეტილების ცნობის წინაპირობებსა და ცნობა-აღსრულების თხოვნის შესახებ შუამდგომლობის შეტანის წესს.

სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში ცნობა-აღსრულებას დაქვემდებარებულ საქმეთა წრე არსებითად ემთხვევა მინსკის კონვენციას და მათში არ არის მითითება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების თაობაზე. კერძოდ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თუ ცალსახად არ არის მითითებული შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებაში, როგორც ცნობაუნარიანი გადაწყვეტილება, მაშინ, ამ ხელშეკრულების რეგულირების საგანი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება არ არის და, მინსკის კონვენციის მსგავსად, ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევებში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებით, საქართველოს პერსპექტივიდან საყურადღებოა და გამოყენებულ უნდა იქნეს ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის – უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია.

## 2. ცნობა-აღსრულების საერთაშორისო და

### შიდასაკანონმდებლო ნორმების ურთიერთმიმართება

#### 2.1. მინსკის კონვენცია

გამომდინარე იქიდან, რომ მინსკის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებაა, მოქმედებს მისი პრიმატი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებთან მიმართე-

#### მაგალითი

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ გამოიყენა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული ცნობაზე უარის თქმის ისეთი წინაპირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის მინსკის კონვენციის 55-ე მუხლში. კერძოდ, მან არ ცნო გადაწყვეტილება, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობის ძირითად სამართლებრივ პრინციპებს („საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი). თუმცა აღსანიშნავია, რომ იგივე სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს ასევე მინსკის კონვენციის მე-19 მუხლის საფუძველზეც.

ბით. სწორედ ამიტომ კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლო, რომელიც განიხილავს ხელშემკვრელი მხარის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს, შემოიფარგლება კონვენციაში გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, იმავე 54-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ „*იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება*“.<sup>165</sup>

აქედან გამომდინარე, ცნობა-აღსრულების პროცედურის მიმართ გამოიყენება

<sup>165</sup> თარგმანი იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, №ა-4113-შ-115-2016, 26 აპრილი, 2017.

კონკრეტული ხელშემკვრელი სასამართლოს საპროცესოსამართლებრივი ნორმები, ხოლო ცნობა-აღსრულების სხვა საკითხებზე ვრცელდება კონვენციის მე-3 თავის დებულებები.<sup>166</sup>

გარდა პროცედურული საკითხებისა, ყოფილა შემთხვევა, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლო ავსებს მინსკის კონვენციის დებულებებს ქვეყნის ავტონომიური/ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმებითაც.<sup>167</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად მოყვანილ საქმეში სასამართლოს ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის დებულება შეესაბამება მინსკის კონვენციის მე-19 მუხლს, რომლის მიხედვითაც მხარე არ აღმოუჩინს მეორე მხარეს სამართლებრივ დახმარებას, თუ ის ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას (საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს). ვინაიდან სამართლებრივი დახმარების ერთ-ერთი სახე არის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, შესაძლებელია, სასამართლომ უარი თქვას ცნობაზე, თუ ასეთი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა (გადაწყვეტილების ცნობა) ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. შესაბამისად, შედეგობრივად შეიძლება ითქვას, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის გამოყენებით სასამართლო იმავე შედეგზე გავიდა, რასაც მინსკის კონვენციის მე-19 მუხლის გამოყენების შემთხვევაში მიაღწევდა, თუმცა არ გამოიყენა ის ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა. იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი მიდგომა და თავი-

---

<sup>166</sup> მაგალითად, ზეპირი განხილვის აუცილებლობის შესახებ სასამართლოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილით, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, №ა-2021-შ-52-2016, 21 ოქტომბერი, 2016.

<sup>167</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, № ა-3667-შ-97-2013, 14 აპრილი, 2014.

დან იქნეს არიდებული ნებისმიერი სახის გაურკვეველობები გამოსაყენებელ სამართალთან მიმართებით, ასეთ შემთხვევებში, უმჯობესია, სასამართლომ იხელმძღვანელოს იერარქიულად უფრო ზემდგომი, მინსკის კონვენციის შესაბამისი დანაწესებით.

## **2.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მინსკის კონვენციის მსგავსად, აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილების ცნობის შესახებ შესული შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო – დავის არსებითი ნაწილი განხილვის გარეშე – ამონებს, თუ რამდენად დაკმაყოფილებულია ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცნობის წინაპირობები და გადაწყვეტილების ცნობის საკითხს წყვეტს ადგილობრივი კანონმდებლობის (პროცედურის) შესაბამისად.<sup>168</sup>

## **3. ფორმა**

### **3.1. მინსკის კონვენცია**

მინსკის კონვენციის 53-ე მუხლი განსაზღვრავს, რომელი დოკუმენტები უნდა ერთოდეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობას. კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით, შუამდგომლობას თან უნდა ერთოდეს:

1. კომპეტენტური სასამართლოს ან ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ შედგენილი შუამდგომლობა უცხო ქვეყნის კომპეტენტური სასამართლოს სახელზე, სადაც ჩამოყალიბებული იქნება თხოვნის არსი;
2. გადაწყვეტილება ან მისი დამონმებული ასლი;

---

<sup>168</sup> სომხეთის რესპუბლიკა – მე-19 მუხლი; ბულგარეთის რესპუბლიკა – 21-ე მუხლი; თურქმენეთი – 44-ე და 49-ე მუხლები; თურქეთის რესპუბლიკა – 23-ე მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – 44-ე (3) და 44-ე (4) მუხლები; უკრაინა – 42-ე მუხლი; ყაზახეთის რესპუბლიკა – 24-ე მუხლი; საბერძნეთის რესპუბლიკა – 24-ე და 25-ე მუხლები; უზბეკეთის რესპუბლიკა – 54-ე მუხლი; კვიპროსის რესპუბლიკა – 26-ე მუხლი; ჩეხეთი – 56-ე და 58-ე მუხლები.

3. ოფიციალური დოკუმენტი (სააღსრულებო ფურცელი), რომელიც ადასტურებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში (თარიღის მითითებით) და ექვემდებარება აღსრულებას ან არ შესულა ძალაში, მაგრამ ძალაში შესვლამდე უნდა აღსრულდეს;
4. ცნობა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, არ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება (გაიცემა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ);
5. დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება და რომელიც არ დასწრებია პროცესს, ან სათანადოდ არ იქნა წარმოდგენილი, თუმცა სათანადოდ დროსა და წესით იქნა მოწვეული პროცესზე;
6. ნაწილობრივი აღსრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
7. მხარეების შეთანხმება საქმის სასამართლოში განხილვის შესახებ (გადათქმა).

შუამდგომლობა და თანდართული დოკუმენტები უნდა იყოს ცნობა-აღსრულების თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ან რუსულ ენაზე შედგენილი და სათანადოდ დამონმებული. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ თითოეული წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი დამონმებული უნდა იყოს დანესებულების გერბიანი ბეჭდით.

მნიშვნელოვანია, მინსკის კონვენცია უშვებს, რომ ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობა წარდგენილი იყოს გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში, ან უშუალოდ იმ სასამართლოში, რომელმაც უნდა განიხილოს ეს შუამდგომლობა.<sup>169</sup> ასეთი ტიპის ჩანაწერი გვხვდება უმეტეს, თუმცა არა ყველა, ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში. ამ უკანასკნელს განეკუთვნება თურქეთის რესპუბლიკა<sup>170</sup>, უკრაინა<sup>171</sup>, უზბეკეთის რესპუბლიკა<sup>172</sup>.

<sup>169</sup> 53-ე(1) მუხლი.

<sup>170</sup> 22-ე მუხლი.

<sup>171</sup> 41-ე მუხლი.

<sup>172</sup> 51-ე მუხლი.



აქვე უნდა აღინიშნოს: მინსკის კონვენციის ზემოაღნიშნული დანაწესი არ გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს თავად შეუძლია მიმართოს მეორე სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის თხოვნით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თხოვნით საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა აზერბაიჯანული სასამართლოს იმ მოსამართლემ, რომელმაც აზერბაიჯანში მიიღო გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის ჩანაწერი (ამ მუხლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორს შეუძლია, მიმართოს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს, რომელიც შუამდგომლობას გადაუგზავნის იმ სასამართლოს, რომელმაც უნდა ცნოს გადაწყვეტილება) არ ნიშნავს, რომ შუამდგომლობის დაყენებაც თავად მოსამართლეს შეუძლია. სასამართლოს განმარტებით, შუამდგომლობის განხილვის მიზნით აუცილებელია არსებობდეს დავის მხარის მიერ შეტანილი განცხადება/შუამდგომლობა.<sup>173</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილები-სა, როდესაც შუამდგომლობა ეხება სახელმწიფო ბაჟის/ხარჯების ამოღებას, შუამდგომლობას თავად გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოც წარმოადგენს ხოლმე.

გასათვალისწინებელია შემდეგი დეტალიც: კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს უზენაესი სასამართლო დააკმაყოფილებს უცხო ქვეყნიდან მიღებულ შუამდგომლობას, მაშინ საქართველოს უზენაესი სასამართლო ქართულენოვან განჩინებას რუსულენოვან დამონმებულ თარგმანთან ერთად (ან კონვენციის ფარგლებში თხოვნის გამომგზავნი სახელმწიფოს ენაზე შესრულებულს) უგზავნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რათა ცენტრა-

---

<sup>173</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, № ა-1829-შ-51-09, 22 ოქტომბერი, 2009.

ლური ორგანოს მეშვეობით მოხდეს შუამდგომლობის ავტორის ინფორმირება. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროში იგზავნება სააღსრულებო ფურცელი და განჩინების ქართულენოვანი ვარიანტები, რათა სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით ისინი მიეწოდოს სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“. იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება უცხო ქვეყნიდან მიღებული შუამდგომლობა, ცენტრალური ორგანოს, იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით ხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების (ქართულ და რუსულენოვან, ან კონვენციის ფარგლებში თხოვნის გამომგზავნი სახელმწიფოს ენაზე შესრულებული ვარიანტების) გადაგზავნა უცხო ქვეყანაში შუამდგომლობის ავტორის ინფორმირების მიზნით.

### **3.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თითქმის მინსკის კონვენციის მსგავსად არეგულირებენ ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის ფორმის საკითხს. თუმცა ზოგიერთ ხელშეკრულებაში მაინც გვხვდება გარკვეული განსხვავებები, რომლებიც განხილულია წინამდებარე ქვეთავში.

#### ***ბულგარეთის რესპუბლიკა და კვიპროსის რესპუბლიკა<sup>174</sup>***

მაშინ, როდესაც მინსკის კონვენცია აკონკრეტებს, რომ შუამდგომლობას უნდა ერთოდეს მისი განმხილველი ქვეყნის ენაზე ან რუსულ ენაზე დამოწმებული თარგმანი, ბულგარეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება მხოლოდ და მხოლოდ მოითხოვს თარგმანის დართვას, თუმცა არ აკონკრეტებს, რომელ ენაზე უნდა იყოს თარგმანი შესრულებული.<sup>175</sup> შესაბამისად, შუამდგომლობის მიმართ უნდა გავრცელდეს ხელშეკრულების ზოგადი

---

<sup>174</sup> 28-ე მუხლი.

<sup>175</sup> მე-20(3) მუხლი.

მოთხოვნები, რომლებიც განხილულია სახელმძღვანელოს I.A.3.2 თავში.

***საბერძნეთის რესპუბლიკა<sup>176</sup> და ჩეხეთი<sup>177</sup>***

ამ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, შუამდგომლობასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტები შედგენილი უნდა იყოს იმ ხელშეკრული სახელმწიფოს ენაზე, რომელმაც უნდა განიხილოს ეს შუამდგომლობა.

***თურქეთის რესპუბლიკა***

მაშინ, როდესაც, მინსკის კონვენციის მიხედვით, დოკუმენტების თარგმანი შედგენილი უნდა იყოს შემსრულებელი სახელმწიფოს ან რუსულ ენაზე, თურქეთის რესპუბლიკის შემთხვევაში თხოვნის შემსრულებელი მხარის ენაზე ან ინგლისურ ენაზეა დოკუმენტების შედგენის ვალდებულება.<sup>178</sup>

***ყაზახეთის რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა***

მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის მიხედვით, გადანყვეტილებას უნდა დაერთოს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ პირი სათანადოდ იყო წარმოდგენილი დავის განხილვის დროს. აღნიშნულის მსგავსად, ყაზახეთის რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებებიც ამ მოთხოვნას აკონკრეტებენ და მიუთითებენ, რომ, თუკი მხარე, რომელიც არ დასწრებია პროცესს, იყო საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე, მაშინ გადანყვეტილებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ამ პირს ჰყავდა სათანადო წარმომადგენელი.<sup>179</sup>

---

<sup>176</sup> 23-ე (2.C) მუხლი.

<sup>177</sup> 55-ე (4) მუხლი.

<sup>178</sup> 22-ე (2 გ) მუხლი.

<sup>179</sup> ყაზახეთის რესპუბლიკა – 23-ე (2) მუხლი; სომხეთის რესპუბლიკა – მე-18 (2) მუხლი.

## **თურქმენეთი**

თურქმენეთთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით პირდაპირაა გათვალისწინებული, რომ გადაწყვეტილებას უნდა დაერთოს დოკუმენტის ორიგინალი, რომელიც ადასტურებს აღსასრულებელი გადაწყვეტილების ჩაბარებას ან ოფიციალური ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ გადაწყვეტილება სათანადო ფორმით ეცნობათ მხარეებს.<sup>180</sup>

აზერბაიჯანის რესპუბლიკის<sup>181</sup>, უკრაინისა<sup>182</sup> და უზბეკეთის რესპუბლიკის<sup>183</sup> ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები არსებითად მინსკის კონვენციის მსგავსად არეგულირებენ ცნობა-აღსრულების თაობაზე შუამდგომლობისა და მათზე თანდართული დოკუმენტების შედგენის ფორმას.

## **4. შესრულება და ენა**

### **4.1. მინსკის კონვენცია**

ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ნესებს განსაზღვრავს მინსკის კონვენციის 55-ე მუხლი, რომელიც უარის თქმის რამდენიმე საფუძველს ჩამოთვლის:

1. აღსასრულებელი გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში, ან არ საჭიროებს აღსრულებას;
2. მოპასუხე არ იქნა სათანადოდ მონეული;
3. იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით უკვე არსებობს გადაწყვეტილება ან მიმდინარეობს დავა;
4. ქვეყანას, რომელშიც უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილება, ჰქონდა განსაკუთრებული (გამომრიცხავი) კომპეტენცია დავაზე;<sup>184</sup>

---

<sup>180</sup> 45-ე მუხლი.

<sup>181</sup> 44-ე (7) მუხლი.

<sup>182</sup> 41-ე (4) მუხლი.

<sup>183</sup> 52-ე მუხლი.

<sup>184</sup> ამ დებულებასთან მიმართებით ნიშანდობლივია კონვენციის სისტემისა და სტრუქტურის საკითხი. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მინსკის კონვენცია

5. არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ;
6. გასულია იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გათვალისწინებულია იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც უნდა მოხდეს აღსრულება.

ხშირ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი ხდება მოპასუხის პროცესზე არასათანადოდ მოწვევა, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს კომპეტენციის ნაკლი ან/და გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის სახელმწიფოს საჯარო წესრიგთან<sup>185</sup> წინააღმდეგობა.

აღსანიშნავია, რომ მინსკის კონვენციით, „საჯარო წესრიგი“ პირდაპირ არ არის აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება, როგორც ეს, მაგალითად, განსაზღვრულია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში. თუმცა, როგორც აღინიშნა, მინსკის კონვენციის მე-19 მუხლის ჩანაწერი, რომელიც კრძალავს ურთიერთ-

---

იერარქიით საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონზე ზემდგომი აქტია და მისი მე-2 მუხლით მინსკის კონვენციის, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების, პრიმატი დადგენილია, მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამ პრიმატს კონვენციის ავტონომიური რეგულირების ფარგლებში გვერდს უვლის. კერძოდ, კონვენციის თანახმად, ხელშემკვერელი სახელმწიფოს ნაციონალური/ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ სასამართლოთა განსაკუთრებულ კომპეტენციას უნარჩუნდება პრიმატი და უპირატესობა კონვენციის დებულებებთან მიმართებითაც. შესაბამისად, მაგალითად, თუ მინსკის კონვენციის 32-ე მუხლით დადგენილი სასამართლოს კომპეტენცია ეწინააღმდეგება საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულ კომპეტენციას, მაშინ მოქმედებს ეს უკანასკნელი. შესაბამისად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მინსკის კონვენციის 32-ე მუხლით დადგენილი კომპეტენციის საფუძველზე მიღებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა ცნოს, ვინაიდან შესაბამისი საქმე საქართველოს სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილისა და მე-13 მუხლისა და მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

<sup>185</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, № ა-2135-შ-46-2015, 26 ოქტომბერი, 2015.

დახმარებას, თუკი ის ეწინააღმდეგება დახმარების გამწვევი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას, შესაძლოა, მოიცავდეს შემთხვევებსაც, როდესაც დახმარება (ამ შემთხვევაში ცნობა-აღსრულება) ეწინააღმდეგება „საჯარო წესრიგს“.

სასამართლოს კომპეტენციის ნაკლებად დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც გამოხატულია ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>186</sup> და რომლის თანახმადაც სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენა არის სამართლის და არა ფაქტის საკითხი. ეს მიდგომა კავშირშია სასამართლოს მიერ გამოყენებულ *revision au fond* პრინციპთან, რომლის თანახმადაც სასამართლო არ შედის ფაქტების შინაარსში, როდესაც ის განიხილავს ცნობა-აღსრულების საკითხს. შესაბამისად, სასამართლო მხოლოდ *prima facie* ამონებს ფაქტებს იმ დონეზე, რაც საჭიროა სასამართლოს კომპეტენციის განსაზღვრისათვის.

საჯარო წესრიგთან მიმართებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საჯარო წესრიგი შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს დარღვეულია იმ ქვეყნის საპროცესოსამართლებრივი იმპერატიული ნორმები, სადაც უნდა იცნოს და აღსრულდეს გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იმპერატიული ნორმების დარღვევა არის საჯარო წესრიგის დარღვევა.<sup>187</sup>

ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, საჯარო წესრიგის შემადგენელი ნაწილია „ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციათა (*extra-national community*) ეკონომიკური, სამართლებრივი,

---

<sup>186</sup> იხ. იქვე.

<sup>187</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, № ა-952-შ-23-2016, 06 ივლისი, 2016, პ.36.

მორალური, პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური ფუნდამენტური სტანდარტების ერთობლიობა“. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო წესრიგის ნაწილი არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი, არამედ საჯაროსამართლებრივი ღირებულებებიცაა, კერძოდ ისეთი, როგორიცაა ადამიანის უფლებები.<sup>188</sup>

რაც შეეხება მოპასუხის სათანადო წესით მოწვევის საკითხს, აქ საქართველოს უზენაესი სასამართლო ყოველთვის იყენებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებს და მათი საშუალებით ადგენს, თუ რამდენად საკმარისი ღონისძიებები გატარდა მოპასუხის მოწვევის მიზნით. არსებული პრაქტიკით, სასამართლო მოსარჩელეს ჩაბარების ფაქტის მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს უდგენს ისეთ დროს, როდესაც სასამართლო უწყება არ ჩაბარებულა სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების გზებით.<sup>189</sup>

მოპასუხის სათანადო წესით მოწვევასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ, როდესაც შუამდგომლობას თან ერთვის მოპასუხის მოწვევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, წარმოიშობა გაბათილებადი პრეზუმფცია (*rebuttable presumption*), რომ მოპასუხე მოწვეული იყო სასამართლო განხილვაზე. მოპასუხეს აქვს შესაძლებლობა, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, რათა ეს პრეზუმფცია გააბათილოს და მტკიცების ტვირთი კვლავ მოსარჩელეზე გადაიტანოს.<sup>190</sup>

---

<sup>188</sup> იხ. იქვე, პ.34, 35.

<sup>189</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, № ა-2257-შ-73-09, 02 მარტი, 2010; სუს, № ას-214-199-2014, 08 აპრილი, 2015.

<sup>190</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუს, № ა-2021-შ-52-2016, 21 ოქტომბერი, 2016.

## **4.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

### **4.2.1. სასამართლო გადაწყვეტილებები**

ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მინსკის კონვენციის თითქმის იდენტური წინაპირობები. მინსკის კონვენციისგან განსხვავებით, არცერთ ხელშეკრულებაში არ გვხვდება მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ისეთი წინაპირობები, როგორებიცაა: „არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მხარეებმა გადათქვეს თავიანთი შეთანხმება სასამართლოს სასარგებლოდ“ და „გასულია აღსრულების ვადა“. პირველი მათგანი შეიძლება მოექცეს სასამართლოს კომპეტენციის ნაკლის ნაწილში, ვინაიდან, თუკი მხარეები შეთანხმებული იყვნენ არბიტრაჟზე და მათ არ გადათქვეს თავიანთი შეთანხმება სასამართლოს სასარგებლოდ, მაშინ სახეზეა კომპეტენციის ნაკლი და ის მაინც არ დაექვემდებარება აღსრულებას.

#### ***ბულგარეთის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა და უზბეკეთის რესპუბლიკა***

ბულგარეთის რესპუბლიკასთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ისეთივე წინაპირობებია გათვალისწინებული, როგორიც მინსკის კონვენციაში.

#### ***ყაზახეთის რესპუბლიკა და უკრაინა***

ყაზახეთის რესპუბლიკასა და უკრაინასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში თითქმის ისეთივე წინაპირობებია გათვალისწინებული, როგორიც მინსკის კონვენციაში, თუმცა მათში არ ფიგურირებს ის ფორმალური წინაპირობა, რომ ცნობა-აღსრულებას არ ექვემდებარება გადაწყვეტილება, რომელიც „არ შესულა ძალაში, ან არ საჭიროებს აღსრულებას“. მიუხედავად ამისა, მინსკის კონვენ-



## მაბაღიითი

A სახელმწიფოში მიმდინარე დავის შესახებ B სახელმწიფოში მცხოვრებ პირს უწყება არ ჩაბარებია სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფორმით.

A სახელმწიფოს სასამართლომ B სახელმწიფოში მცხოვრები პირის წინააღმდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც B სახელმწიფოში უნდა აღსრულდეს.

B სახელმწიფოს სასამართლო ვერ იტყვის უარს ცნობა-აღსრულებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ უწყება არ ჩაბარებია სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფორმით.

ციაში გათვალისწინებული დოკუმენტების მკაცრი ჩამონათვალი პრაქტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ნებისმიერ შემთხვევაში შუამდგომლობის წარმდგენმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სასამართლოები არ ცნობენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ არის შესული კანონიერ ძალაში, ან არ საჭიროებს აღსრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>191</sup> მოპასუხე მიიჩნევდა, რომ ის არასათანადოდ იქნა მიწვეული

პროცესზე, ვინაიდან უწყების ჩაბარება არ მომხდარა ცენტრალური ორგანოს მეშვეობით. სასამართლოს არ უმსჯელია მოპასუხის ამ არგუმენტზე, თუმცა მიუთითა ყაზახეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების 23-ე მუხლზე (რომელიც ითვალისწინებს ცნობა-აღსრულების შუამდგომლობის უშუალოდ მისი განმხილველი სასამართლოსთვის გადაცემას) და აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით პროცედურა დაცულია. თუკი სასამართლოს ეს კომენტარი არის მოპასუხის არგუმენტზე პასუხი, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ უწყების ჩაბარების მიმართ გამოიყენა სწორედ საქართველო-ყაზახეთის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების 23-ე მუხლი.

<sup>191</sup> იხ. გადაწყვეტილება № ა-2021-შ-52-2016, 21 ოქტომბერი, 2016.

*თურქმენეთი, თურქეთის რესპუბლიკა და საბერძნეთის რესპუბლიკა*

თურქმენეთთან, თურქეთის რესპუბლიკასა და საბერძნეთის რესპუბლიკასთან გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველად ასევე გათვალისწინებულია საჯარო წესრიგი.

*კვიპროსის რესპუბლიკა*

კვიპროსის რესპუბლიკასთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებაში აღსრულების ვადა, როგორც ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, ცალკე არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, აღსრულების ფურცელზე გავრცელება ადგილობრივი კანონმდებლობის ვადები.

**4.2.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები**

როგორც უკვე აღინიშნა, თურქეთის რესპუბლიკის<sup>192</sup>, ბულგარეთის რესპუბლიკის<sup>193</sup>, ყაზახეთის რესპუბლიკისა<sup>194</sup> და უზბეკეთის რესპუბლიკის<sup>195</sup> ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ცალკე ითვალისწინებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველებს.

ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველების ყველაზე ვრცელ სიას შეიცავს თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება. კერძოდ, მისი 21-ე მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას, თუ:

---

<sup>192</sup> 21-ე მუხლი.

<sup>193</sup> 23-ე (3) მუხლი.

<sup>194</sup> 26-ე (2) მუხლი.

<sup>195</sup> 57-ე მუხლი.

1. ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც აღსრულებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, საქმე საარბიტრაჟო განხილვის საგანია;
2. გადაწყვეტილება გამოტანილია მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ან საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე;
3. საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა შეესაბამება მხარეთა შეთანხმებას ან საარბიტრაჟო დათქმას ხელშეკრულებაში, ანდა შეესაბამება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობას, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;
4. მხარეები სათანადო წესით იყვნენ გაფრთხილებული არბიტრის ან საარბიტრაჟო განხილვის დანიშვნის თაობაზე;
5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია იმ ქვეყანაში, რომელმაც ის გამოიტანა.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თხოვნას არცერთი სხვა ხელშეკრულება არ აყენებს, ხოლო რაც შეეხება ბულგარეთის რესპუბლიკასთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებას, მასში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით დავა არ არის არბიტრაჟის განხილვის საგანი.

#### **4.3. პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები:**

- **სამართლებრივი დახმარებით სარგებლობა აღსრულების ფურცლის უშუალოდ მოქალაქისთვის გადაცემისას**

პრობლემა წარმოიშობა, როდესაც სააღსრულებო ფურცელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ პირდაპირ უცხო ქვეყნის მოქალაქეს გადაეცემა. ვინაიდან თავიდან მიმართვა არ იყო ცენტრალური ორგანოების გავლით, შესაბამისად, მოქალაქე ვალდებულია, თვითონ მიუტანოს აღსრულების ბიუროს აღსრულების ფურცელი. თუმცა ასეთ შემთხვევაში მოქალაქემ შეიძლება ორ-

ხრივი ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დახმარება, რაც უკვე შეუძლებელია.

მინსკის კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით, „თხოვნის მიმღები<sup>196</sup>“ სახელმწიფო არ მოითხოვს დახმარების განეხილვას დაკავშირებულ ხარჯებს. „თხოვნა“ მინსკის კონვენციისა და, ზოგადად, სამართლებრივი ურთიერთდახმარების კონტექსტში არის სამართლებრივი ტერმინი, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ცენტრალური ორგანოს, როგორც თხოვნის გამტარის, ჩართულობას. მინსკის კონვენციის ფარგლებში ე.წ. „თხოვნად“ არ უნდა დაკვალიფიცირდეს მოქალაქის ისეთი თხოვნა, რომელიც არ აკმაყოფილებს მინსკის კონვენციით დადგენილ ფორმასა და პროცედურას. ამ პროცედურაში კი, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება თხოვნის ცენტრალური ორგანოს გავლით დამუშავება და გადაგზავნა. გარდა იმისა, რომ ცენტრალური ორგანო პროცესის ფასილიტატორია, ის, ამავე დროს, უზრუნველყოფს დოკუმენტაციისა და თხოვნის გამართულობას. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ორგანოს ჩართულობა სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი გვერდის ავლით წარმოებული დოკუმენტბრუნვა არ უნდა ჩაითვალოს სამართლებრივ ურთიერთდახმარებად (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ გათვალისწინებულია მინსკის კონვენციით ან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით) და მოქალაქეებმა არ უნდა ისარგებლონ მასთან დაკავშირებული უპირატესობებით, მათ შორის ხარჯების გათავისუფლების ფარგლებში.

- **ტერმინოლოგიის პრობლემები შესაბამისი უწყების სახელწოდებასთან მიმართებით (მაგალითად, რუსეთის ფედერაციის პირველი ინსტანციის სასამართლოები)**

ხშირად უცხო ქვეყნის დანესებულების დასახელების მიხედვით საქართველოს დანესებულებები ვერ ხვდებიან იმ დანესებულების

---

<sup>196</sup> რუსულად – „Запрашиваемая“, ინგლისურად – „Requested“.

დანიშნულებასა და ფუნქციას. ასევე საყურადღებოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა ტერმინოლოგიური აღრევა და ცალკეული ქვეყნის საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კვალიფიცირდება კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებად, ვინაიდან მათ დასათაურებაში სიტყვა „არბიტრაჟი“ ფიგურირებს.

- **ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ცნობა-აღსრულება**

უცხო ქვეყნის ნოტარიუსების მიერ გაცემული ნოტარიული აქტები ფულადი ვალდებულებების თაობაზე, თავიანთი სამართლებრივი ბუნების მიხედვით, ექცევიან მინსკის კონვენციის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ ცნობაუნარიან და, შესაბამისად, აღსრულებად სამართლებრივ აქტებს შორის. თუმცა, რაც შეეხება უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელია, რამდენად შეიძლება, რომ იგი დაკვალიფიცირდეს „ფულადი ვალდებულებების თაობაზე“ გაცემულ ნოტარიულ აქტად. ასეთი აქტის ცნობა-აღსრულებისას მნიშვნელოვანია მათი შემონიშნება „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის კონტექსტში, რათა დადგინდეს, უცხოური სანოტარო აქტის მოქმედების ფარგლები რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი ვერ დაკვალიფიცირდება „ფულადი ვალდებულებების თაობაზე“ გაცემულ ნოტარიულ აქტად, მისი აღსრულება მაინც შეიძლება შესაძლებელი იყოს, მაგრამ ამჯერად უკვე სკს-ის 72-ე მუხლის საფუძველზე, იმ პირობით, თუ ასეთი აქტი თავისი სამართლებრივი ბუნებით არის საჯარო ხასიათის დოკუმენტი.

- შუამდგომლობის/დავალების შესრულების შესახებ დოკუმენტები ქართულ ენაზეა შედგენილი და ზოგიერთ შემთხვევაში არ ახლავს თარგმანი

როგორც ზემოთ იქნა განხილული, ასეთი შემთხვევები ხდება ხარვეზისა და სამართლებრივი დახმარების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელებაზე უარის თქმის შესაძლო საფუძველი. ამიტომ მნიშვნელოვანია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების იმ დებულებებით სარგებლობა, რომლებიც დოკუმენტბრუნვის ენის საკითხს არეგულირებს, რათა სათანადო ენაზე მოხდეს შესაბამისი შუამდგომლობების შესახებ დოკუმენტების მომზადებანარდგენა, როგორც ეს ზემოთ არის შესაბამის თავში განხილული.

## **5. ხარჯები**

### **5.1. მინსკის კონვენცია**

მინსკის კონვენცია არ ითვალისწინებს სპეციალურ წესებს ცნობა-აღსრულების ხარჯებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მინსკის კონვენციის ფარგლებში ცნობა-აღსრულების ხარჯების გადანაწილებისათვის გამოიყენება ზოგადი ნორმები.

### **5.2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები**

ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ წესს ცნობა-აღსრულების ხარჯების გადანაწილებასთან დაკავშირებით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან<sup>197</sup>, თურქმენეთთან,<sup>198</sup> უკრაინასთან<sup>199</sup>, კვიპროსის რესპუბლიკასა<sup>200</sup> და ჩეხეთთან<sup>201</sup> გაფორ-

---

<sup>197</sup> 46-ე მუხლი.

<sup>198</sup> 50-ე მუხლი.

<sup>199</sup> 42-ე (2) მუხლი.

<sup>200</sup> 34-ე მუხლი.

<sup>201</sup> 59-ე მუხლი.

მებუღი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ადგენს, რომ აღსრულების ხარჯების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადანყვეტილების აღსრულება.

სხვა ხელშეკრულებებში მსგავსი წესი გათვალისწინებული არ არის, თუმცა ივარაუდება, რომ მათ შემთხვევაშიც ხარჯების მიმართ გამოიყენებული უნდა იყოს იმ სახელმწიფოს საკანონმდებლო ნორმები, რომელთა ტერიტორიაზეც ხდება გადანყვეტილების აღსრულება. თუ ურთიერთდახმარება ხორციელდება მინსკის კონვენციის/ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, უნდა ამოქმედდეს შესაბამისი ნორმები (მინსკის კონვენცია, მე-18 მუხლი), რომლებიც პირებს ათავისუფლებენ ხარჯებისაგან.

### **5.3. პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები:**

- **კრედიტორის მხრიდან საფასურის გადახდის საკითხი (შიდა კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამობა)**

თუ თხოვნა იგზავნება მინსკის კონვენციის ფარგლებში, მას საწყის ეტაპზე იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც უგზავნის დოკუმენტს საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ეს უკანასკნელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უგზავნის ცნობისა და აღსრულების ფურცელს, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო აწვდის აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ასეთ შემთხვევაში არ ხდება კრედიტორის მიერ თანხის გადახდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარის მოქალაქე საქართველოს უზენაეს სასამართლოს პირდაპირ მიმართავს (იუსტიციის სამინისტროს გვერდის ავლით) და უზენაესი სასამართლო ცნობს გადანყვეტილებას, საფასურის გადახდა აუცილებელია.

## **V. საქართველოს ნოტარიუსის როლი საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთდახმარებაში**

### **A. მიმოხილვა**

საერთაშორისო კერძოსამართლებრივ<sup>202</sup> და საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთდახმარებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ნოტარიუსის ინსტიტუტს თავისი დატვირთვა აქვს. განსაკუთრებით საყურადღებოა საერთაშორისო მემკვიდრეობით ურთიერთობებში ნოტარიუსის როლი, საერთაშორისო კონტექსტში მემკვიდრეობითი ურთიერთობების მნიშვნელობისა და სიხშირის გათვალისწინებით.

მემკვიდრეობითი ურთიერთობები ცალკეა გამოყოფილი მინსკის კონვენციაში და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, თურქმენეთთან, უკრაინასთან, კვიპროსის რესპუბლიკასთან, უზბეკეთის რესპუბლიკასა და ჩეხეთთან გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. აღსანიშნავია, რომ ნორმათა უმრავლესობა შეეხება გამოსაყენებელი სამართლისა და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრის წესს სხვადასხვა მემკვიდრეობითსამართლებრივი ურთიერთობის დროს.

### **B. საერთაშორისო მემკვიდრეობითი ურთიერთობები**

მინსკის კონვენცია და საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულებები აღიარებს ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას მემკვიდრეობით ურთიერთობებში. კერძოდ, ისინი განსაზღვრავენ, რომ ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მცხოვრები მეორე სახელმწიფოს მოქალაქეები სარგებლობენ ისე-

---

<sup>202</sup> *Hausmann / Oderskey, Internationales Privatrecht in der Notar- und Gestaltungspraxis, 1.*



თივე მემკვიდრეობითი უფლებებით (მათ შორის: მემკვიდრეობის მიღების, დატოვების, ანდერძის და სხვ.), როგორც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები.<sup>203</sup>

გამოსაყენებელი სამართალი მემკვიდრეობის უფლების მიმართ

კვიპროსთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების გარდა, სხვა ხელშეკრულებები (მათ შორის მინსკის კონვენცია), პირველ რიგში, აყალიბებენ თანასწორობის პრინციპს და, ამავე დროს, განსაზღვრავენ ზოგად წესს, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა გავრცელდეს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მოქალაქეებს/მცხოვრებლებს<sup>204</sup> შორის მემკვიდრეობით ურთიერთობებზე.

მინსკის კონვენციის 45-ე მუხლი და უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების 42-ე მუხლი განსაზღვრავს ზოგად წესს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის მემკვიდრეობითი უფლებები განისაზღვრება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც მამკვიდრებელს გარდაცვალების დროს ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; ანალოგიური ჩანაწერი გვხვდება თურქმენეთთან გაფორმებულ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების 34-ე მუხლში, თუმცა იმ განსხვავებით, რომ გამოსაყენებელი სამართალი დამოკიდებულია არა მამკვიდრებლის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, არამედ მამკვიდრებლის მოქალაქეობაზე.

სამივე ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მითითებულ მუხლებში გათვალისწინებულია გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც, თუკი სამკვიდროს საგანი არის უძრავი ქონება, მაშინ გამოიყენება

---

<sup>203</sup> მინსკის კონვენცია – 44-ე მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – 32-ე მუხლი; თურქმენეთი – 33-ე მუხლი; უკრაინა – 34-ე (3) მუხლი; კვიპროსის რესპუბლიკა – 21-ე მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – 41-ე მუხლი; ჩეხეთი – 39-ე მუხლი.

<sup>204</sup> ზოგიერთ ხელშეკრულებაში მითითებულია მოქალაქე, ხოლო ზოგიერთში – მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირი. ეს საკითხი განხილულია დამატებით.

იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება უძრავი ქონება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და ჩეხეთთან გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სამართლის მარეგულირებელი ნორმები პრინციპულად არ განსხვავდება ზემოთ დასახელებული ხელშეკრულებებისგან, თუმცა მათში ცალსახადაა გამიჯნული უძრავი და მოძრავი ქონების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის წესები.

კერძოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების 33-ე მუხლის მიხედვით, მოძრავ ქონებაზე მემკვიდრეობითი უფლებები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც გარდაცვალების დროს იყო მამკვიდრებელი. უძრავი ქონების შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართალი კვლავ ტერიტორიულობის პრინციპით განისაზღვრება, რაც ნიშნავს, რომ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება.<sup>205</sup> ასეთივე მიდგომა ჩამოყალიბებული ჩეხეთთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების მე-40 მუხლით, თუმცა იმ განსხვავებით, რომ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა დამოკიდებულია გარდაცვალების დროს მამკვიდრებლის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და არა მოქალაქეობაზე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და ჩეხეთის ორმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისინი ასევე განსაზღვრავენ – ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით უნდა დადგინდეს, მოძრავია ნივთი თუ უძრავი.<sup>206</sup> შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ერთი სახელმწიფოს სამართლით დადგინდეს ნივთის მოძრაობის/უძრაობის საკითხი და

---

<sup>205</sup> გაბისონია, *ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადაამუშავებული და დამატებული გამოცემა, თბ., 2011, 179.*

<sup>206</sup> აზერბაიჯანის რესპუბლიკა – 33-ე (3) მუხლი; ჩეხეთი – მე-40 (3) მუხლი.

ამის შედეგად სრულიად სხვა სახელმწიფოს სამართლით განისაზღვროს ამ ნივთის მიმართ მემკვიდრეობითი უფლებები.

რაც შეეხება უკრაინასთან გაფორმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მისი 34-ე მუხლი თითქმის ისევე განსაზღვრავს გამოსაყენებელ სამართალს, როგორც ჩეხეთთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება.

### ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა

მინსკის კონვენცია და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ასევე განსაზღვრავს უძრავი და მოძრავი ქონების ბედს, როდესაც მემკვიდრე არის სახელმწიფო.<sup>207</sup> ყველა მათგანი ითვალისწინებს მსგავს დანაწესს, რომლის თანახმადაც მოძრავი ქონება გადაეცემა იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც გარდაცვალების მომენტში იყო მამკვიდრებელი, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში – სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს უძრავი ქონება.

### ანდერძი

მინსკის კონვენციის 47-ე მუხლი ადგენს, რომ ანდერძის შედგენის/გაუქმების ქმედუნარიანობისა და ფორმის საკითხები განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელშიც ანდერძის შემდგენს ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ანდერძის შედგენის დროს. თუმცა ანდერძი ან მისი გაუქმება არ ჩაითვლება ფორმის დარღვევით შედგენილად და, შესაბამისად, ბათილად, თუ ის აკმაყოფილებს იმ ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნებს ფორმასთან მიმართებით, რომელშიც უშუალოდ შედგა ანდერძი.<sup>208</sup>

---

<sup>207</sup> მინსკის კონვენცია – 46-ე მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – 34-ე მუხლი; თურქმენეთი – 35-ე მუხლი; უკრაინა – 35-ე მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – 43-ე მუხლი; ჩეხეთი – 41-ე მუხლი.

<sup>208</sup> იმ შემთხვევაში, თუ საქართველო განიხილავდა ანდერძის ფორმის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციას-

მაშინ, როდესაც მინსკის კონვენცია შეეხება (1) მოანდერძის ქმედუნარიანობას და (2) ანდერძის ფორმას, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისი მუხლები ცოტა განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული.

### **აზერბაიჯანის რესპუბლიკა**

აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ანდერძის შედგენის ან გაუქმების უფლება, ასევე დავები ანდერძის შესახებ და ანდერძის დასაშვები სახეები განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც იყო მოანდერძე ანდერძის შედგენის ან გაუქმების მომენტში.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ანდერძის შედგენის, შეცვლის ან მოშლის ფორმა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც იყო მოანდერძე ანდერძის შედგენის, შეცვლის ან მოშლის მომენტში, ანდა იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც შედგა ან მოიშალა ანდერძი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების 35-ე მუხლიდან გამომდინარე, ის უფრო ფართო უნდა იყოს, ვიდრე მინსკის კონვენციის შესაბამისი ნორმა და ის გამოსაყენებელ სამართალს განსაზღვრავს ანდერძთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე:

1. ანდერძის შედგენის ან გაუქმების უფლება;
2. ანდერძის შესახებ დავებში გამოსაყენებელი სამართალი;

---

თან მიერთების საკითხს, მაშინ საერთაშორისო ელემენტის მქონე ანდერძების ფორმალური ნამდვილობა განისაზღვრება სწორედ ამ კონვენციის საფუძველზე. იხ. Convention of 5 October 1961 on the Conflicts of Laws Relating to the Form of Testamentary Dispositions, იხ. <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=40>.

3. ანდერძის დასაშვები სახეები;

4. ანდერძის შედგენის, შეცვლის ან მოშლის ფორმა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება გამოსაყენებელი სამართლის არჩევას უკავშირებს მოანდერძის მოქალაქეობას და არა საცხოვრებელ ადგილს.

### ***თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთის რესპუბლიკა***

თურქმენეთთან, უკრაინასა და უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ერთმანეთის მსგავსად განსაზღვრავენ ანდერძის მიმართ გამოსაყენებელ სამართალს.

თურქმენეთთან გაფორმებული ხელშეკრულების 36-ე მუხლი, უკრაინასთან გაფორმებული ხელშეკრულების 36-ე მუხლი და უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების 44-ე მუხლი შემოიფარგლება მხოლოდ ანდერძის ფორმის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრით. ხელშეკრულებების მიხედვით, ანდერძის შედგენის/გაუქმების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს:

1. იმ ქვეყნის სამართალს რომლის მოქალაქეც იყო მამკვიდრებელი ანდერძის შედგენის დროს; ან
2. იმ ქვეყნის სამართალს, რომლის ტერიტორიაზეც უშუალოდ შედგა/გაუქმდა ანდერძი.

აქაც აღსანიშნავია, რომ ხსენებული ხელშეკრულებები გამოსაყენებელი სამართლის არჩევას უკავშირებენ მოანდერძის მოქალაქეობას და არა საცხოვრებელ ადგილს.

### ***კვიპროსის რესპუბლიკა***

კვიპროსის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების 22-ე მუხლი არეგულირებს მხოლოდ ანდერძის ფორმის მიმართ გა-

მოსაყენებელ სამართალს, თუმცა სხვებისგან საკმაოდ განსხვავდება და ჩამოთვლის რამდენიმე ალტერნატივას.

ხელშეკრულების 22-ე მუხლის მიხედვით, ანდერძის შედგენის/გაუქმების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს:

1. იმ ქვეყნის სამართალს, რომლის ტერიტორიაზეც უშუალოდ შედგა/გაუქმდა ანდერძი; ან
2. იმ ქვეყნის სამართალს:
  - I. რომლის მოქალაქეც იყო მამკვიდრებელი ანდერძის შედგენის დროს ან გარდაცვალების დროს; ან
  - II. რომლის ტერიტორიაზეც მამკვიდრებელს ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი ანდერძის შედგენის დროს ან გარდაცვალების დროს.

ხელშეკრულების 22(2)-ე მუხლი განსხვავებულ წესს ადგენს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ანდერძის მიმართ და განსაზღვრავს, რომ ასეთ დროს ანდერძის შედგენა/გაუქმება უნდა შეესაბამებოდეს ფორმას, რომელსაც განსაზღვრავს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს უძრავი ქონება.

### ***ჩეხეთი***

ჩეხეთთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების 42-ე მუხლი ისეთსავე წესს განსაზღვრავს, როგორსაც მინსკის კონვენცია, იმ განსხვავებით, რომ ეს ხელშეკრულება გამოსაყენებელი სამართლის არჩევას უკავშირებს მოანდერძის მოქალაქეობას და არა საცხოვრებელ ადგილს.

### ***არსებული პრობლემები ანდერძის ფორმასთან დაკავშირებით***

ანდერძთან და, ზოგადად, მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით შემოსული თხოვნები იუსტიციის სამინისტროს მიერ გადამისამართდება ნოტარიუსთა პალატასთან. სწორედ ნოტარიუსებს უხდებათ შემოსული დოკუმენტაციის, მათ შორის: ანდერძის

შემონმება და სამკვიდროს გახსნის პროცედურასთან დაკავშირებული შემდგომი მოქმედებების განხორციელება, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ამჟამად არსებობს საფრთხეები, რომ ნოტარიუსთან გადაამისამართებული დოკუმენტები, მათ შორის ანდერძი, შეიძლება იყოს ყალბი. გამომდინარე იქიდან, რომ პროცესი მთლიანად ნოტარიუსთა პასუხისმგებლობით მიმდინარეობს, სწორედ მათ უხდებათ დოკუმენტების შემონმება. ნოტარიუსებს ამჟამად არ გააჩნიათ ანდერძის ნამდვილობის დადასტურების მექანიზმები, რაც წარმოშობს იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტების ბრუნვის რისკს.

### სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოება

მინსკის კონვენცია და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, თურქმენეთთან, უკრაინასთან, უზბეკეთის რესპუბლიკასა და ჩეხეთთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები მსგავსად განსაზღვრავენ სამემკვიდრეო საქმეების წარმოებაზე კომპეტენტურ (1) იუსტიციის დაწესებულებებს (ადმინისტრაციული წარმოება) და (2) სასამართლოებს.<sup>209</sup>

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზოგადი წესის მიხედვით, მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამემკვიდრეო საქმის წარმოებაზე კომპეტენტურია იმ ქვეყნის იუსტიციის დაწესებულება/სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც მამკვიდრებელს ჰქონდა უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი. უძრავი ქონების შემთხვევაში კომპეტენტურია იმ ქვეყნის იუსტიციის დაწესებულება/სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს უძრავი ქონება.

ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებულ ტერმინში – „იუსტიციის დაწესებულებები“ – შესაძლებელია, ასევე მოექცეს ნოტარიატიც. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ სამართალურთიერთობებში, საქარ-

---

<sup>209</sup> მინსკის კონვენცია: 48-ე მუხლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკა – 36-ე მუხლი; თურქმენეთი – 37-ე მუხლი; უკრაინა – 37-ე მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – 45-ე მუხლი; ჩეხეთი – 43-ე მუხლი.

თველოში მოქმედი ნოტარიუსის ჩართულობის შემთხვევაში, შესაბამისი სანოტარო ქმედებების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, რომელზეც განხილული საერთაშორისო ხელშეკრულებები მიუთითებს. თუმცა ამის პრაქტიკული განხორციელება ყველა ქვეყნის იურისდიქციაში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, როდესაც საქმე შეეხება უცხო ქვეყნის სამართლის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, რაც ასევე სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში ექცევა და ისევ და ისევ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ზემოთ აღნიშნული ფორმით.

სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, უკრაინასთან გაფორმებული ხელშეკრულების 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი და უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების 45-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამატებით ითვალისწინებს, რომ თუკი მთელი მოძრავი ქონება მდებარეობს ისეთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელშიც მამკვიდრებელს არ ჰქონდა უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, მაშინ ყველა მემკვიდრის თანხმობით (და ერთ-ერთი მემკვიდრის/მემკვიდრეობაზე უარისმთქმელის განცხადებით), სამემკვიდრეო საქმეების წარმოებაზე კომპეტენტურია ამ სახელმწიფოს იუსტიციის დანესებულება/სასამართლო.

აღსანიშნავია, რომ ჩეხეთთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების 47-ე მუხლი ითვალისწინებს ანდერძის გახსნისა და წაკითხვის სპეციალურ წესს. ამ მუხლის მიხედვით, ანდერძის გახსნა და წაკითხვა ყოველთვის ხდება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც იმყოფება ანდერძი; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მითითებული ნორმების შესაბამისად, სამემკვიდრეო საქმის წარმოება მიეკუთვნება სხვა სახელმწიფოს იუსტიციის დანესებულების კომპეტენციას, მაშინ ამ უკანასკნელს ეგზავნება მხოლოდ ანდერძის დამონებული ასლი და მისი წაკითხვის ოქმი.



### სამკვიდრო ქონების დაცვა

მინსკის კონვენცია ითვალისწინებს სამკვიდრო ქონების დაცვის ზოგად პრინციპებს. კერძოდ, კონვენციის 50-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა დაიცვას ან მართოს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ დატოვებული სამკვიდრო ქონება. ამასთან, ამ ზომების მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, ზომების შესახებ შეატყობინოს მამკვიდრებლის სახელმწიფოს დიპლომატიურ/საკონსულო ორგანოებს, რომლებსაც შეუძლიათ ამ ზომების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან<sup>210</sup>, თურქმენეთთან<sup>211</sup>, უკრაინასა<sup>212</sup> და უზბეკეთის რესპუბლიკასთან<sup>213</sup> გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში სამკვიდრო ქონების დაცვის სტანდარტები დაკონკრეტებულია და, ქონების დაცვისა და მართვის მიზნით მიღებული ზომების გარდა, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც თავიანთ უფლებებს აცხადებენ მემკვიდრეობაზე, ასევე მათთვის ცნობილი გარემოებების შესახებ, რომლებიც მემკვიდრეობაზე უფლების მქონე პირებს ეხება, მათი ადგილსამყოფელის, ანდერძის არსებობის, სამემკვიდრეო ქონების მოცულობისა და ღირებულების შესახებ. ამასთან, დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების თხოვნით მათ გადაეცემათ სამემკვიდრეო მოძრავი ქონება და გარდაცვლილის დოკუმენტები.

---

<sup>210</sup> 37-ე მუხლი.

<sup>211</sup> 38-ე მუხლი.

<sup>212</sup> 38-ე (1) მუხლი და 38-ე (2) მუხლი.

<sup>213</sup> 46-ე მუხლი.

სამკვიდრო ქონების გაცემა და პირადი ნივთები

სამკვიდრო ქონების გაცემასთან დაკავშირებული ნორმები ცალკე არ არის გათვალისწინებული მინსკის კონვენციით, თუმცა ისინი გვხვდება აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან<sup>214</sup>, თურქმენეთთან,<sup>215</sup> უკრაინასთან<sup>216</sup>, უზბეკეთის რესპუბლიკასა<sup>217</sup> და ჩეხეთთან<sup>218</sup> გაფორმებულ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

ხელშეკრულებები ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ მემკვიდრეობის საქმეს, ავალდებულებს, რომ, თუკი სამკვიდროს (მოძრავი ქონება ან მოძრავი/უძრავი ქონების რეალიზაციით ამონაგები თანხა) გაცემა უშუალოდ მემკვიდრისთვის ვერ ხერხდება, ის გადაეცეს მემკვიდრის სახელმწიფოს დიპლომატიურ/საკონსულო დაწესებულებას. ყველა ხელშეკრულების მიხედვით, სამკვიდროს გაცემა მოხდება, თუ:

1. დაფარულია ან უზრუნველყოფილია მემკვიდრის ყველა კრედიტორი;
2. დაფარულია მემკვიდრეობის საქმისწარმოების ყველა გადასახადი და მოსაკრებელი;
3. სამკვიდროს მდებარეობის სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისმა უწყებებმა გაცეს თანხმობა სამკვიდროს გაცემის შესახებ.

თურქმენეთთან, უკრაინასთან, უზბეკეთის რესპუბლიკასა და ჩეხეთთან გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს, რომ, თუკი პირი მგზავრობის დროს გარდაიცვლება ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (სადაც მას არ აქვს საცხოვრებელი ადგილი), ეს სახელმწიფო ვალდე-

---

<sup>214</sup> მე-40 მუხლი.

<sup>215</sup> მე-40 მუხლი.

<sup>216</sup> 39-ე მუხლი.

<sup>217</sup> 49-ე მუხლი.

<sup>218</sup> 48-ე მუხლი.

ბულია, აღწეროს პირის ნივთები და გადასცეს იმ ქვეყნის დიპლომატიურ/საკონსულო დაწესებულებებს, რომლის მოქალაქეც იყო გარდაცვლილი პირი.<sup>219</sup>

დიპლომატიური არსების უფლებამოსილებები

იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეებს თავად არ შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ სამემკვიდრეო საქმისწარმოებაში, დიპლომატიურ/საკონსულო დაწესებულებებს უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი სახელმწიფოს მოქალაქეები სამემკვიდრეო საქმისწარმოებისას მეორე ქვეყნის ნებისმიერ იუსტიციის თუ სხვა დაწესებულებაში. ამ წარმომადგენლობის განსახორციელებლად აუცილებელი არ არის მინდობილობის გაცემა. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით იუსტიციის დაწესებულებებს შეზღუდული აქვთ მოქალაქის სახელით სამკვიდროზე უარის თქმა.

---

<sup>219</sup> თურქმენეთი – 41-ე მუხლი; უკრაინა – 38-ე (5) მუხლი; უზბეკეთის რესპუბლიკა – 48-ე მუხლი; ჩეხეთი – 46-ე მუხლი.

## VI. დანართები

### დანართი 1. დოკუმენტების მიწოდების თხოვნის ფორმა

<b>სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების გამოთხოვის სტანდარტული ფორმა</b>	
<p>„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1992 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია / ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები</p>	
<p><b>განმცხადებლის დასახელება და მისამართი</b></p>	<p><b>მიმღები დაწესებულების მისამართი</b></p>
<p>გთხოვთ, მიუთითოთ გამგზავნი დაწესებულების სრული დასახელება, საფოსტო მისამართი, ტელეფონი, ფაქსი და ელ. ფოსტა.</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს სრული დასახელება და მისამართი.</p>
<p><b>წინამდებარე ფორმით განმცხადებელი ითხოვს თანდართული დო- კუმენტაციის ჩაბარებას/მიწოდებას.</b></p> <p><b>განმცხადებელი იტოვებს უფლებას, მიუთითოს მისთვის სასურვე- ლი ნებისმიერი ადრესატი.</b></p>	
<p><b><u>დასახელება და მისამართი</u></b></p> <p>გთხოვთ, მიუთითოთ ადრესატის (მიმღები პირი, რომელსაც, გსურთ, რომ დოკუმენტი მიუვიდეს) ან მისი წარმომადგენლის დასახელება/ვინაობა, სრული საკონტაქტო ინფორმაცია და მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი ინფორმაცია.</p> <p>გთხოვთ, მიუთითოთ, ითხოვთ თუ არა მიმღები სახელმწიფოსგან მისამართის დადგენას.</p>	

**თხოვნასთან დაკავშირებული საქმის დასახელება და სხვა ცნობები (ნებაყოფლობითი)**

გთხოვთ, მიუთითოთ თხოვნასთან დაკავშირებული საქმის დასახელება და თხოვნის შესრულებისათვის მნიშვნელოვანი სხვა ცნობები.

გთხოვთ, მიუთითოთ, ითხოვთ თუ არა მიმღები სახელმწიფოსგან მისამართის დადგენას.

**დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფოების მიხედვით (ნებაყოფლობითი)**

ბულგარეთის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა	გთხოვთ, მიუთითოთ თხოვნასთან დაკავშირებული საქმის არსი/შინაარსი.
თურქმენეთი	გთხოვთ, მიუთითოთ თხოვნასთან დაკავშირებული საქმის არსი.

**შესრულების მეთოდი (დასვით X ნიშანი შესაბამის უჯრაში)**

	ა) მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.
	ბ) მომთხოვნი სახელმწიფოს პროცედურის გამოყენება.
	გ) დოკუმენტის გადაცემა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ მიმღები პირი ნებაყოფლობით ჩაიბარებს მათ.
	დ) დოკუმენტების გადაცემის სპეციალური მეთოდის იდენტიფიცირების აუცილებლობა.

**დოკუმენტების სია**

**დასახელება და მისამართი**

გთხოვთ, ჩამოთვალოთ ყველა დოკუმენტი, რომელიც იგზავნება ნინამდებარე თხოვნასთან ერთად.

<b>თარიღი:</b>	<b>ხელმოწერა და ბეჭედი:</b>
<b>ხელმოწერის გეოგრაფიული ადგილი:</b>	

## დანართი 2. მტკიცებულებების თხოვნის ფორმა

### მტკიცებულებების თხოვნის ფორმა

#### I. (აუცილებლად შესავსები ველები)

1. გამგზავნი (დასახელება და მისამართი)

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

2. მომთხოვნი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო (დასახელება და მისამართი)

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

3. პირი, რომელსაც უნდა დაუბრუნდეს შესრულებული თხოვნა (დასახელება და მისამართი)

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

#### II. (აუცილებლად შესავსები ველები)

ქვემოთ ხელმომწერი განმცხადებელი წარმოადგენს თხოვნას ქვემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით:

4. მომთხოვნი იუსტიციის დანესებულება (დასახელება და მისამართი)

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

5. თხოვნის შემსრულებელი იუსტიციის დანესებულება (დასახელება და მისამართი)

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

6. თხოვნასთან დაკავშირებული საქმის დასახელება (არ გამოიყენება თურქეთის რესპუბლიკის მიმართ)

\_\_\_\_\_

7. თხოვნასთან დაკავშირებული საქმის შინაარსი/არსი (გამოიყენება მხოლოდ ბულგარეთის რესპუბლიკის, სომხეთის რესპუბლიკისა და თურქმენეთის მიმართ)

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_



8. ქვემოთ ჩამოთვლილი პირების რეკვიზიტები

ა) მოსარჩელე

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

თანამდებობა \_\_\_\_\_

მოქალაქეობა (რეგ. ადგილი) \_\_\_\_\_

ბ) მოპასუხე

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

თანამდებობა \_\_\_\_\_

მოქალაქეობა (რეგ. ადგილი) \_\_\_\_\_

გ) განმცხადებელი

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

თანამდებობა \_\_\_\_\_

მოქალაქეობა (რეგ. ადგილი) \_\_\_\_\_

9. საქმესთან დაკავშირებული პირების წარმომადგენელთა

რეკვიზიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა) მოსარჩელის წარმომადგენელი

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

ბ) მოპასუხის წარმომადგენელი

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

გ) განმცხადებლის წარმომადგენელი

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

დ) მოწმის წარმომადგენელი

დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

**III. (აუცილებლად შესავსები ველები)**

10. თხოვნის შინაარსი და სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს თხოვნის შესასრულებლად

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

11. მოსაპოვებელი მტკიცებულებების ჩამონათვალი (დასახელება)

ა) მტკიცებულება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ბ) მტკიცებულება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

გ) მტკიცებულება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

დ) მტკიცებულება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ე) მტკიცებულება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_





16. გსურთ თუ არა, წინამდებარე თხოვნის შესრულებას ესწრებოდეს ადრესატი იუსტიციის დაწესებულების წარმომადგენელი?

---

**V. (აუცილებლად შესავსები ველები)**

17. თხოვნის თარიღი \_\_\_\_\_

18. ხელმოწერა და მოთხოვნის გამგზავნი დაწესებულების ბეჭედი

---

**დანართი 3. შეტყობინება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ  
მასალების ჩაბარების შემთხვევაში (Подтверждение о  
вручении документов)**

საქმე № дело №	# xxxxx
დოკუმენტების დასახელება რუსულ ენაზე  Наименование документа на русском языке	X-სა და Y-ს შორის განქორწინების თაობაზე (რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)
დოკუმენტის მიმღების სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი  Фамилия, имя, отчество и адрес получателя	ადრესატის სახელი, გვარი მის.: xxxx (რომელზეც განხორციელდა პირის მოძიება)  (რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)
გადაცემის დრო და ადგილი  Дата и место вручения	(04 ნოემბერი, 2017 წელი, თბილისი)  (რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)

<p>მიმღების ხელმოწერა ან შეტყობინება დოკუმენტის გადაცემის შეუძლებლობის შესახებ</p> <p>Подпись получателя или сообщение о причинах невручения</p>	<p>(მიმღების მიერ დაფიქსირებული ხელმოწერა, იმ შემთხვევაში, თუ მასალებს იბარებს სხვა უფლებამოსილი პირი; მისი სახელი, გვარი, ხელმოწერა და ინფორმაცია, თუ რა კავშირი აქვს ადრესატთან, მაგ., არის დედა, ძმა და ა.შ.)</p> <p>(რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)</p>
<p>თანამდებობა და ხელმოწერა პირისა, რომელმაც გადასცა დოკუმენტი, ან შეადგინა შეტყობინება გადაცემის შეუძლებლობის შესახებ.</p> <p>Служебное положения и подпись лица, вручившего документ или составившего сообщение о причинах его невручения</p>	<p>მოსამართლის ან თანაშემწის სახელი, გვარი და ხელმოწერა</p> <p>(რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)</p> <p>სასამართლოს ბეჭედი ხელმოწერის დასამონმებლად</p>

სასამართლოს ბეჭედი  
Печать суда



**დანართი 4. შეტყობინება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ მასალების ვერ ჩაბარების შემთხვევაში (Подтверждение о вручении документов)**

საქმე № дело №	# xxxxx
დოკუმენტების დასახელება რუსულ ენაზე  Наименование документа на русском языке	X-სა და Y-ს შორის განქორწინების თაობაზე  (რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)
დოკუმენტის მიმღების სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი  Фамилия, имя, отчество и адрес получателя	ადრესატის სახელი, გვარი მის.: xxxx (რომელზეც განხორციელდა პირის მოძიება)  (რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)
გადაცემის დრო და ადგილი  Дата и место вручения	ვერ განხორციელდა გადაცემა  (რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)

<p>მიმღების ხელმოწერა ან შეტყობინება დოკუმენტის გადაცემის შეუძლებლობის შესახებ</p> <p>Подпись получателя или сообщение о причинах невручения</p>	<p>ვერ მოხდა პირის მოძიება სასამართლო მასალებში მითითებულ მისამართზე; ასევე ვერ მოიძებნა პირი სამისამართო სარეგისტრაციო ბაზაში არსებულ მისამართზეც.</p> <p>(რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)</p>
<p>თანამდებობა და ხელმოწერა პირისა, რომელმაც გადასცა დოკუმენტი, ან შეადგინა შეტყობინება გადაცემის შეუძლებლობის შესახებ.</p> <p>Служебное положения и подпись лица, вручившего документ или составившего сообщение о причинах его невручения.</p>	<p>მოსამართლის ან თანაშემწის სახელი, გვარი, და ხელმოწერა</p> <p>(რუსულ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)</p> <p>სასამართლოს ბეჭედი ხელმოწერის დასამონმებლად</p>

სასამართლოს ბეჭედი  
Печать суда

**დანართი 5. შეტყობინება დოკუმენტების გადაცემის შესახებ  
(Confirmation of serving documents)**

**(მასალების ჩაბარების შემთხვევაში)**

საქმე № Case №	# xxxxx
დოკუმენტების დასახელება ინგლისურ ენაზე  Title of the document on English Language	X-სა და Y-ს შორის განქორწინების თაობაზე  (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)
დოკუმენტის მიმღების სახელი და გვარი, მისამართი  Name and surname of the recipient of the documents	ადრესატის სახელი, გვარი მის.: xxxx (რომელზეც განხორციელდა პირის მოძიება)  (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)
გადაცემის დრო და ადგილი  The date and place of serving documents	(04 ნოემბერი, 2017 წელი, თბილისი)  (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)

<p>მიმღების ხელმოწერა ან შეტყობინება დოკუმენტის გადაცემის შეუძლებლობის შესახებ</p> <p><b>Signature of the recipient or statement on the reasons of not-serving</b></p>	<p>(მიმღების მიერ დაფიქსირებული ხელმოწერა, იმ შემთხვევაში, თუ მასალებს იბარებს სხვა უფლებამოსილი პირი; მისი სახელი, გვარი, ხელმოწერა და ინფორმაცია, თუ რა კავშირი აქვს ადრესატთან, მაგ., არის დედა, ძმა და ა.შ.)</p> <p>(ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)</p>
<p>თანამდებობა და ხელმოწერა პირისა, რომელმაც გადასცა დოკუმენტი, ან შეადგინა შეტყობინება გადაცემის შეუძლებლობის შესახებ.</p> <p><b>Position and signature of person, who served the documents or of person who made a statement on reasons of not serving</b></p>	<p>მოსამართლის ან თანაშემწის სახელი, გვარი და ხელმოწერა</p> <p>(ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)</p> <p>სასამართლოს ბეჭედი ხელმოწერის დასამონმებლად</p>

სასამართლოს ბეჭედი  
Stamp of the court

**დანართი 6. შეტყობინება დოკუმენტების გადაცემის შესახებ  
(Confirmation of serving documents)**

**(მასალების ვერჩაბარების შემთხვევაში)**

საქმე № Case №	# xxxxx
დოკუმენტების დასახელება ინგლისურ ენაზე  Title of the document on English Language	X-სა და Y-ს შორის განქორწინების თაობაზე  (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)
დოკუმენტის მიმღების სახელი, გვარი, მისამართი  Name and surname of the recipient of the documents	ადრესატის სახელი, გვარი მის.: xxxx (რომელზეც განხორციელდა პირის მოძიება)  (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)
გადაცემის დრო და ადგილი  The date and place of serving documents	(ვერ განხორციელდა გადაცემა  (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)

<p>მიმღების ხელმოწერა ან შეტყობინება დოკუმენტის გადაცემის შეუძლებლობის შესახებ</p> <p>Signature of the recipient or statement on the reasons of not-serving</p>	<p>ვერ მოხდა პირის მოძიება სასამართლო მასალებში მითითებულ მისამართზე; ასევე ვერ მოიძებნა პირი სამისამართო სარეგისტრაციო ბაზაში არსებულ მისამართზეც.</p> <p>(ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)</p>
<p>თანამდებობა და ხელმოწერა პირისა, რომელმაც გადასცა დოკუმენტი, ან შეადგინა შეტყობინება გადაცემის შეუძლებლობის შესახებ.</p> <p>Position and signature of person, who served the documents or of person who made a statement on reasons of not serving.</p>	<p>მოსამართლის ან თანაშემწის სახელი, გვარი და ხელმოწერა</p> <p>(ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იგივე ტექსტი)</p> <p>სასამართლოს ბეჭედი ხელმოწერის დასამონწმებლად.</p>


სასამართლოს ბეჭედი  
Stamp of the court

## VII. გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, თბილისი, V გამოცემა, 2015, სვანაძე, გიორგი, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკება და მათი შედეგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, გვ. 38-70;
2. *Christenson, A. Gordon*, International Judicial Assistance and Utah Practice, HeinOnline, 7 Utah L. Rev. 479, 1960-1961;
3. *Евдокимовым-Михайленко*, Международная правовая помощь по гражданским и уголовным делам: на примере стран СНГ, Издательство: Олма-Пресс, 2004;
4. *Greig, D.W.*, Reciprocity, Proportionality, and the Law of Treaties, 34 Va. J. Int'l L. 295 (1993-1994), 1993-1994;
5. *Kren Kostkiewicz / Rodriguez, Rodrigo*, Internationale Rechtshilfe in Zivilsachen, Stämpfli Verlag, 2013;
6. *Loewenstein, Karl*, Sovereignty and International Cooperation, The American Journal of International Law, Vol. 48, No. 2, 1954;
7. *Norros, Merja*, Judicial Cooperation in Civil Matters with Russia and Methods of Evaluation, Kikimora Publications, 2010;
8. *Augustine, Robert J.*, Obtaining International Judicial Assistance Under The Federal Rules And The Hague Convention On The Taking Of Evidence Abroad In Civil And Commercial Matters: An Exposition Of The Procedures And A Practical Example: In Re Westinghouse Uranium Contract Litigation, 10 Ga. J. Int'l & Comp. L. 101, (1980);
9. *Schack, Haimo*, Internationales Zivilverfahrensrecht, 6. Aufl., C.H. Beck, 2014;
10. *Sengstschmid, Andreas*, Handbuch Internationale Rechtshilfe in Zivilverfahren, Linde, 2008;
11. *Svanadze, George*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, 2014;

12. Practical Handbook on the Operation of the Evidence Convention, 3rd edition, Published by the Hague Conference on Private International Law Permanent Bureau, 2016; (<https://www.hcch.net/en/publications-and-studies/details4/?pid=6431>);
13. Practical Handbook on the Operation of the Service Convention, 4<sup>th</sup> edition, Published by the Hague Conference on Private International Law Permanent Bureau, 2016; (<https://www.hcch.net/en/publications-and-studies/details4/?pid=2728>);
14. A guide for legal practitioners — Judicial cooperation in civil matters in the European Union, 2014; ([http://ec.europa.eu/justice/civil/files/civil\\_justice\\_guide\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/civil/files/civil_justice_guide_en.pdf));
15. Federal Office of Justice (FOJ), International Judicial Assistance in Civil Matters – Guidelines, 2003 (<https://www.rhf.admin.ch/dam/data/rhf/zivilrecht/wegleitungen/wegleitung-zivilsachen-e.pdf>).





ISBN 978-9941-9566-0-7



9 789941 956607